C M Y K

WWW.SAERTOGAZETI.ORG

საერთო გაზეთი

№17 (251) ● 22-28.V.2013 წელი ● გამოდის ოთხშაბათს ● www.saertogazeti.org; E-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი

ქართული ეკლესია — საქართველოს ბოლო ციხე-სიმაგრე

მეორე მამაოები

17 მაისს საქართველო ღმერთმა და კიდევ ქართულმა პოლიციამ გადაარჩინა

28 წლის სანდრო გირგვლიანის სადისტურ მკვლელობაზე სამართალს, მისი წამებული დედა, ირინა ენუქიძე, სანამ ცოცხალი იყო ყველას შესთხოვდა, არც დღე და არც ღამე არ ასვენებდა სამართალდამცავებს, თუმცა სიცოცხლეში სამართალი ვერ იხილა. ბოლოს, რომ მოეშორებინათ, როგორც მოარული ხმები ამბობენ, უბედურ დედას უკურნებელი სენი შეჰყარეს და სიცოცხლეს გამოასალმეს...

მას შემდეგ წლებმა გაიარა, დღეს კი ცნობილი გახდა, რომ ყოფილი შსს მინისტრი, ყოფილი პრემიერ-მინისტრი, „ნაცმოძრაობის“ სავარაუდო საპრეზიდენტო კანდიდატი, „გაღლეტილი“ ვანო მერაბიშვილი დააკავეს.

„ნაციონალები“ უკვე მის უცოდველობასა და უდანაშაულობაზე აჟივჟივდნენ, მაგრამ თოვლივით სპეტაკადაც რომ წარმოაჩინონ, ქართველმა ხალხმა შესანიშნავად იცის, სინამდვილეში ვინ არის „ღარიბი“ ვანო, რომელსაც ხალხმა „ბლუკუნა“ შეარქვა.

მერაბიშვილი მალე მართლმსაჯულების წინაშე წარსდგება და მოუწევს იმის აღიარება, როგორ ჩაიდინა უამრავი დანაშაული, როგორ დაიცვა და დაიფარა სანდრო გირგვლიანის მკვლელები...

დარწმუნებული ვარ, ამ დღეებში ბევრი ადამიანი მივა ირინა ენუქიძის საფლავზე, რომ დატანჯულ დედას საფლავში ჩასძახოს — **მშვიდად განისვენეთ, ქალბატონო ირინა, სამართალმა იზეიმა — ვანო მერაბიშვილი ციხეშია!**

ირანდა კალანდაძე

როდის უნდა მოეთხოვოს პასუხი „ნაცმოძრაობას“, რომელმაც საქართველოს მოსახლეობას ათი მილიარდი ლარის ზარალი მიაყენა?

17 მაისს ქართველმა ხალხმა არა მხოლოდ სექსუმცირესობებს, არამედ ნატოს და დასავლეთს უთხრა უარი

„რესპუბლიკელები“ ბიძინა ივანიშვილს პირში ელაქუცებიან, ზურგს უკან კი მათ მიერ კონტროლირებადი არასამთავრობოების ხელით სამარეს უთხრიან!

გეიაღლუმის ორგანიზატორები, თავის სატელიტ არასამთავრობოებთან ერთად, „ნაციონალები“ და „რესპუბლიკელები“ იყვნენ

რატომ წყალობს ახალი ხელისუფლება იმ ადამიანებს, ვინც განათლების სისტემა დაანგრია?

მეცნიერებათა აკადემიაა თუ კანდიდატების კაცობის შემფასებელი ინსტიტუტი?!

რედაქტორის სვეტი

ვახტანგ ხარჩილავა

— ყველა უნდა დავიცვათ, მაგრამ სამშობლო რომ არის დასაცავი, ამაზეც ხომ უნდა ვიფიქროთ? — ბრძანა მეუფე იაკობმა.

— სამართლიანობა უნდა აღდგეს და სააკაშვილის რეჟიმი უნდა გასამართლდეს! — განაცხადეს 19 აპრილს გამართული დიდი სახალხო თავყრილობის მონაწილეებმა.

ჩემი აზრით, სამშობლოს დაცვასა და სამართლიანობის აღდგენას შორის პირდაპირი კავშირია.

სამშობლოს ვერ დავიცავთ, თუ სამართლიანობას არ აღვადგენთ და პირიქით — სამართლიანობა ვერ აღდგება, თუ სამშობლოს არ დავიცავთ ქვეყანაში შემოპარული მტრისაგან.

— სად არის, კაცო, მტერი? ვის ებრძოდნენ 17 მაისს ქართველები, ვის მისდევდნენ გასალახად? სად არიან, გვაჩვენეთ ერთი ეს მტრები! — მოითხოვდა მწერალი ლაშა და პოეტი კოტე.

როგორც ჩანს, ამათ მტერი მხოლოდ ის ჰგონიათ, რომელიც ტანკებით და თვითმფრინავებით გიტევს და რომელსაც ფიზიკური, რეალური სახე აქვს, არადა, ილია ჭავჭავაძეს თუ დავუჯერებთ, ასეთ მტერზე გაცილებით საშიში ცოდნითა და განათლებით შეიარაღებული ის მტერია, რომელიც არ ჩანს, რომელიც უხილავია და რომელიც ასე უჩინრად და უხილავად ცდილობს სულსა და სხეულში ჩაგისახლდეს, რომ შიგნიდან გამოგღრღნას, გამოგხრას და ფუტუროდ გაქციოს.

ვირუსივითაა ეს მტერი, ბაცილისავითაა — ვერ ხედავ, მაგრამ გკლავს.

ვირუსივითაა ეს მტერი, ბაცილასავითაა — მწერალი ლაშა და პოეტი კოტე და მათთან ერთად ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციები კი ამ ბაცილას ბუჩქებში ეძებენ და რომ ვერ პოულობენ, აქეთ შემოგვიტრიალდნენ და ნიშნის მოგებით გვეუბნებიან — აქ არავინ არ არის... რაღაც გეჩვენებათ და გელანდებათ თქვენ, ქართველებო... აჩრდილებს დასდევთ, „ყეენობანას“ თამაშობთ ისევო — გვარწმუნებენ.

სულელები ვგონივართ ჩვენ ამათ, სულელები და იდიოტები.

ჩემი აზრით, ვინც გვარწმუნებს რომ მტერი არ არსებობს, სწორედ ისინი არიან იმ უხილავი მტრის ხილული მოკავშირეები, ამ მტრის იდეოლოგიური დესანტის წევრები.

ლევან ვასაძე, ბიზნესმენი:

— მე არ მიმაჩნია, რომ 17 მაისს დავუპირისპირდით არანაკლებ საზიზღრობას, ვიდრე საბჭოთა არმია იყო, რომელიც 1989 წლის 9 აპრილს ხოცავდა ხალხს რუსთაველზე.

იქ შეკრებილი ადამიანების ამოცანა იყო, არ მიგვეცა უფლება ჩაეტარებინათ საჯარო პროპაგანდა გარყვნილების ლეგიტიმაციის. ამაზე კიდევ ვილაპარაკებ, მაგრამ, მოდით, ჯერ იმაზე ვისაუბროთ, რა მოხდა კონკრეტულად.

...მეუფე იაკობი და კიდევ რამდენიმე მოძღვარი გადასული იყვნენ იქითა მხარეს, მე, როგორც ვიცი, არასამავრობოების წარმომადგენლებთან. მეუფე იაკობი და მოძღვრები ამ ხალხს ეუბნებოდნენ: ხალხს დიდ ხანს ვერ შევაკავებთ და მოგიწოდებთ, რომ დაიშალოთ, წაბრძანდეთ, რომ ეს გაღიზიანებული ხალხი თქვენზე არ გამოიწიოს. ისინი რეგულარულად ელაპარაკებოდნენ ვიღაცას ტელეფონზე, გაყავდათ დრო, რომ, რაც შეიძლება დიდხანს ყოფილიყვნენ იქ. რაღაც პერიოდის მერე მეუფე იაკობი ბრუნდება კორდონის აქეთ და მას ეკითხება ხალხი. მე ცოტა მოშორებით ვიდექი და მერე ვიკითხე, რა მოხდა-მეთქი. რა მოხდა და როცა იღებენ პასუხს, რომ მოლაპარაკება უშედეგოდ დასრულდა, ამის მერე ხდება კორდონის გარღვევა. ნაწილი წინ გაიქცა აგრესიულად, ნაწილი, მაგალითად, ჩემნაირი, ვისაც სხვა პოზიცია ჰქონდა პროტესტის გამოხატვის, უკან დარჩა, მაგრამ ფაქტია, რომ ხალხი რომ მიაწვა, ნაფოტებივით ისროდნენ ბარიერებს, პოლიციელებს და ყველაფერს და დაიძრნენ „თავისუფლების მოედნისკენ“ საიდანაც მათ 100 მეტრი აშორებდათ. ის კადრები, რაც საზოგადოებამ ნახა, ხდებოდა იქ, ვიწრო ქუჩებში. გარყვნილების მოქადაგეთა მხრიდან, რამდენადაც ვიცი, არც ერთი არაა დაშავებული.

როცა ლაპარაკობენ, რომ ვიღაცები უნდა დაისჯონ. მე იურისტი არა ვარ, მაგრამ ცალკეული პირების დასჯისთვის უნდა იყოს მსხვერპლი, თუმცა მსხვერპლი არის 3 თუ 4 პოლიციელი, რაც ძალიან სამწუხაროა...

მე, მაგალითად, გადავიღებდი და მთელ მსოფლიოს ვაჩვენებდი. ვდგავართ დემონსტრაციაზე და შემოდიან ჩვენი სომეხი და აზერბაიჯანელი მოქალაქეები, გვერდიგვერდ მოაქვთ ტრანსფარანტები სომხურ და აზერბაიჯანულ ენაზე, სომხური და აზერბაიჯანული დროშებით და ხალხი მათ ეგებება ტაშით. ეს იყო უნიკალური შემთხვევა. სომხური და აზერბაიჯანული თანადგომისა ამ შემთხვევაში, ჩვენს აქციასთან და არც ერთ სატელევიზიო კადრში ეს არ მოხვედრილა. თბილისში, პირველად, ყარაბაღის კონფლიქტის შემდეგ მოხდა სომხების და აზერბაიჯანელების თანადგომა და გაერთიანება.

მოგახსენებთ, რომ მამათმავლობის და სხვადასხვა სექსუალური პერვერსიების ქადაგება აბსოლუტურად ანგრევს ოჯახს და ბეცი უნდა იყო, რომ თქვა, ეს ასე არ არისო. გაერომ გამოაქვეყნა მონაცემები, რომლის მიხედვითაც, 2050 წელს საქართველოს მოსახლეობა შემცირდება მილიონ 170 000 ადამიანით და ეს მოხდება ქართული ეთნოსის ხარჯზე. ფაქტობრივად, 2050 წლისთვის ქართველთა რაოდენობა განახევრდება. ქართული ენაც და ქართველი ერიც გაეროს კონვენციაში მომაკვდავ ენათა და ერთა სიაშია შეტანილი.

მე ძალიან მაკვირვებს, როცა გამოდის ჰოლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრი და ამბობს, რომ შოკირებულია იმით, რაც მოხდა რუსთაველის გამზირზე.

მე მინდა მივმართო უცხოელ ელჩებს და უცხო ქვეყნის დიპლომატიურ წარმომადგენლებს საქართველოში, სად იყო მათი აღშფოთება და შოკი, როცა შეიკრიბა ჩვენი მოსახლეობა თავისი მოთხოვნების გამოსახატავად, მათ თავ-პირი დაამტვრიეს, სისხლში აბანავეს, ხელკეტები გაუყარეს უკანალებში, უკაცრავად ამ სიტყვისთვის და აყროლებული გვამები შემოდეს მაღაზიების თავზე. მერე ჩვენი პრეზიდენტი, როგორც ჭუამარ კადაფი იბარებდა სამხედრო აღლუმს და გვამები იდო მაღაზიის თავზე. სად იყვნენ ეს ბატონები. მაშინ, სად იყო მათი შეშფოთება და აღშფოთება. თუ ასე ზედმიწევნით ადევნებენ თვალ-ყურს საქართველოში მიმდინარე მოვლენებს

და რატომ შფოთდებიან, როცა ქართული საზოგადოება გამოდის და ამბობს, რომ არის რაღაცები, რაც ჩვენ ძალიან გვინდა, რომ მივიღოთ ევროპისაგან.

მე ვარ ევროპის და დასავლეთის ერთ-ერთი პირველი აპოლოგეტთაგანი. „ბიტლზების“ მუსიკაზე გავიზარდე, ფრანგული რაგბი ჩემი საყვარელი სპორტია და ტენისონის პოეზიას ვკითხულობ ინგლიურად სიამოვნებით, მაგრამ მექმნება შთაბეჭდილება, რომ ის კულტურა, რომელმაც შექმნა ყველაფერი ეს, ანუ ისტორიული ევროპა, არის ერთი და ის კულტურა, რომელშიც ახლა „ბანაობს“ ევროპა, რაღაცა სხვა არის და პროვინციალიზმისა და უბადრუკობის აპოთეოზი არის ისეთი კულტურისაგან, როგორიც ჩვენია, არის სირცხვილი. პირდაღებულებმა გადმოვიღოთ ყველაფერი და არ ვკითხოთ ჩვენს თავს, თავსდება ესა თუ ის ნორმა ჩვენს ზნეობრივ სახესთან?! ჩვენ ისტორიულ ფესვებთან?!

იერუსალიმში ან ვატიკანში ვერავინ ჩაატარებს გეი-აღლუმს თუ ფლეშმობს თუ რაღაც ტერმინები აქვთ. აგიტაციას გარყვნილებისა, ვერ ჩაატარებთ წმინდა ადგილებში. ქართველებისთვის თბილისი არის და მცხეთა წმინდა ადგილები და თქვენ მეუბნებით, რომ, როგორც უნდოდათ, ისე ჩაეტარებინათ. ეკლესია ასე არ თვლის.

ფრაგმენტები ინტერვიუდან „მაესტრო“

საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის
საგანგებო განცხადება

მიმდინარე წლის 22 მაისს, ოთხშაბათს, დღის პირველ საათზე, მწერალთა სასახლეში (ქ.თბილისი, მაჩაბლის ქ.№13) ვიწვევთ **მწერალთა ფორუმს**, სადაც მონაწილეობას მიიღებს მწერალთა ყველა თაობის წარმომადგენელი.

განიხილება ერისა და მწერლების წინაშე წამოჭრილი საჭირბოროტო საკითხები!

მწერალთა რეგისტრაცია და მანდატების გაცემა – მწერალთა სასახლეში, 21 და 22 მაისს, დილის 10 საათიდან.

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტ. №202375349; უაკ (udc) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

საქართველოს მოქალაქეების განცხადება 2013 წლის 17 მაისის მოვლენებზე

საქართველოს პრეზიდენტს,
ბატონ მიხეილ სააკაშვილს
საქართველოს პრემიერმინისტრს,
ბატონ ბიძინა ივანიშვილს
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს,
ბატონ დავით უსუფაშვილს

2013 წლის 17 მაისს განხორციელდა ჰომოფობიასა და ტრანსოფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღესთან (IDAHO) დაკავშირებული აქციის დარბევა აგრესიული ჯგუფის მიერ, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლები და მათი მომხრეები. მათ საქართველოს საზოგადოებისა და ქართველი მართლმადიდებელი ქრისტიანების სახელით მოახდინეს უმცირესობაში მყოფ ადამიანთა მშვიდობიანი ჯგუფის დევნა. ეს გახლდათ გალაშქრება არა მხოლოდ ლგბტ საზოგადოების, არამედ საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგაც, რადგან ამ ქმედებით ექსტრემისტულმა ჯგუფმა უგულებელყო საქართველოს კონსტიტუცია და კანონმდებლობა – დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის საფუძველი.

მოვითხოვთ, ადეკვატურად და დროულად შეაფასოთ აღნიშნული ფაქტები. უმოქმედობა შესაძლოა მეტისმეტად ძვირად დაუჯდეს საქართველოს დემოკრატიულ სახელმწიფოებრიობას, რადგან მიგვაჩნია, რომ ამჟამად ვდგავართ რელიგიური ფუნდამენტალიზმისა და თეოკრატიის სერიოზული საფრთხის წინაშე. ამის თავიდან აცილება ერთადერთი, ცივილიზებული გზით არის შესაძლებელი – ყველა მოძალადე და ძალადობის წამქეზებელი კანონის მოთხოვნის შესაბამისად უნდა დაისაჯოს.

ხელმომწერები:

1. ლაშა ბაქრაძე - ისტორიკოსი
2 თამარ ცოფურაშვილი - ფილოსოფოსი
3. სოფიო კილასონია - ხელოვნებათმცოდნე
4. ლაშა ბერაია - გამომცემელი
5. მაგდა გურული - ხელოვნების კურატორი
6. თამარ გურჩიანი - იურისტი
7. ბექა მინდიაშვილი - თეოლოგი
8. ნინია კაკაბაძე - კინომცოდნე
9. ნინო გოგინაშვილი - ხელოვნებათმცოდნე
10. ნინო ლომაძე - ჟურნალისტი
11. გიორგი დალაქიშვილი - ფიზიკოსი
12. ნატაშა ლომოური - ისტორიკოსი
13. სოფიო პეტრიაშვილი - საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი
14. მაკო ჯანჯიბუხაშვილი - ფილოლოგი
15. ირაკლი ხვადაგიანი - ისტორიკოსი
16. არჩილ ჩიხლაძე - არქიტექტორი
17. მაია სიმონიშვილი - ფილოლოგი
18. ბელა ჩეკურიშვილი - პოეტი, ჟურნალისტი
19. ანა რიაბოშენკო - მხატვარი
20. თამარ მელიქიშვილი - მხატვარი, ხელოვნებათმცოდნე
21. ქეთი დევდარიანი - სცენარისტი
22. თენგიზ ვერულავა - მედიცინის აკადემიური დოქტორი
23. ნინო გუჯაბიძე - ხელოვნებათმცოდნე
24. ალექსანდრა გაბუნია - ხელოვნებათმცოდნე
25. ანუკა ლომიძე - ჟურნალისტი
26. ნინო დარბაისელი - პოეტი. ლიტერატურათმცოდნე
27. ანა კლდიაშვილი - ხელოვნებათმცოდნე
28. ელენე ლეკა ფასური - რეჟისორი
29. ირაკლი შულაია - სტუდენტი
30. ნათია მიქელაძე - ფილოლოგი
31. თამუნა ყურაშვილი - ექიმი
32. ალექსანდრე ლორთქიფანიძე - ჟურნალისტი
33. ალექსანდრე დავიდოვი - ფოტოხელოვანი
34. ელენე მეჩითოვა - კულტურის მენეჯერი
35. თამარ მირიანაშვილი - მთარგმნელი
36. ლევან თოფურიძე - მუსიკალური პროდიუსერი
37. გოჩა გაბოძე - ბლოგერი
38. მარიამ მახარაშვილი - ხელოვნებათმცოდნე
39. ნინო დათაშვილი - თეოლოგი
40. ლექსო მაჭავარიანი - ჟურნალისტი
41. გიორგი თუმანიშვილი - პროფესორი
42. მაგდა კალანდაძე - ჟურნალისტი
43. მაშო სამადაშვილი - ჟურნალისტი
44. თორნიკე ჯაფარიძე - სტუდენტი
45. ბასილ კობახიძე - თეოლოგი

სულ 4000-მდე ხელმოწერა

მეუფე იაკობი: მადლობა ღმერთს, რომ ძალიან ცუდ რამეს გადაგვარჩინა ამ დღეს. როდესაც პატრიარქი მოგიწოდებს, როდესაც არის საშუალება აირიდო დაპირისპირება, გადაენაცვლათ სხვა ადგილას, ხალხი შეიკრიბა და ითხოვდა, არ გამოსულიყვნენ. გამოსავალი იყო ძალიან მარტივი, რამდენიმე ათეულ კაცს უნდა დაეთმო იმ მომენტში და გადასულიყვნენ სხვა ადგილას და საფრთხე არ შექმნა საზოგადოებისათვის. ეს შეთანხმება, მიუხედავად დიდი ხნის საუბრისა, ვერ შედგა, რადგან, ეტყობა, ვიღაცას ზუსტად ის აწყობდა, რაც მოხდა. ხალხმა თავისი ნება გამოხატა. მადლობა ღმერთს, რომ იქ ძალიან ბევრი სასულიერო პირი იყო, მადლობა ღმერთს, რომ დღეს ხალხი პოლიციას ისე არ უყურებს, როგორც რამდენიმე თვის წინ. რომ არა პოლიცია და საულიერო პირები დიდი ტრაგედიის წინაშე დავდგებოდით.

ჩვენთვის მართლმადიდებლობა მხოლოდ სარწმუნოება ხომ არ არის. ჩვენ ამაყები ვართ, რომ ჩვენი დედაეკლესიის წევრი ვართ. მე იქ ვიყავი როგორც ჩვეულებრივი რიგითი ქართველი, მართალია არ გამომივიდა რიგით ქართველად ყოფნა,. მივედი იმისთვის, რომ ვინც მიცნობს, ის მხარე მაინც გამეჩერებინა.

როცა ძალადობაზე საუბრობენ, უნდა გაიხსენონ ის ფსიქოლოგიური ზეწოლაც, რომელიც აქციის წინა დღეებში მიმდინარეობდა. ეკლესია ცოდვას ვერ შეურიგდება! მიმაჩნია, რომ მომხდარი ვიღაცის ინტერესებში შედიოდა. რომ არა პოლიცია, რომ არა სასულიერო პირები, დიდი ტრაგედიის წინაშე დავდგებოდით. მოხდა სამწუხარო შემთხვევები, როდესაც ამდენი ადამიანია, მერე ძნელია ქრისტიანობასა და მორალზე საუბარი მარტო. ბევრმა თავის ადამიანურ ბუნებას ვერ გადააბიჯა, ვიღაცას ან მტრად შეხედა, ან შეაგინა, ხელიც მოუქნია.... როგორც მითხრეს, სასულიერო პირებიც იყვნენ, თვითონ უკეთ იციან, თუ რაღაც გადაცდომა მოუვიდათ ან ნერვებმა უმტყუნათ... ეკლესია მიიღებს ზომებს, ჩვენი კანონებით რაც ეკუთვნით და ვფიქრობ, არც საერო სამართლის წინაშე გაუჭირდებათ წარდგომა, რადგან მართლა ისეთი არაფერი გაუკეთებიათ, როგორც ხმაურობენ და ლაპარაკობენ.

ძალადობას ჩვენთან მხოლოდ მუშტის მოხვედრასთან აიგივებენ და არაფრად დაგიდევენ ფსიქოლოგიურ ძალადობას, რომელიც მილიონობით ადამიანზე მიდიოდა ამ დღეებში.

გამოიძიოს ხელისუფლებამ ყველა ფაქტი, არვინაა წინააღმდეგი, მით უმეტეს, თუ ეკლესიის წევრები იქნებიან "დამნაშავეები".

ჟურნალისტებს მინდა მოგმართოთ: როდესაც მოდიან ადამიანები და კითხვებს უსვამთ სულ ვიღაცის დაცვაზე, სამშობლოს დაცვა თქვენთვის მეორე და მეათეხარისხოვანია?! ჩვენს ქვეყანაში მაცხოვრებელი ყველა ადამიანი უნდა დავიცვათ, მაგრამ პირველ რიგში ქვეყანა!

ქართული ეკლესია – საქართველოს ბოლო ციხე-სიმაგრე

17 მაისს საქართველოს ეკლესია წინ წარუძღვა თავის მრევლს და სიბნელისა და ბოროტების წინააღმდეგ გაილაშქრა.

დღეს მავანნი და მავანნი ამ გმირი მამაოების სამაგალითოდ დასჯას და მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეების აღძვრას მოითხოვენ.

– ანაფორა არ არის ხელშეუხებლობის გარანტი, ანაფორა არ არის იმუნიტეტი... მოძალადე მღვდლები უნდა დაისაჯონ!

ვინ მიგვიღებს, ჩვენ, ასეთებს, ევროკავშირში? ეს ხომ ბარბაროსობაა? სად გაგონილა, სასულიერო პირები ხალხს ძალადობისკენ მოუწოდებდნენ? – ქვითქვითებენ და ვიშვიშებენ „ლიბერასტები".

თქვე პროვოკატორებო და ცილისმწამებლებო, თქვე ქვეყნის გამყიდველო ნაძირლებო, სად ნახეთ და სად მოისმინეთ, რომელიმე მამაოს 17 მაისს ხალხისთვის ძალადობისკენ მოეწოდებინოს?

პირიქით იყო ყველაფერი – **პოლიციასთან ერთად სასულიერო პირების თავდადება რომ არა, 17 მაისს მართლაც შეიძლებოდა დიდი უბედურება დატრიალებულიყო.**

„ლგბტ" საზოგადოების არც ერთ წარმომადგენელს ერთი ნაკაწრი რომ არ აქვს, ეს სწორედ იმ მამაოების დამსახურებაა, რომლებსაც ახლა შარს სდებთ და ცილს სწამებთ.

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, მთელი ეს ლიბერასტული ბანდა, თავისი ადგილობრივი თუ საერთაშორისო ფილიალებით, ოცდაათი ვერცხლით ნაცთუნები მოღალატე ქართველი პოლიტიკოსებით და არასამთავრობო სექტორით, მოსყიდული ტელეკომპანიებით და გაზეთებით, მოსყიდული ჟურნალისტებით, მოსყიდული ხელოვნების მუშაკებით, ათასი ჯურის სექტებით, სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლებით, უახლოეს ხანებში აუცილებლად დაიწყებს ფართომასშტაბიან შეტევას საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ.

მათ იციან, რომ ეკლესია – ეს არის ბოლო ბასტიონი, ბოლო ციხე-სიმაგრე, რომლის აღების შემდეგ საქართველო აღარ იარსებებს, ამიტომაც ყველა ქართველი ამ ბოლო ციხე-სიმაგრის მეციხოვნე უნდა გახდეს.



4000-მდე მოქალაქე აწერს ხელს იმ საეკლესიო პირების დასჯის მოთხოვნას, რომლებიც 17 მაისის კონტრაქციაში მონაწილეობდნენ.

დაიმახსოვრე მათი გვარ-სახელები, საქართველოვ, ეს 4000 მოღალატის გვარ-სახელია.

„საერთო გაზეთი"

17 მაისს საქართველო ღმერთმა და კიდევ ქართულმა პოლიციამ გადაარჩინა

17 მაისს გიგა ბოკერია და მისი კნეინა „ჩერგო“ ძალიან, ძალიან გამწარებულნი ჩანდნენ – რას ჰქვია, პოლიციამ „იდენტობის“ აქციის გასაპროტესტებლად გამოსულ მრევლს სათანადოდ არ მოსცხოო.

პოლიციას ეს რომ გაეკეთებინა, ახალი ხელისუფლების რეიტინგი მყისიერად ნულამდე დაეცემოდა.

აი, მაშინ გაიხარებდნენ გიგა და „ჩერგო“ და კიდევ სხვა ჩერგოები და გიგები, მაგრამ, მათდა სამწუხაროდ, კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ – **პოლიციამ ისე, რომ თითი არავისთვის დაუკარებია, წყნარად, აკურატულად „ჩაალაგა“ ავტობუსებსა და მიკროავტობუსებში სექსუალური უმცირესობა და ფონიჭალის გზას გაუყენა.**

გიგასა და „ჩერგოზე“ ნაკლებ გამწარებულნი „ნაცმოძრაობის“ არც სხვა წევრები იყვნენ.

ჩიორამ სულ ბნელები და ბოროტები უწოდა ქართველთა იმ ნაწილს, რომელიც 17 მაისს თავისი რელიგიური მრწამსის და ეროვნული ღირებულებების დასაცავად გამოვიდა და წმინდა ადგილას, 9 აპრილის მსხვერპლთა სისხლზე, „ლგბტ“ საზოგადოების წარმომადგენლებს ელგებეტური მანჭვა-გრეხვის საშუალება არ მისცა.

ასევე აღშფოთებულნი ჩანდნენ მომწერლო-მოპოეტო-მოჟურნალისტო ელემენტებიც, რომლებიც შიგადაშიგ ლიბერალობას აწვებიან და ამ „დამსახურების“ გამო დაქირავებული მაყრიონივით დააპროწიალებენ გადაცემიდან გადაცემაში „ნაც. მოძრაობის“ სატელიტი ტელეკომპანიები.

პოლიციას აკრიტიკებდნენ „ა-ს-ო“-ებიც (არასამთავრობო ორგანიზაციები) – ყველას აქვს გამოხატვის უფლება და კონსტიტუციით მონიჭებული ამ უფლების გამოყენების საშუალება პოლიციის უმოქმედობის გამო სექსუმცირესობის პატივცემულ წევრებს არ მიეცათო.

კი, ბატონო, გამოხატვის უფლება ყველას აქვს, მაგრამ ხომ გააჩნია რას გამოხატავ, რით გამოხატავ და როგორ გამოხატავ?

ერთმა ნაცნობმა მიამბო: – ჩემს მეზობლებს, ძალიან კარგ ოჯახს, ერთადერთი ბიჭი ჰყავთ. შეხედავ, ანგელოზია, მაგრამ რად გინდა – ცისფერია.

მეათე კლასშია უკვე. ამასწინათ ვნახე – წვერ-ულვაში წამოზრდია, გაზრდილა.

– ხომ დადიხარ გოგოებში? – გავეხუმრე.

– გოგოებში რა მინდა, „ლეზბიანკა“ კი არ ვარო, – მიპასუხა ძალიან ნაწყენმა და გაბრაზებულმა.

გავშრი.

არადა, როგორც ვთქვი, იმ ოჯახს ეს ერთადერთი ბიჭი ჰყავთ გვარის და ჯილაგის გამგრძელებლად.

აი, ასეთებს და ამნაირებს უნდა მივცეთ გამოხატვის თავისუფლება, რომ რაც შეიძლება მეტი დაიმსგავსონ, აცთუნონ, გადაიბირონ?

აი, ასეთები და ამნაირები იმსახურებენ ევროკავშირში შესვლას, მაგრამ ისინი, რომლებიც განსხვავებულად ფიქრობენ – არა?

17 მაისს საქართველო ღმერთმა იხსნა დიდი უბედურებისგან, ღმერთმა და კიდევ პოლიციამ, რომელმაც საკუთარ თავზე მიიღო ყველა დარტყმა და, პირდაპირ ვთქვათ, ქვეყანა სამოქალაქო დაპირისპირების საფრთხისგან იხსნა, რაც, როგორც ზემოთ ვთქვით, ძალიან ეწყინა ნაცუმცირესობას, თუმცა, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, სახელისუფლო უმრავლესობის ზოგიერთი წარმომადგენელიც არ ჩანდა მაინცდამაინც გახარებული და პოლიციას ირიბად და მოიარებით აკრიტიკებდა, პარალელურად კი ქართველი ერის ცივილიზებულობის საკითხს აყენებდა ეჭვქვეშ.

ამ ძალად მაცხონეებს ანუ ძალად ევროპელებს დაავიწყდათ, რა ხდებოდა სულ ცოტა ხნის წინათ საბერძნეთში, ესპანეთში, საფრანგეთში, იტალიაში.

იქ მომხდარ ამბებთან შედარებით 17 მაისს საქართველოში მომხდარი ამბები უწყინარ ცეკვა-თამაშს ჰგავდა.

ვერ გავიგე, რას გვერჩიან და რას გვემართლებიან? ცხრა წელი ჯოჯოხეთი გამოგვატარეს, ახლა მაინცდამაინც უნდა გავპირადასტდეთ და გავფერადდეთ? ჭკუიდან უნდათ გადაგვიყვანონ, რომ მერე ისეთი რამ ჩავიდინოთ, რაც ქართველ ხალხს ზნესა და ხასიათში არ უზის?



დიდი შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ 17 მაისს არ დაწყებულა, ის დაიწყო თითქმის 23 წლის წინათ და მთელი ამ ხნის განმავლობაში საქართველო, ფაქტობრივად, მუდმივ დაპირისპირებაშია მოძალადეებთან.

17 მაისი ლუსტრაციის დღე იყო, რომელმაც ნათლად გამოაჩინა და გამოააშკარავა ის ძალები, რომლებიც აქტიურად არიან ჩაბმულნი საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ ფსიქოლოგიურ ომში, რომლის მიზანია საძირკველი გამოაცალოს ქართულ სულიერებას და ტრანსმუტანტებად გვაქციოს.

ეს ძალები მუდმივი ზეწოლის, შანტაჟის, ცილისწამების გზით ყოველთვის ცდილობდნენ პოლიცია დაეპირისპირებინათ ხალხთან, რათა ხალხი აბსოლუტურად დაუცველი ყოფილიყო.

„ნაცმოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში ეს ამოცანა ზედმიწევნით კარგად შესრულდა, რადგან „ნაცმოძრაობა“ თვითონ იყო ამ ძალების ერთ-ერთი მთავარი რგოლი და მათი იდეოლოგიური ცენტრი.

ახალი ხელისუფლების პირობებში ამის გაკეთებას ჯერჯერობით ვერ ახერხებენ, თუმცა ამ მიმართულებით აქტიურად რომ მუშაობენ, ეს კარგად გამოჩნდა საგულდაგულოდ დაგეგმილ იმ სატელევიზიო გადაცემებში, სადაც პოლიციის მისამართით ბევრი აშკარად დემაგოგიური განცხადება და პრეტენზია გაისმა.

უფრო მეტიც, აშკარაა, რომ ამ ძალებს, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ხელისუფლებაშიცაა მოკალათებული, სურთ გული აუცრუონ პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს შსს მინისტრზე. ისინი ცდილობენ დაარწმუნონ პრემიერი, რომ ირაკლი ღარიბაშვილს პროფესიონალიზმი და გამოცდილება არ ყოფნის ამა თუ იმ ამოცანის მაღალ პროფესიონალურ დონეზე გადასაწყვეტად.

არადა, ირაკლი ღარიბაშვილი ძალიან ნიჭიერი ადამიანი აღმოჩნდა, რომელმაც უცებ აუღო ალღო მისთვის აქამდე უცნობ სფეროს და უმოკლეს დროში საკმაოდ მაღალი ავტორიტეტიც მოიხვეჭა.

რაც შეეხება წყლის ამღვრევებს და პროვოკატორებს, ეს მათი პროფესიაა – ისინი მუდმივად პროვოკატორობდნენ და წყალს ამღვრევდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის ბოლო ოცდასამი წლის ყველა ეტაპზე, ხოლო წყლის ამღვრევის შემდეგ, საუბედუროდ, წყალი კი არა ქართველთა სისხლი იღვრებოდა.

* * *

ავადმოსაგონარი 17 მაისი დაღამდა და 18 მაისი გათენდა, მაგრამ არაფერი შეცვლილა, არაფერი დამთავრებულა – დიდი შეთქმულება საქართველოსთვის ნამუსის ასახდელად კვლავ გრძელდება...

გიორგი გამეზარდაშვილი

მსოფლიო ჰრომის მიხედვით

ქართული ეკლესია ქვეყნის ხელისუფლებას გამომწვევად ექცევა

საქართველოში 17 მაისს მომხდარი ამბები შესაძლოა, შეფასდეს „თეოკრატიული რევოლუციის“ მცდელობად და თანაც, თუ ახალი მთავრობის აუხსნელი დუმილით ვიმსჯელებთ, ამ მცდელობამ შედეგი გამოიღო – წერს ფრანგული Le Figaro-ს ჟურნალისტი რეჟი ჟანტე.

პუბლიკაციის ავტორი გვახსენებს, რომ სექსუალური უმცირესობების ორმა ასოციაციამ გადაწყვიტა, ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე ქვეყნის დედაქალაქში აქციით აღენიშნათ. როგორც კი ამ ღონისძიების მზადების შესახებ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურმა, კათოლიკოს-პატრიარქმა შეიტყო, მერიას მოსთხოვა, აეკრძალა იგი, თუმცა, ქართული კანონმდებლობით, მიტინგის გამართვის ნებართვას წინასწარი შეთანხმება არ სჭირდება. პატრიარქმა ქალაქის ხელმძღვანელობა „უმრავლესობის უფლებებისა და ტრადიციების დარღვევაში“ დაადანაშაულა, რითაც ირიბად „კურთხევა მისცა“ ლგბტ-საზოგადოების ღონისძიების ჩაშლას – წერს სტატიის ავტორი.

17 მაისს არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ერთი მუჭა წარმომადგენლები თბილისის ცენტრალურ მოედანზე შეიკრიბნენ. ამავე ადგილისკენ მაშინვე გაემართა „სარწმუნოების დამცველთა“ ლამის მთელი ჯარი, რომელსაც სათავეში ეკლესიის იერარქები ედგნენ. მათ გამოიყენეს თავიანთი მორალური ავტორიტეტი იმისთვის, რომ მომხრეებთან ერთად პოლიციის რკალი გაერღვიათ, წერს **Le Figaro**. „პოლიცია უმეტესწილად პასიურად მოქმედებდა, თუმცა, იმავდროულად, ცდილობდა, უარესი არაფერი მომხდარიყო“, – იტყობინება გაზეთის კორესპონდენტი.

თუ ხელისუფლება ეკლესიის გამოხდომებს უყურადღებოდ დატოვებს, მაშინ იგი ეკლესიის გაკონტროლების ყველანაირ ლობა „უმრავლესობის უფლებებისა და ტრადიციების დარღვევაში“ დაადანაშაულა, რითაც ირიბად „კურთხევა მისცა“ ლგბტ-საზოგადოების ღონისძიების ჩაშლას – წერს სტატიის ავტორი.

17 მაისს არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ერთი მუჭა წარმომადგენლები

ბერკეტს დაკარგავს, აფრთხილებს პუბლიცისტი საქართველოს მოსახლეობას და საერთაშორისო საზოგადოებრიობასაც. „რელიგიური ნაციონალიზმი თავის თავს სახელმწიფოს ალტერნატივად მოიაზრებს“, – ამას ქართველი პოლიტოლოგი გია ზედანია აცხადებს, რომელსაც გაზეთის ჟურნალისტი პირადად ელაპარაკა. – ეს იმავდროულად პოლიტიკური პრობლემაც არის, რადგან ჩვენი ეკლესიის პოზიცია რუსეთის მიმართ ორაზროვანია, – დასძენს იგი.

17 მაისს „სასულიერო პირების საქციელი იყო გამოწვევა ახალი მთავრობისა, რომელსაც სათავეში მილიარდერი ბიძინა ივანიშვილი უდგას“, – დასძენს სტატიის ბოლოს მიმომხილველი.

საქართველოში ეკლესია სახელმწიფოსგან გამოყოფილი არ არის

ქართული მართლმადიდებელი ეკლესია სარგებლობს პრივილეგირებული იურიდიული და საგადასახადო სტატუსით და იგი არც სახელმწიფოსგან და არც ქვეყნის სახელმწიფო სკოლებისგან გამოყოფილი არ არის – ამის შესახებ ვკითხულობთ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის 2012 წლის მოხსენებაში, რომელიც საერთაშორისო რელიგიურ თავისუფლებას ეხება:

„ხელისუფლების რეაქცია რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვას ეფექტიანად ვერ უზრუნველყოფდა. იგი კვლავაც ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის სასარგებლოდ მოქმედებდა, როცა საკითხი სადავო ქონების აღდგენას ეხებოდა. ყოველივე ამან საფუძველი შეუქმნა: ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის პრივილეგირებულ იურიდიულ და საგადასახადო სტატუსს; ეკლე-

სიის სახელმწიფოსგან არასრულად გამოყოფას, აგრეთვე სახელმწიფო სკოლებისგან გამიჯვნას. საარჩევნო კამპანიისას, ცალკეული კანდიდატები არატოლერანტულ რელიგიურ რიტორიკას იყენებდნენ. გვქონდა ინფორმაცია რელიგიურ ნიადაგზე საზოგადოების ცუდი დამოკიდებულებისა და დისკრიმინაციის შესახებაც. არსებობდა ანგარიშები, რომლებიც რელიგიურ დევნას, რელიგიურ რიტუალებში ჩარევას, ფიზიკურ ანგარიშსწორებას, შეზღუდვასა და ვანდალიზმს ეხებოდა. ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო მუდმივად ურთიერთობდა როგორც ქვეყნის ხელისუფლებასთან, აგრეთვე სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან და აქტიურად მხარს უჭერდა რელიგიურ თავისუფლებას“.

დოკუმენტის თანახმად, აშშ-ის დიპლომატიური წარმომადგენლობა მონაწილეობდა ღონისძიებებში, რომლებიც რელიგიურ შემწყნარებლობას ეძღვნებოდა. საელჩოს წარმომადგენლები, რელიგიური თავისუფლების უზრუნველსაყოფად, ხშირად ხვდებოდნენ რელიგიური არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერებს.

ევროპაში ჰომოფობიის მაღალი დონეა

გამოკვლევების თანახმად, ბოლო 5 წლის განმავლობაში, გამოკითხულ ჰომოსექსუალთაგან ყოველი მეოთხე თავდასხმის მსხვერპლია ან ანგარიშსწორებით ემუქრებიან. კვლევაში 93 ათასი ადამიანი მონაწილეობდა. ეს მონაცემები ჰაგაში ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღის წინა პერიოდში გამართულ კონფერენციაზე გამოქვეყნდა. ამ ღონისძიებას ესწრებოდა ნიდერლანდის დედოფალი მაქსიმა. ამ ქვეყნის ემანსიპაციის საკითხების მინისტრის განცხადებით, თვითონ ნიდერლანდებში საქმე არც ისე კარგად არის:

„მიუხედავად იმისა, რომ ევროპაში ვლიდერობთ, ჩვენი ქვეყანა ჰომოსექუალთა იურიდიული თანასწორობის ინდექსით მაინც მეექვსე ადგილზეა. ჩვენზე წინ არიან დიდი ბრიტანეთი, ბელგია, ნორვეგია, შვედეთი, ესპანეთი და პორტუგალია, რომლებც მეოთხე ადგილზე არიან და საფრანგეთი“.

ადამიანის უფლებების ევროპულ სააგენტოში, რომელმაც მასშტაბური გამოკითხვა ჩაატარა, აღნიშნავენ, რომ ევროკავშირში ჰომოსექსუალთა დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის ბევრი სერიოზული პრობლემაა მოსაგვარებელი.

შეგახსენებთ: ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე 2003 წლიდან აღინიშნება და 17 მაისი შემთხვევით არ არის შერჩეული – 1990 წელს, მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ სწორედ ამ დღეს ამოიღო ჰომოსექუალიზმი დაავადებების საერთაშორისო კლასიფიკაციიდან.

ქართველი მეწარმეები რუსეთის ბაზარზე დაბრუნებას არ ჩქარობენ

უკვე დამზადებულია აქციზური მარკები ქართული ღვინისთვის, რომელიც უახლოეს პერიოდში რუსეთის ბაზარზე დაბრუნდება – ეს განცხადება Ðîñïîòðåáíàäçîð-ის ხელმძღვანელმა გენადი ონიშჩენკომ გააკეთა.

„ჯერჯერობით არავის მოუკითხავს აქციზური მარკები. ქართველი მეწარმეები, როგორც ჩანს, არ ჩქარობენ“, – აღნიშნავს ონიშჩენკო **Èíòåðôàêñ**-ისთვის მიცემულ ინტერვიუში. მისივე თქმით, ღვინის მწარმოებელ ცხრა ორგანიზაციას შეესაძლებლობა ეძლევა, რუსეთის ბაზარზე თავისი პროდუქციის შეტანა დაიწყოს. რუსეთში სარეგისტრაციოდ წარდგენილი იყო 135 ნიმუში, **Ðîñïîòðåáíàäçîð**-მა მათგან მხოლოდ 90-ზე წარმოადგინა დასკვნა.

დღესდღეობით, რუსეთის ფედერაციაში დარეგისტრირდა რამდენიმე ორგანიზაცია, მათ შორის: „კახეთის ტრადიციული მეღვინეობა“, „მარნისკარი“, აგრეთვე „ქინძმარაულის მარანი“, „ალავერდი“ და სხვ. გარდა ამისა, რუსეთში პროდუქციის შეტანის უფლება მიიღო **IDS Borjomi Georgia**-მ. რუსეთის მომხმარებელი ქართულ ღვინოსა და წყალს სულ მალე დააგემოვნებს.

მიმოხილვა მოამზადა Ბ. ჭავჭავაძემ.

როდის უნდა მოეთხოვოს პასუხი „ნაცმოძრაობას“, რომელმაც საქართველოს მოსახლეობას ათი მილიარდი ლარის ზარალი მიაყენა?

გვესაუბრება უფლებადამცველი დიმიტრი ლორთქიფანიძე:

— ბატონო დიმიტრი, ბოლო დროს განვითარებული მოვლენები ქართველი ხალხის მიმართ შეთქმულებას ჰგავს?

— ეს არ არის მხოლოდ ქართველი ხალხის წინააღმდეგ შეთქმულება. შეიძლება სიტყვა — შეთქმულება ბანალურად ჟღერს, მაგრამ ამას მსოფლიო მასშტაბით სერიოზული კამპანიის ხასიათი აქვს და ამაში მართლაც მსოფლიოში წამყვანი სახელმწიფოების უმაღლესი სტრუქტურები არიან ჩართულნი, მათ შორის შეერთებული შტატები. აშშ-ს პრეზიდენტის ობამას ბოლო გამოსვლები უმცირესობების დაცვის საკითხში პირდაპირ მიგვანიშნებს, რომ პრიორიტეტი სექსუალური უმცირესობების უფლებების ე.წ. ლგბტ-ის დაცვას ენიჭება. იგივე განცხადებებს აკეთებს ევროკომისიის მაღალჩინოსანი ეშტონი. რა თქმა უნდა, ზოგადად, ადამიანის ფუნდამენტალური უფლებები დაცულია ეროვნული კანონმდებლობებით, საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით. სადაოს არავინ ხდის, რომ ნებისმიერი ადამიანი განურჩევლად კანის ფერისა, რასისა, სოციალური კუთვნილებისა, პოლიტიკური შეხედულებებისა და ა.შ., დაბადებით თავისუფალი და კანონის წინაშე თანასწორია. როგორც ჩანს, საქართველოში ძალიან სერიოზულად მძლავრობენ ის ძალები, რომლებიც სხვადასხვა ფინანსური ინექციებით, ფონდების მობილიზაციით ცდილობენ მილიონიანი დაფინანსების წყარო უზრუნველყონ იმ ორგანიზაციებისთვის, რომლებიც თავის მხრივ შეეცდებიან პროცესში უფრო და უფრო მეტი ადამიანი ჩართონ, მათ შორის სტუდენტები. ამის ნათელი დადასტურებაა ფონდ „იდენტობისთვის“ გამოყოფილი 20 ათასიანი გრანტი, რითაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს 500 სტუდენტი 320 ლარიანი სტიპენდიით, რათა მათ ლგბტ პრობლემებთან დაკავშირებით პრობლემის აქტივიზაცია მოახდინონ. ეს ყველაფერი შესაბამისი ანტურაჟითაა შეფუთული. ის, რაც 17 მაისს მოხდა — ეპოქალური მნიშვნელობის ფაქტია. რა თქმა უნდა, საღად მოაზროვნე ნებისმიერი ადამიანი ძალმომრეობას ემიჯნება. გარკვეულ ინტერესთა ჯგუფებს სურდათ 17 მაისი დაეკანონებიათ როგორც ე.წ. ჰომოფობიის და გენდერული იდენტურობის საერთაშორისო დღე, რაც ჩავარდა. ღრმად მწამს, რომ 17 მაისი ქართულ ევროპულ სივრცეში დაკანონდება როგორც ერთსულოვნების დღესასწაული. ამ დღეს მსოფლიოს ვაჩვენეთ, რას ნიშნავს საზოგადოებრივი ზნეობის სადარაჯოზე ყოფნა. ცალსახად ვემიჯნები ძალადობას. გულდასაწყვეტია, რომ სამაუწყებლო კომპანიების აბსოლუტურმა უმრავლესობამ არ აჩვენა მშვიდობიანი აქციის მთავარი მსვლელობა.

— როგორ ფიქრობთ, რისი ბრალია, ის რომ ტელევიზიებმა მშვიდობიანი მსვლელობა არ გააშუქეს. იმის ხომ არა, რომ ტელევიზიების დიდი ნაწილი სწორედ ლგბტ-ის პატრონების კონტროლქვეშაა?

— მინიმუმ ორი ტელევიზიის მიმართ მაქვს განწყობა, რომ ისინი ობიექტურობას ცდილობენ. ის, რაც აქციის ბოლოს ლგბტ საზოგადოების მხრიდან მოხდა, ერთგვარი პროვოკაციის შედეგია. მათ კარგად იცოდნენ, რომ ხალხის კრიტიკული მასა რუსთაველზე იყო შეკრებილი. ეს მერის და მისი სამსახურის პასუხისმგებლობაა, რომელმაც პატრიარქისგან უშუალოდ მიიღო წერილი — საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის აუცილებლობიდან გამომდინარე ფლეშ-მობის ჩასატარებლად სანქცია არ გაცემულიყო.

ჩემთვის გულსატკენია, რომ „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი სუბიექტი — „რესპუბლიკური პარტია“, რომელიც ლიბერალური ინტერნაციონალის საერთაშორისო ფორუმის წევრი გახლავთ, ამასთან დაკავშირებით შესაბამის, ადეკვატურ განცხადებებს არ აკეთებს. ისინი, მალე, მართლაც ქარიშხალს მიიღებენ. 17 მაისმა კარგად დაგვანახა, რომ ეს ერთგვარი მენტალური რევოლუცია იმის მაუწყებელი იყო, რომ ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს. ამის განხორციელება აუცილებელია, რათა მართლა ვიგრძნოთ თავი ჩვენი მიწა-წყლის მეპატრონეებად და მცდარ დირექტივებს არ დავემორჩილოთ. ჩვენ ერთხელ უკვე ვცხოვრობდით საბჭოთა კავშირში. გვაქვს კავშირში ცხოვრების გამოცდილება. თუკი ევროკავშირი საბჭოთა კავშირისგან რადიკალურად განსხვავებული უნდა ყოფილიყო, დღეს ვღებულობთ შემდეგს — ევროკავშირში გაწევრიანების ერთ-ერთი პირობა სწორედ მსგავსი საკანონმდებლო აქტების მიღებაა. თუ ამ არჩევანის წინაშე ვართ, მე, როგორც ერთი რიგითი მოქალაქე და არა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი, პირდაპირ ვაცხადებ — ჩემთვის მიუღებელია ნებისმიერი კავშირი, როგორი საოცნებო, ზღაპრულ მომავალსაც არ უნდა მიწინასწარმეტყველებდეს, თუკი ხელის აღება მომიწევს 17 საუკუნოვანი ქრისტიანული კულტურიდან მიღებულ ფასეულობებზე, რისი დაცვაც კბილებით გვიწევს.

თქვენი გაზეთის ფურცლებიდან მინდა დიდი მადლობა მოვახსენო შსს-ს წარმომადგენლებს. ისინი ხალხის გვერდით იდგნენ — მშვიდობიან აქციას აპლოდისმენტებით ხვდებოდნენ, ზოგიერთი ლიბერალური არასამთავრობო ორგანიზაცია, სამწუხაროდ, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაც, აცხადებს თითქოს პოლიციამ მოსახლეობას ჯებირი ხელოვნურად გაუხსნა — ასე არაა. იქ ვიყავი, კრიტიკული მასა დაგროვდა და პოლიცია უკვე უძლური იყო პროცესები შეეკავებინა. რაც შეეხება ჩერგოლეიშვილებისა და მსგავსი ვამპირების მოწოდებას — რატომ არ გამოიყენეთ ხელ-კეტები, სპეციალური ტექნიკაო, რასაც ვანო მერაბიშვილი დაუნდობლად, უხვად იყენებდა, დიახაც, ახლა, ცივილიზებული, ნდობის აღმდგენი აქტი განხორციელდა. ამიტომ ირაკლი ღარიბაშვილს ამისათვის მადლობას ვეუბნები.

— სხვათა შორის, ჩერგოლეიშვილმა ისიც თქვა, ხალხმა სახელმწიფოს აჯობა, ეს უკანასკნელი ძალადობას ვერ გაუმკლავდაო. მათი მცდელობა ღარიბაშვილთან ერთად, ივანიშვილის ავტორიტეტის შელახვაზეც ხომ არ არის გამიზნული?

— რა თქმა უნდა, ირიბად, ღარიბაშვილის გავლით, ივანიშვილზე იერიშის მიტანა ხორციელდება. ეს კარგად გამოჩნდა მაშინ, როდესაც ბათუმის პოლიციის უფროსის წინააღმდეგ დაიწყო კამპანია და აღარ დასრულდა. ახლაც იყო პრლიციაზე იერიშის მიტანის მცდელობა, რაშიც სახალხო დამცველიც ჩართული იყო. აღარაფერს ვამბობ სამღვდელოების წინააღმდეგ გაკეთებულ მკვახე განცხადებებზე, რითაც ქვეყანაში სახალხო დამცველის ავტორიტეტი მნიშვნელოვნად დაეცა, რაც ძალიან ცუდია.

— რაც შეეხება 19 მაისის ყრილობას, ეს გარკვეულწილად 17 მაისის გაგრძელება იყო. რა ხდებოდა ყრილობაზე?

— დიახ, 19 მაისი 17 მაისის ლოგიკური გაგრძელება იყო. აქციაზე „თავისუფალი საქართველო“ — კახა კუკავა, მე და ჩვენი პოლიტიკური პარტნიორი ჯონდი ბაღათურია ერთად ვიმყოფებოდით. მხარს ვუჭერთ კანონიერ მოთხოვნას — სამართლიანი სამართლებრივი გარემოს აღდგენა — ეს დაპირება, რის გამოც 1 ოქტომბერს ხალხმა მხარი დაუჭირა ამჟამინდელ ხელისუფლებას, ჯერჯერობით ჩიხშია და აქედან გამოსავლის კონკრეტული ნაბიჯები არ ჩანს. ამიტომ, 19 მაისი „ქართული ოცნებისთვის“ ერთგვარი ყვითელი ბარათი იყო. თუ ამ პროცესებზე, ივანიშვილზე გული შეგვტკივა, რა თქმა უნდა, ჩვენი კრიტიკა არგუმენტირებული უნდა იყოს და ჯანსაღი, რათა „ქართულმა ოცნებამ“ და მისმა ლიდერმა სწორი დასკვნები გააკეთონ. როცა ვამბობთ, რომ წლების მანძილზე პირთა ჯგუფის პოლიტიკური დევნა ხორციელდებოდა, მკვლელობები ქუჩებში, ციხეებში მასობრივი გაუპატიურებები, ქონების უკანონო ექსპროპრიაცია, რამაც ჯამში კოლოსალური თანხა — 10 მილიარდ ლარზე მეტი შეადგინა. ჯერჯერობით, ოფიციალური განაჩენით, ერთი ჯიხურიც კი არ დაბრუნებულა. ასევე, უკანონოდ დაუსაბუთებელი განაჩენებით მსჯავრდებულ პირთა გადახედვის საქმეებთან დაკავშირებითაც, ჯერჯერობით, გაუგებარია, რა როლი უნდა შეასრულოს მართლმსაჯულებაში არსებული ხარვეზების გამოვლენის სახელმწიფო კომისიამ. დღეს ვიგებთ, რომ ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით მუშაობაზე კომისია უფლებამოსილი არ იქნება. სისხლის სამართალწარმოებაშიც დიფერენცირებული მიდგომებია. როგორც ჩანს, ვიღაც ცდილობს, ცალკე გამოჰყოს ისეთი საქმეები, სადაც პირის მიმართ მიყენებული ზიანი 100 ათას ლარს აღემატება. საინტერესოა, რა დააშავა იმ ადამიანმა, რომლის უკანასკნელი ქონება, ვთქვათ 500 ლარიანი ნივთი იყო, რომელიც მას უკანონოდ წაართვეს. ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს „კავკასუს-ონლაინის“ მიმართ განხორციელებული უკანონობების კასკადი. მიუხედავად იმისა, რომ შეიქმნა ბიზნესმენთა გაერთიანება —„დააბრუნე“, სადაც 300 დაზარალებული ბიზნესმენია, მათ ელემენტარულად ყოფილ კოლეგასთან ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრა ვერ მოახერხეს. ივანიშვილმა არცკი იცოდა ამ ორგანიზაციის შესახებ. მისი გარემოცვა ვალდებულია პრემიერს დროულად მიაწოდოს ინფორმაციები. სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნის პროცესი, დღეს ძალიან გამწვავებულია. იმედია, ივანიშვილი სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს. პოლიტიკური ამნისტია ვერ მიიღება, სანამ ყველა მნიშვნელოვანი სამართალდარღვევა არ გამოაშკარავდება. წულუკიანმა ერთ-ერთ გადაცემაში თქვა — მთავარი პროკურატურა დაავადებულია. მთავარი პროკურორის ადგილას რომ ვყოფილიყავი, პროცესი სწრაფად წავიდოდა. ეს სრულიად გაუგებარი განცხადებაა იმიტომ, რომ წულუკიანი მთავარი პროკურორის მოქმედებებზე პოლიტიკურად პასუხისმგებელი პირია. ამიტომ მის განცხადებას განმარტება უნდა მოჰყვეს, ფრჩხილები გაიხსნას და ითქვას, რომ იუსტიციის მინისტრი პროკურორის საქმიანობით უკმაყოფილოა. ფაქტობრივად, ეს ხელოვნურად გაჭიანურებული პროცესია, რომლის უკან კონკრეტული ინტერესები დგას. ეს არის ლოგიკური გადაბმა, თუ რა უნდა მოჰყვეს წულუკიანის განცხადებას. თუ ამას არ გააკეთებს, როგორც პასუხისმგებელი პირი, თავად უნდა გადადგეს.

დღეს რომ ძველი პროკურორების 80 პროცენტი ისევ მუშაობს, ესეც საზოგადოების თავში სახლეულია?! თეა წულუკიანი თურმე ურეკავს პროკურორებს და ეუბნება — თქვენ რომ საქმე გაწერიათ, ადრე ეს ადამიანი თქვენს მიერ უკანონოდ იქნა მსჯავრდებული და არ გრცხვენიათო. ეს რომელი ოპერიდან თუ დრამატული შედევრიდანაა — სამარცხვინოა. ყურმილის აღება და ნამუსზე შეგდება კი არა, მოქმედებებია საჭირო. გვაბოლებს იუსტიციის მინისტრი, თუ როლებშია შეჭრილი?! ეს იმდენად გამაღიზიანებელია, რომ ამას წერტილი უნდა დაესვას. ბევრი საქმეა გამოსაძიებელი, იგივე ივა ჩერმინაძის და სხვა. სრულიად გაუგებარია რა ბედი ეწია ადეიშვილის მიმართ წარმოებულ საერთაშორისო ძებნას. წულუკიანმა გვაუწყა, ადეიშვილი ბუდაპეშტშიაო. ვიცით, რომ კეზერაშვილი თელავიდან ლონდონში დაუბრკოლებლად დაფრინავს. ასევე, თურქეთის ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილდებიან მეგის ქარდავა, სოსო თოფურიძე, დათა ახალაია და სხვა. რასთან გვაქვს საქმე? — მიზეზი შეიძლება ორი იყოს: ერთი — ძალიან დიდი ფული და მეორე — ის კომპრომატი, რომელიც დამნაშავე პირების დაუსჯელობის სინდრომის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით ხელსაყრელ გარემოს ქმნის.

— როგორ უნდა დაუსვათ ამ ყველაფერს წერტილი?

— ჩვენ არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ერთ მშვენიერ დღეს გათენდება და ამ ყველაფერს საზოგადოება წერტილს დაუსვამს. არა, ასე არ მოხდება. უბრალოდ ვამბობ — დღეს არავის ინტერესში არ შედის, რომ ივანიშვილის გრანდიოზული ავტორიტეტი, პოლიტიკური საქმიანობისადმი ნდობის მაღალი ხარისხი ერთ მშვენიერ დღეს განულდეს. სწორედ ამის იმედი აქვს „ნაც. მოძრაობას“, რაც საზოგადოებისთვის მისაღები არაა. რა თქმა უნდა „ქართული ოცნება“ საკუთარ რეიტინგზე, იმიჯზე უნდა ზრუნავდეს. თუკი დაპირებული პროცესი გაიჭიმება, საზოგადოებას ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ლეგიტიმური მოთხოვნა გაუჩნდება. ამ შემთხვევაში, მომავალ პარლამენტში „ნაც. მოძრაობა“ უბრალოდ აღარ იარსებებს და იქ წარმოდგენილი იქნება ის ძალები, რომლებიც პარლამენტს გარეთ დარჩნენ და თავისი აქტიურობით ნდობას იმსახურებენ.

თამარ შველიძე
555 23 28 24

რატომ წყალობს ახალი ხელისუფლება იმ ადამიანებს, ვინც განათლების სისტემა დაანგრია?

გია ხუბუას, რომელმაც პროფესორის კონკურსშიც ვერ გაიმარჯვა, ახლა ადმინისტრაციულ-მეცნიერებათა ინსტიტუტი გაუხსნეს



თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი წლების განმავლობაში ნაცხელისუფლების მიერ მიზანმიმართულად ნადგურდებოდა. დღეს იქ შექმნილ სიტუაციაზე გვესაუბრება უნივერსიტეტის ყოფილი თანამშრომელი, პროფესორი ბატონი გიორგი გოგოლაშვილი.

— ბატონო გოგი, რა მდგომარეობაა დღეს უნივერსიტეტში?

— სწორად რომ გაიგოთ, რა ხდება დღეს სახელმწიფო უნივერსიტეტში, ჯერ მოკლედ იმაზე უნდა მოგითხროთ, რა მოხდა ჩვენს თვალწინ წლების განმავლობაში და როგორ ნადგურდებოდა ყველაფერი უნივერსიტეტში.

2005-06 წლებში, მოგეხსენებათ, ძირეული რეფორმები მოხდა. ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში დაიხურა კათედრები, გაათავისუფლეს პროფესორ-მასწავლებლები. იმ ხანებში რექტორის სავარძელს ქალბატონი **რუსუდან ლორთქიფანიძე** იკავებდა, მაგრამ ქალბატონმა რუსუდანმა ვერ გაამართლა ნაციონალების იმედები და იგი ძალიან უცნაური ფორმებით **გია ხუბუათი** ჩაანაცვლეს. ხუბუა აღმოჩნდა ნაციონალების დაკვეთების უბადლო შემსრულებელი. კერძოდ, 5000-მდე თანამშრომელი გაყარეს უნივერსიტეტიდან, ერთი ბრძანებით გაუქმდა სამეცნიერო სექტორი, ყველა კაბინეტი და ლაბორატორია, ყველა ცენტრი. გაუქმების მიზეზად კი სახელდებოდა ერთადერთი რამ — რეფორმა.

ათეული წლებით ნაგები ფიზიკის, ქიმიის სხვა დისციპლინების კაბინეტ-ლაბორატორიები გაცამტვერდა, დაიშალა, განადგურდა უმოწყალოდ; ვაჟა-ფშაველას, ილიას, რუსთაველის და სხვა დიდებულ მწერალთა კაბინეტები მოისპო. იმ ხანებში უნივერსიტეტში დაიწყო მოძრაობა ამ ძალადობის წინააღმდეგ, მაშინდელმა განათლების მინისტრმა **კახა ლომაიამ** ჩვენთან ბრძოლის ახალი გზა გამოძებნა — უაპელაციოდ გაყარა ის პროფესორები უნივერსიტეტიდან, რომლებიც ხელს უშლიდნენ, თითქოსდა, რეფორმების განხორციელებას და საბოლოო ჯამში, 5000 პროფესორ-მასწავლებლიდან უნივერსიტეტში 800-მდე თანამშრომელი დარჩა.

ყველაფერი ეს კი ხუბუას ხელით კეთდებოდა. ფაქტობრივად, მოხდა ის, რომ გამოიყენეს ეს ადამიანი, აკეთებინეს უამრავი ბინძური საქმე, მათ შორის სერიოზული ფინანსური მაქინაციები, რომელთა შესახებაც პროკურატურას უკვე გადავეცით მასალები. თუმცა დღემდე ყველაფერი მიჩუმათებულია და რეაგირება არც მომხდარა. მოკლედ, ხუბუას კრიმინალური საქმეები აკეთებინეს, მერე ამხილეს ბიბლიოთეკიდან უნიკალური წიგნების გაუჩინარებაში და 2010 წელს დაატოვებინეს რექტორის თანამდებობა.

მაგრამ, წარმოიდგინეთ, რომ კვიტაშვილის რექტორად დასმა კიდევ ერთი დიდი უცნაურობა იყო. თუ გასული საუკუნის 20-იან წლებს არ ჩავთვლით, ეს არის პირველი შემთხვევა უნივერსიტეტის ისტორიაში, როცა უნივერსიტეტის რექტორი არის კაცი, რომელიც არც მეცნიერია, არც პედაგოგი. ერთი ლექცია არ ჩაუტარებია ცხოვრებაში და ერთი ნაშრომი არ გამოუქვეყნებია. დილით დააწერინეს განცხადება ჯანდაცვის მინისტრის პოსტის დატოვებაზე და საღამოს უკვე უნივერსიტეტის რექტორად მოგვევლინა.

კვიტაშვილის საკითხს კვლავ დავუბრუნდები, მაგრამ საუბარი მინდა განვაგრძო პრეზიდენტის ვეტოზე, რომელიც მან დაადო პარლამენტის კანონ-პროექტს, რაც ითვალისწინებს — კერძო პირი იქცეს საჯარო სამართლის იურიდიულ პირად. უნივერსიტეტი გადააკეთეს კერძო სამართლის იურიდიულ პირად, ანუ კერძო სასწავლებლად.

— ვისი ინტერესი იყო ეს?

— **გიგი თევზაძე** ახლა ამაზე ვითომ პროტესტს აცხადებს, სინამდვილეში თვითონ არის ლოგიკერძო პირი. ეს ერთ-ერთი, ვინც ახალი ხელისუფლების მოსვლას აქტიურად ვუჭერდი მხარს.

გასული წლის აგვისტოში აკადემიურ თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში ვერ გავიდა **ნოდარ ხადური** და **დავით ნარმანია**. ხადურმა მაშინ, ატეხა ერთი ამბავი — პოლიტიკური ნიშნით მდევნიანო. ისინი იმ ხანებში ბიძინა ივანიშვილის გვერდით იდგნენ. ოქტომბერში ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები, გაიმარჯვა კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ და სასწრაფოდ გამოუცხადა კვიტაშვილმა მათ ცალკე კონკურსი. ხადური და ნარმანია მიიღეს პროფესორებად.

— რა მოხდა, მერე, ბატონო გოგი?

— ის მოხდა, რომ კვიტაშვილი ასრულებს ხელისუფლების დავალებას. ჯერ წინა ხელისუფლების მორჩილი იყო, ახლა ამათ ემსახურება, მაგრამ მე ერთი რამ მაინტერესებს — თუკი სექტემბერში ბატონი ხადური გმობდა და უსამართლოს უწოდებდა ჩატარებულ კონკურსს, მაშინ მას ლოღეს ამბებს გავიხსენებ: რექტორობიდან ხუბუას ჩამოცილების შემდეგ აკადემიურმა საბჭომ ერთხმად აირჩია რექტორობის მოვალეობის შემსრულებლად **სურგულაძე**, შემდეგ ისევ ერთხმად გადაირჩიეს სურგულაძე და ერთხმად აირჩიეს **კვიტაშვილი**. ეს არის დემოკრატიული არჩევნები? ფაქტია, რომ ასე იყო მითითება, რაც აუცილებლად უნდა შესრულებულიყო...

— დღეს რა სიტუაციაა?

— ხდება სამწუხარო რამ და ეს დიდი ტრაგედიაა ჩემთვის, რადგან მე ვარ ერთ-ერთი, ვინც ახალი ხელისუფლების მოსვლას აქტიურად ვუჭერდი მხარს.

ახლანდელ ხელისუფლებას აწყობს უნივერსიტეტში სიწყნარე იყოს და უნივერსიტეტის აღდგენა-აღორძინებაზე ხმა და კრინტი არ ისმის.

რაც შეეხება **გია ხუბუას**, ყოფილ რექტორს, 2010 წელს იგი უნივერსიტეტიდან გაუშვეს, როგორც დამნაშავე, 2011-ში მან მოინდომა პროფესორის თანამდებობაზე კონკურსში მონაწილეობა, მაგრამ საერთოდ ვერ მიიღო ხმები. 2013-ის იანვარში ის აირჩიეს პროფესორად და გაუხსნეს ადმინისტრაციულ-მეცნიერებათა ინსტიტუტი, რომლის დამფუძნებლები მასთან ერთად არიან ნოდარ ხადური და **დავით ნარმანია**. ეს ნიშნავს, რომ ის უკანონობანი, რაც მოხდა სახელმწიფო უნივერსიტეტში, ამ ხელისუფლებამ ჩვეულებრივ ამბად მიიღო და დაიკანონა...

უნივერსიტეტის იმ ორგანიზაციებმა, რომლებიც ვიბრძოდით და ვიბრძვით დედა-უნივერსიტეტის გადარჩენისთვის: „ქართული აკადემია“, „საუნივერსიტეტო დარბაზი“, „უნივერსიტეტელი“, „სოლიდარობა განათლებული საქართველოსთვის“, თებერვლის თვეში მივმართეთ პრემიერ-მინისტრსა და პარლამენტის თავმჯდომარეს. მიმართვაში ჩამოწერილი გვქონდა, რა უბედურებებიც დატრიალდა უნივერსიტეტში, ვითხოვდით, შესწავლილი ყოფილიყო უნივერსიტეტში მომხდარი ვანდალიზმი, მომხდარყო ამ ამბების სამართლებრივი და პოლიტიკური შეფასება... ამ თხოვნაზე პასუხი არ მიგვიღია. მერე გამოვაქვეყნეთ თხოვნა შეხვედრაზე თქვენს გაზეთში. ამის შემდეგ დავწერეთ წერილი, სადაც ვთხოვდით მინისტრს, ბატონ **მარგველაშვილს**, შეგვხვედროდა მე, თქვენს მონა-მორჩილს, ბატონ **ჯემალ მებონიას** და ქალბატონ **აველინა დავითულიანს**, მაგრამ არათუ შეგვხვდა ბატონი მინისტრი, პასუხის ღირსადაც კი არ გაგვხადეს. ჩვენთვის არაფერი არ გვინდოდა, უნივერსიტეტის სატკივარზე გვსურდა ლაპარაკი და საქმის კეთება. იმდენს აღარ ვიმსახურებთ, რომ ვინმემ მიგვიღოს და მოგვისმინოს?

5000 ლექტორი, პროფესორ-მასწავლებელი რომ მიმოფანტეს ცხვრებივით, მაშინ მე ძველი ქართული ლიტერატურის კათედრის გამგე გახლდით აკაკი შანიძის კათედრაზე. ამ კათედრაზე მაშინ 23 თანამშრომელი მუშაობდა, ძალიან ცნობილი სახეები. რეფორმების მძვინვარების პერიოდში კათედრა გააუქმეს, დეპარტამენტი უწოდეს და დღეს იქ სამი ადამიანია დასაქმებული.

აღფრთოვანებული შევხვდით „ქართული ოცნების“ გამარჯვებას, მაგრამ უკვე მერვე თვეა, რაც ახალი ხელისუფლება გვყავს, რამდენჯერმე მივმართეთ — აღდგეს უნივერსიტეტში კანონიერებაო, მაგრამ „შეაყარე კედელს ცერცვი“.

ათეული წლების ნალოლიავები სამეცნიერო დარგები მიწასთანაა გასწორებული, დარგების სპეციალისტები აღარ არსებობს. სამწუხარო ამბავია ეს.

— ბოლოს და ბოლოს, რეფორმამ ნგრევის მეტი არაფერი არ მოიტანა?

— ლომაიას გამინისტრებიდან ცოტა ხნის გასვლის შემდეგ თვით განათლების მინისტრმა და კომიტეტის თავმჯდომარე **ლევან ბერძენიშვილმა** ერთობლივი პრესკონფერენცია ჩაატარეს. სადაც აღნიშნეს, კვლევის შედეგად ცხადი გახდა, რომ საქართველოში მეხუთეკლასელი ბავშვების დიდმა უმრავლესობამ არ იცის წერა-კითხვაო. განვითარებადი ქვეყნის სტატუსი უნდა მიგვეღო, რომ წამოსულიყო გრანტები, სესხები და ა.შ.

ამისთვის დაანგრიეს ყველაფერი და შედეგად ერთმა მუჭა ჯგუფმა მილიარდები მიიღო. ახლაც განათლების დონით ევროპაში ძალიან სამარცხვინო ადგილზე ვართ.

უნდა მოხდეს იმის შეფასება, თუ როგორ და რატომ დაანგრიეს განათლების სისტემა საქართველოში. ამას ვითხოვთ ჩვენ, გვსურს გაირკვეს, რა მოხდა განათლების სისტემაში 2004-12 წლებში. ჩვენ არ ვითხოვთ, რომ კერძოდ მე ან სხვები დაგვაბრუნონ უნივერსიტეტში. ჩვენ გვინდა ახალგაზრდებით, მცოდნე სპეციალისტებით დაკომპლექტდეს უნივერსიტეტი, აღსდგეს მისი ძველი ავტორიტეტი და სახელი, სხვა მიზანი ჩვენ არ გვაქვს. უნივერსიტეტი უნდა გადარჩეს.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

ეს ხელისუფლებაც მოსაშორებელია, ამდენს რომ ბლატაობს საქართველოში მეტრაკეები, ამათი ბრალია, ესენი არც სამართლიანობის აღმდგენები არიან და არც არაფრის. ამიტომ მივდივარ ხვალ სპორტის სასახლეში, რომ დავდგე და დავიცვა ყველა ის ადამიანი, რომელიც გაამწარა ნაცხროვამ და რომელსაც ვერაფერს ან არაფერს სთხოვს ეს იმპოტენტი ხელისუფლება

როცა მრევლი თვლემს, მოძღვარი ვალდებულია შეანჯღრიოს საკუთარი მრევლი და მაგალითიც მისცეს გამოღვიძებისა.. რაც გუშინ გაკეთდა კიდეც მათი მხრიდან...

გუშინდელმა მოვლენებმა ნიღაბი ჩამოხსნა ბევრ გადაგვარებულს და გული გაუნათა ბევრ ქართველს... ახლა რაც უნდა ის გვეძახონ... ბნელები, გაუნათლებლები, ველურები და ა.შ., ერთი ცხადია; არ აპირებს ქართველი ერი სხვისი კარნახით ცხოვრებას... საკუთარ ფასეულებებზე უარის თქმას რაღაც, გაუგებარი, დასავლური ფასეულებების სანაცვლოდ... დასავლეთის გარყვნილი წესით და კანონებით ცხოვრებას... ეს ყველამ გაითავისოს, გარეულმაც და განსაკუთრებით, შინაურმა... მამული, ენა, სარწმუნოება. ესაა ჩვენი ცხოვრების წესი...

ქართველმა ხალხთა დღეს მეტრაკეთა აქცია კი არ გააპროტესტა,არამედ გააპროტესტა საფრთხის შემცველი კურსი „მოყვარული„ მტრისკენ სავალი და ეს ძალიან კარგია. რომ არა დასავლეთისა და ამერიკისაგან ჩანერგილი საფრთხე, ქვეყნის მომავლისა და თავისუფლების ხელყოფისა, ქართველი ხალხი არათუ ხელს შეუშლიდა, არამედ თანაგრძნობით დაეხმარებოდა უმცირესობებს აქციის ჩატარებაში.

ამ ხალხის ვერაფერი გავიგე... რამე რომ გაუჭირდებათ - სად არის ეკლესია და სამღვდელოება, რატომ პასიურობენ და საქვეყნო გასაჭირს რატომ არ უდგანან მხარშიო! თუ ამოიღებენ ხმას მამაოები და ცოტას გაინძრევიან - ეს როგორ შეიძლება, ეს არის მართლმადიდებლობა და ეს არის ქრისტიანობაო? ეპისკოპოსები რომ ომებში წინ მიუძღოდნენ ლაშქარს, ის შეიძლებოდა და ახლა ნაკლები ომია თუ ნაკლები მტრები გვყავს? ახლა რომ ომში ვართ და ახლა რომ მტრები გვყავს, შეიძლება, ასეთი არც არასდროს გვყოლია!!! ... კარგად დაიმახსოვრეთ: სწორედ ეს არის მართლმადიდებლობა და სწორედ ესენი არიან მართლმადიდებელი მღვდლები!!! ეს არის ქართული ეკლესია და თქვენს გამო ვერ გადაკეთდება!!!! ვერც ახალ მამაოებს ჩამოგვიყვანენ სააკაშვილის გაცვლითი პროგრამებით!!!(ინგლისურის მასწავლებლებივით)! ვისაც არ მოგწონთ, ქვეყნად უამრავი სხვა სარწმუნოებაც არსებობს!!! თქვენი თავები გადაირჩინეთ, ჩვენ როგორმე მივხედავთ ჩვენსას!

რ-2 წამყვანი: ლგბტ პირები და მათი მომხრეები უსაფრთო ადგილზე არიან... მათ აქციის ჩატარება ვერ შეძლეს, იმიტომ, რომ სხვა პირები და უამრავი ადამიანი მათ დაუპირისპირდათ... მიაშველეთ პლატოკი ვინცხამ, დავიწვი საცოდაობით :)

ვინ გაუყიდა სტუდენტებს მარტყოფის სამეცნიერო ბაზა?

მიუხედავად იმისა, რომ ახალი ხელისუფლების მხრიდან უმაღლესი სკოლის შემდგომი განვითარებისათვის ახალი საგანმანათლებლო რეფორმა-კონცეფცია იქნა შემუშავებული და პრემიერ-მინისტრის მიერ მოწონებული, ერთ-ერთი უპირველესი უმაღლესი სასწავლებელი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი კვლავ უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა, მის ერთ-ერთ ფუნდამენტურ მეცნიერებად მიჩნეულ გეოგრაფიის მიმართულებას, თსუ-ს ბალანსზე რიცხული მარტყოფის სასწავლო გეოგრაფიული ბაზა გაუყიდეს!

ის ერთადერთი უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო ცენტრი გახლდათ არა მხოლოდ პოსტსაბჭოთა კავშირის მასშტაბით, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, რომელშიც პრაქტიკის გასავლელად ჩამოდიოდნენ მსოფლიოს წარმატებული ქვეყნების დიდი მეცნიერები და სტუდენტები.

მცირედი ექსკურსი განმარტებისათვის: მარტყოფის სტაციონარი დაარსდა 1963 წელს გამოჩენილი მეცნიერის **მ. სანებლიძის მიერ** და მისი მიზანი და დანიშნულება იყო ვაკისა და მთის ლანდშაფტების მსხვილმასშტაბიანი კომპლექსური ფიზიკურ-გეოგრაფიული შესწავლა. ეს ადგილი გამორჩეული იყო სტუდენტთა პრაქტიკისათვის იმ მიზნითაც, რომ აქ გვხვდება როგორც ჭალები, მდელოები, სტეპები, ბუჩქნარები ტყეები და სხვა კულტურული ნათესები და ნარგავები. ყოველივე სრულიად აკმაყოფილებდა სტუდენტთა პრაქტიკის სასწავლო და საკვლევი მუშაობისათვის წაყენებულ მოთხოვნებს.

1966 წელს სტაციონარის ტერიტორიაზე დიდი მეცნიერის **ნიკოლოზ ბერუჩაშვილის** მიერ შეიქმნა მუზეუმი-ექსპოზიცია.

სტაციონარზე ტარდებოდა საველე პრაქტიკა სხვა (უცხოეთის) უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის მათ შორის: **მოსკოვის, ლენინგრადის, ლვოვის, ყაზანის, ხარკოვის, გროზნოს, ერევნის, ტარტუს, რიგის, მინსკის, ვილნიუსის, ქვეყნების: პოლონეთის, გერმანიის, საფრანგეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, რუმინეთის, ბულგარეთის აშშ-ს ვიეტნამის, ჩილეს უნივერსიტეტებიდან.**

მარტყოფის ბაზას უკავია 40040 კვ.მ. ფართობი თავისი ნაგებობებით.

დღეისათვის ცნობილი გახდა, რომ ეს სტაციონარი თავისი 40040 კვ.მ. ფართით, საიდუმლოდ გაიყიდა 2011 წლის 5 თებერვალს კვადრატული მეტრი 3 ლარად და დღეს მისი მფლობელია **ვანო მერაბიშვილის** ახლო მეგობარი **ვინმე მამუკა კაკაბაძე — მარტყოფის მკვიდრი.**

შესაბამის უწყებაში ქმედება განახორციელა და უფლებამოსილება მინიჭებული ჰქონდა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს თანამშრომელს — **ზვიად საპანაძეს.** სასწავლო ცენტრი, სტაციონარი დღეს თითქოს ეკუთვნის გარდაბნის მუნიციპალიტეტს, რომელმაც ისე გაასხვისა ეს ფართი, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტის მესვეურებისათვის არაფერი უკითხავთ, ამდენად და შესაბამისად, უნივერსიტეტმა დაკარგა ამ უძრავი ქონების მოსარგებლის სტატუსი და საჯარო რეესტრის მიერ განხორციელდა ამონაწერში ცვლილება.

როგორც უნივერსიტეტის თანამშრომლები ამბობენ, **ქონების გასხვისება იმდენად საიდუმლოდ განხორციელდა, რომ ამის შესახებ ბუღალტერიას არ ეცნობა და ისინი 2012 წლის ჩათვლით იხდიდნენ ამ ბაზის დენისა თუ სხვა გადასახადებს** ისევე, როგორც ნებისმიერი უნივერსიტეტის კორპუსებისას, რაც კიდევ ერთი სერიოზული დარღვევაა მათი მხრიდან.

საკითხთან დაკავშირებით ვესაუბრებით თსუ საქართველოს გეოგრაფიის და ლანდშაფტური დაგეგმარების დეპარტამენტის ხელმძღვანელს, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ნოდარ ელიზბარაშვილს:

— 2011 წლის 7 აპრილს დავდექით სამწუხარო ფაქტის წინაშე, საღამოს 5 საათზე

შევიტყვეთ, რომ მარტყოფის ბაზა აუქციონზე იყიდებოდა დილის 10 საათზე და ეს ჩვენ არ ვიცოდით, მისი გამყიდველი კი გახლდათ ეკონომიკის სამინისტრო.

მცირედ დროში, საღამოთი 87 სტუდენტისა და ფაკულტეტის თანამშრომლების მიერ დაიწერა განცხადება ხელმოწერებით, სადაც ვითხოვდით ამ აუქციონის შეჩერებას. ვერაფერს გავხდით, მეორე დღეს 10 საათზე, კვადრატული მეტრი სამ ლარად 5 წუთში გაიყიდა ჩვენი ბაზა! 4 ჰექტარი მიწიდან 3 ჰექტარი არის ნაკრძალი 50 წლის, მეცნიერებისთვის უნიკალური, სადაც შენარჩუნებულია ბუნებრივი ეკოსისტემები, ასევე, ამ მიწაზე არის შენობა-ნაგებობები და მისი გაყიდვა 3 ლარად — ეს გახლავთ დაცინვა! იმავე დღეს ჩვენ გვქონდა შეტანილი განცხადება პროკურატურაში, რომ გაეჩერებინათ აუქციონი. სამწუხაროდ, ძველი ხელისუფლების პირობებში ეს ვერ მოხერხდა.

ასეთი იგნორირების შემდეგ მე პირადად შევხვდი თსუ რექტორს კვიტაშვილს, რომელმაც მითხრა, რომ ამ სტაციონარის მყიდველი იქვე ჩვენ სამაგიეროდ აგვიშენებდა თანამედროვე, კომპიუტერიზებულ ახალ ბაზას, თუმცა, არაფერი თქვა იმაზე, თუ რა ეშველებოდა ამ უნიკალურ ნაკრძალს, რომელიც 50 წლისაა და მის შექმნას ამ დონეზე კვლავ ერთი ამდენი დრო სჭირდება. დავიწყეთ მოლაპარაკებები ახალ მეპატრონესთან და იმაზეც თანახმა ვიყავით, რომ ნაკრძალის მცირედი, მეოთხედი ნაწილი მაინც დაეთმოთ. ამის შემდეგ ეს მოლაპარაკებები შეჩერდა და უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისაგან მივიღეთ ზეპირი პასუხი, რომ თავად უნივერსიტეტი გამოისყიდდა მიწას და აგვიშენებდა ახალ ბაზას მარტყოფში. ანუ პირობა, რომ 3 ლარად მყიდველი მეპატრონე დაგვიბრუნებდა მიწის ნაწილს — გაქრა! მე პირადად ვფიქრობ, რომ უნივერსიტეტს კი არ უნდა გამოესყიდა კვლავ ეს ბაზა, არამედ უკანონო მეპატრონეს უნდა დაებრუნებინა კვლავ ის უნივერიტეტის მფლობელობაში. 2012 წლიდან კი, მას შემდეგ რაც ახალი ხელისუფლება მოვიდა სათავეში, ეს საქმე შეჩერდა გაურკვეველ ეტაპზე. ამის გამო კვლავ შევხვდი თსუ რექტორ კვიტაშვილს 2012 წლის დეკემბერში და ამ საქმის შესახებ შევახსენე. მან მიპასუხა, რომ თუ ამ ბაზის ახალ მეპატრონეს არაფერი არ აქვს გაკეთებული ამ მიწაზე, მას ჩვენ დავიბრუნებთო, რა ფორმით ჩემთვის უცნობია.

დღესდღეობით გეოგრაფიის მიმართულების 325 სტუდენტმა მოაწერა ხელი განცხადებას და მიმართეს რექტორს ამ საკითხთან დაკავშირებით. სავარაუდოდ, კვიტაშვილი მას გაეცნო და პასუხი სტუდენტებმა მიიღეს, თსუ იურიდიული დეპარტამენტის უფროსის **არჩილ კუკულავასგან** — რომელიც გახლავთ ასეთი, რომ უნივერსიტეტი არაფერ შუაშია, რადგანაც მარტყოფის სტაციონარი გაიყიდა გარდაბნის რ-ნის მუნიციპალიტეტის მიერ და ის აუქციონზე გაიტანა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ. ამით უნივერსიტეტმა პასუხისმგებლობა მოიხსნა ისე, თითქოს ასეთი უდიდესი მნიშვნელობის სტაციონარი არც კი გვქონოდა მთელი 50 წლის მანძილზე! **ეს არის ნონსენსი!**

ახალი ხელისუფლების პირობებში მოვითხოვთ ერთს, **ნებისმიერი საშუალებით დაუბრუნდეს მარტყოფის სტაციონარი უნივერსიტეტსა და სტუდენტებს!** მივმართავთ სამართალდამცავ ორგანოებს, რაც შეიძლება დროულად მოხდეს ამ დანაშაულის გახსნა.

ერთიც მინდა აღვნიშნო, ეს გახლდათ ერთადერთი შემთხვევა 1918 წლიდან დღემდე — როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს წაართვეს და გაუყიდეს ქონება! მანამდე ეს უმაღლესი სასწავლებელი შეძენით იყო დაკავებული — დღეს კი იყიდება!

ამ შემთხვევამ სხვებსაც გაუხსნა მადა, ჩვენთვის ცნობილი გახდა ისიც, რომ საპატრიარქოს სახელით მიდიან სხვა ბაზებზე, და მათ შესყიდვას აპირებენ ვაი-ბიზნესმენები. საპატრიარქო არაფერ შუაშია, ეს არის ტყუილი, მაგრამ საშიში ქმედება, რომ უნივერსიტეტს სხვა შენობა-ნაგებობები თუ ბაზები წაართვან. ასე თუ დავკარგავთ ყველაფერს, აგრარული უნივერსიტეტის ბედს გავიზიარებთ! მათი სტუდენტებიც ოთახებში სწავლობენ აგრარულ საქმეს!

დღეს ჩვენ ვითხოვთ ხელისუფლების დახმარებას, უნივერსიტეტის თანხმობის გარეშე — როგორ გაიყიდა ეს ბაზა? ვინ არის მისი დღევანდელი მფლობელი მამუკა კაკაბაძე? სად გაიარონ სტუდენტებმა პრაქტიკები?

საკითხში უკეთ გარკვევისათვის მივმართეთ ზუსტი და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის დეკანს ბატონ **რამაზ ბოჭორიშვილს**, მან არ ისურვა ჩვენთან შეხვედრა და **იურიდიული სამსახურის უფროსთან ბატონ არჩილ კუკულავასთან** გადაგვამისამართა. ამის შემდეგ მივმართეთ მას.

არჩილ კუკულავა: გეოგრაფიის მიმართულების ეს სამეცნიერო ბაზა, რამდენადაც მახსოვს, გასხვისდა, ორი წლის წინ და ის გაყიდა სახელმწიფომ, რადგანაც ის იყო მისი მესაკუთრე. საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული უნივერსიტეტი იყენებდა ამ ქონებას, მაგრამ ის სახელმწიფო საკუთრება იყო და ამ სახით გავიდა აუქციონზე და გაიყიდა. უზურფრუქტით ის უნივერსიტეტის საკუთრებაში არ ყოფილა.

ემზარ კასრელიშვილი
599 110 200

17 მაისს ქართველმა ხალხმა არა მხოლოდ სექსუმცირეობებს, არამედ ნატოს და დასავლეთის უთხრა უარი

გთავაზობთ დიალოგს პოლიტოლოგ ჰამლეტ ჟიპაშვილთან

— ბატონო ჰამლეტ, როდიდან და რა მიზნით დაიწყო ქართველი ჯარისკაცების გაგზავნა საზღვარგარეთ სამხედრო მისიებში მონაწილეობის მისაღებად?

— ეს კამპანია შევარდნაძის პერიოდში დაიწყო. პატივცემულმა ედუარდმა გადაწყვიტა ქართველებს უნდა მიეღოთ მონაწილეობა ერაყის ეპოპეაში. რა მიზნებს ისახავდა ედუარდ შევარდნაძე, ეს ძნელი სათქმელია და თვითონ მასაც რომ ჰკითხო, ობიექტურ პასუხს მაინც არ გაგცემს.

რაც შეეხება აშშ-ის, მას კონფლიქტი ჰქონდა, მოგეხსენებათ, ერაყთან და რომ გაემართლებინა თავისი საომარი სტრატეგია ერაყსა და ავღანეთში, ესაჭიროებოდა მოკავშირეები. ასე რომ, ეს იყო ჩვენს მიმართ თავსმოხვეული იძულება.

— მსოფლიოში ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში რომ მონაწილეობას ვიღებთ, ეს არ არის ჩვენი, როგორც დემოკრატიული ქვეყნის მოვალეობა?

— დიახ, ასეთი შეფუთვით მოგვაწოდეს, მაგრამ ისე უნდა გადავწყვიტოთ, როგორც ჩვენთვის უმჯობესი იქნება.

საქართველოს არაფერი ესაქმება არც ერაყის და არც ავღანეთის კონფლიქტებში.

ის, რომ ტერორიზმი ემუქრება მსოფლიოს, და თუ საქართველომ არ იომა ავღანეთში, ამით ტერორიზმი გაიზრდება, ან ჩვენამდე მოაღწევს, ეს არის აბსურდი. პირიქით, თუკი იბრძვი მათ წინააღმდეგ, მეტია შანსი, რომ თვითონ ხდები ტერორიზმის სამიზნე.

შევარდნაძე მიიჩნევდა, თუკი მიიღებდა მონაწილეობას აშშ-ის სამხედრო მისიებში, გაუადვილდებოდა ნატოში შესვლა. თქვა კიდევაც: ჩვენ დავაკაკუნებთ ნატოს კარზე და გაგვიღებენო. შევარდნაძემ დააკაკუნა, მაგრამ არავის გაუღია ის „კარი“, თუმცა უკვე იყო ჩართული საქართველო ერაყის კამპანიაშიც და ავღანეთისაშიც.

საქართველოსთვის ძალიან იოლია თავი დააღწიოს ამ ხიფათს, თუნდაც მაქსიმალურად შეზღუდოს კონტინგენტის რაოდენობა, ან შეცვალოს ფორმატი.

სააკაშვილს სურდა მეტი ნდობა და პოპულარობა მოეპოვებინა ამერიკელთა თვალში, ამიტომაც გაზარდა სამხედრო კონტინგენტი, რის შედეგადაც ქართველები იქ უფრო მეტი არიან, ვიდრე ნატოს არაწევრი ქვეყნები და თვით ნატოს წევრებიც კი. ამიტომაცაა, რომ აშშ-ის პრეზიდენტიც, ვიცე-პრეზიდენტიც, სახელმწიფო მდივანი და სხვა მაღალი თანამდებობის პირები უდიდეს მადლობას უხდიან საქართველოს იმისთვის, რასაც აკეთებს ქართული მხარე. მაგრამ მონაწილეობას ამ ომში არ მოუტანია არავითარი სიკეთე საქართველოსთვის, სარგებელი მოუტანა სააკაშვილს და მის გარემოცვას. ჩვენ რომ ქვეყნის პატრიოტი ხელისუფლება გვყოლოდა, ისე მოიქცეოდა, როგორც მოიქცა სომხეთი. ჩვენ კი პირიქით მოვიქეცით, ჩვენ მოვითხოვეთ კონტინგენტის გაზრდა.

ამას წინათ ალასანია იმყოფებოდა ბრიუსელში, სადაც უთხრეს — ხომ არ იქნება იმის შესაძლებლობა, საქართველომ მალიში გაგზავნოს ახალი სამხედრო კონტინგენტიო. საფრანგეთის ელჩმა საქართველოში განაცხადა, რომ ეს ხელს შეუწყობს თქვენს ქვეყანას ნატოსთან დაახლოებაშიო. საფრანგეთს, რომელსაც თვითონ აქვს გადაწყვეტილი მალიდან გამოსვლა, ცდილობს სხვა ჩართოს ამ საქმეში. მოსწონთ სხვისი ხელით „ნარის გლეჯა“.

ალასანიამ, ამას წინათ, ავღანეთში ქართველი ჯარისკაცების დაღუპვასთან დაკავშირებით როცა ლაპარაკობდა, ძალიან პატრიოტული განცხადება გააკეთა და თქვა, რომ ქართველები ავღანეთში სამშობლოს იცავენ, იქ წყდება ჩვენი ბედი და ა.შ. თუ იქ წყდება მსოფლიო ტერორიზმის და საქართველოს ბედი, მაშინ ქართველი სამხედროები იქ უმეთაუროდ არ უნდა იყონ და თავდაცვის მინისტრი იქ ორი საათით კი არ უნდა ჩადიოდეს, არამედ კვირეებით და თვეებით უნდა დარჩეს და უხელმძღვანელოს ამ ოპერაციას, მაგრამ ალასანია ერთი თუ ორი საათით ჩადის ავღანეთში, მერე გულის გადასაყოლებლად დუბაიში, საფრანგეთში ან დიდ ბრიტანეთში მიემგზავრება თავის საყვარელთან ერთად. ამაზე წერენ საინფორმაციო საშუალებები.

— ამას წინათ ახალი მთავრობის წევრმა, ევროპასთან და ნატოსთან ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა ალექსი პეტრიაშვილმა განაცხადა: საზოგადოებაში, სოციალურ ქსელში, ის აზრი დომინირებს, რომ საქართველომ ნატოში გაწევრიანების პერსპექტივისთვის აუცილებლად უნდა მიიღოს მონაწილეობა ავღანეთის მისიაშიო.

— ახალი ხელისუფლება საგარეო კურსში ადგას იმ გზას, რა კურსიც ჰქონდა ძველ ხელისუფლებას. ახალსაც აჩემებული აქვს ევროატლანტიკური გეზი. ახალიც დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ საქართველო უნდა შევიდეს ნატოში, ევროკავშირში, რადაც არ უნდა დაუჯდეს ეს.

ამ ხელისუფლებას არანაკლებ სურს ნატოში შესვლა, ვიდრე წინას, მაგრამ რა არის მოსახლეობის სურვილი და ნება, ამას არავინ არ კითხულობს. ამ ხელისუფლებასაც დახშული აქვს თვალი და ყური და არ იზიარებს საზოგადოების აზრს.

მე ვისაც ვიცნობ, ყველა გმობს ამ სამხედრო მისიებს, ხოლო **პეტრიაშვილი არის უნიკალური იმ თვალსაზრისით, რომ ამტკიცებს — ნატოში გაწევრიანება საქართველოს სიზმრად აქვს გადაქცეულიო.**

— ყოველ შემთხვევაში, ამ მოთხოვნით არასდროს არავინ გამოსულა ქუჩაში საპროტესტოდ.

— სხვათა შორის, არც ის იყო ვინმესთვის ცნობილი რამდენად სძულდა ხალხს ჰომოსექსუალები. იყო გამონათქვამები, პუბლიკაციები, მაგრამ პეტრიაშვილები და მისი მსგავსნი ამას, ალბათ, ერთი-ორ შემთხვევად თვლიდნენ, მაგრამ 17-ში აღმოჩნდა, რომ არ ყოფილა ეს ხალხი ცოტა.

17 მაისს არ გამოსულა ხალხი მხოლოდ ჰომოსექსუალების წინააღმდეგ. თქვენ არ მოგისმენიათ, როდესაც აშშ-ის ელჩის შემსრულებელი მივიდა აბობოქრებულ მასასთან? იცით, რა შეძახილები იყო?

— ძირს ჰომოსექსუალისტები — გეები და ლესბოსელებიო!

— არა, ბატონო, შეძახილები იყო — საქართველო არ შევა ნატოში! საქართველოს არ სურს ნატო!

— ეს არ გამიგონია, ბატონო ჰამლეტ.

— ეს მთელმა საქართველომ მოისმინა. ასეთი მოწოდებები გაისმოდა და ძლივს გაიყვანეს აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი იქედან, რომ არ ეცემათ.

პეტრიაშვილისნაირები ამას ვერ გაიგებენ. 17 აპრილი არ ყოფილა მხოლოდ პედერასტების წინააღმდეგ მიმართული გამოსვლა. პროტესტი იყო იმ პოლიტიკის წინააღმდეგ, რასაც აწარმოებდა სააკაშვილის რეჟიმი 9 წლის განმავლობაში დასავლეთის და აშშ-ის მხარდაჭერით.

პეტრიაშვილი და ახალი ხელისუფლება რომ ცრუობს, ამის საწინააღმდეგოდ გამოვიდა მოსახლეობა. **დასასჯელი უნდა დასაჯონ!** რაც არ უნდა მალონ და ჩქმალონ, ასეა ეს. **ქართველი ხალხი 17-ში ნატოს და დასავლეთის წინააღმდეგ გამოვიდა.** ეს გადაიცა დასაწყის ტელესიუჟეტებში, მერე ამოჭრეს და „დავარცხნილი“ ინფორმაციები გაუშვეს. უცხოურ საინფორმაციო საშუალებებში ზუსტად ისე გადაიცა, რასაც ვამბობ მე. ეს ინფორმაცია უკვე გაჟღერდა და უკან ვეღარავინ დააბრუნებს.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

ვანო მერაბიშვილის სახლის ჩხრეკისას ასობით ათასი ევრო ამოიღეს

“ნაციონალური მოძრაობის” გენერალური მდივნის ვანო მერაბიშვილის სახლის ჩხრეკისას სამართალდამცველებმა ასობით ათასი ევრო ამოიღეს. ამის შესახებ “პირველს” ინფორმირებულმა წყარომ აცნობა. შეგახსენებთ, რომ “ნაციონალური მოძრაობის” გენერალური მდივანი ვანო მერაბიშვილი დასაქმების პროგრამის განხორციელების ფარგლებში ამომრჩეველთა მოსყიდვისა და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების გამო დაკავეს.

პროკურატურის ცნობით, ივანე მერაბიშვილმა ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1641, 182-ე მუხლის მესამე ნაწილის “ბ” ქვეპუნქტით და 332-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულები, რაც ბრალის დამტკიცების შემთხვევაში თავისუფლების 7-დან 12 წლამდე აღკვეთას ითვალისწინებს.

ამასთან, პროკურატურის ცნობით, ვანო მერაბიშვილს უახლოეს მომავალში დამატებითი ბრალდება 26 მაისისა და სანდრო გირგვლიანის საქმეების გამო წარედგინება.

ვანო მერაბიშვილთან ერთად დაკავებულია ჯანდაცვის ყოფილი მინისტრი ზურაბ ჭიაბერაშვილი. პროკურატურის ცნობით, ჭიაბერაშვილი დასაქმების პროგრამის განხორციელებისას ბიუჯეტიდან უკანონოდ დახარჯული 5.2 მილიონი ლარის გამო დააკავეს.

მეცნიერებათა აკადემიაა თუ კანდიდატების კაცობის შემფასებელი ინსტიტუტი?!

„საერთო გაზეთს“ წინა ნომერში გამოქვეყნებული სტატიის — „ვივა, აკადემია, ვავა პროფესორე!“-ს შემდეგ, კიდევ ერთი მეცნიერი, პროფესორი ირაკლი შეყრილაძე დაუკავშირდა, რომელიც, მისი აზრით, ათწლეულების მანძილზე კიდევ ერთხელ გახდა აკადემიის არჩევნებში წესდებით გათვალისწინებული საერთაშორისო სამეცნიერო დონის პრინციპის სრული იგნორირების მსხვერპლი. აქვე აღვნიშნავთ, რომ სტატიის გამოქვეყნების მერე მოსკოვიდან გურამ ქაშაკაშვილიც დაგვიკავშირდა, რომელიც არჩევნებზე ქიმიასა და ქიმიურ ტექნოლოგიებში მონაწილეობდა და ჩვენთან საუბრისას მეცნიერებათა აკადემიაში გამართული არჩევნების თაობაზე უკმაყოფილება არც მას დაუმალავს. თუ რა ხდებოდა არჩევნებზე, რა დარღვევებსა და უკანონობებს ჰქონდა ადგილი, ამ და სხვა საკითხებზე პროფესორი ირაკლი შეყრილაძე გვესაუბრა:

— ბატონო ირაკლი, აკადემიაში ახალი წევრების არჩევის პრაქტიკაზე რას გვეტყვით?

— აკადემიის წესდების თანახმად, ახალი წევრის არჩევის ერთადერთი კრიტერიუმი პრეტენდენტის სამეცნიერო შედეგების საერთაშორისო აღიარების დონეა. ეს პრინციპი სწორედ “ანტიჰარნაკს” უპირისპირდება, ამიტომ აკადემიაში მისი იგნორირების მთელი სისტემაა შექმნილი. შედეგად აკადემიაში უკვე არის წევრთა არც თუ მცირე ნაწილი, რომლის სამეცნიერო შედეგების საერთაშორისო აღიარების რაიმე დონეზე საუბარი აბსოლუტურად გამორიცხულია. ამ გარემოებით შეშფოთებული ზოგიერთი აკადემიკოსი, ყოველი მორიგი არჩევნების წინ, მოითხოვს საწყისი ნორმის შემოღებას, რომლის დაკმაყოფილების გარეშე პრეტენდენტი არჩევნებზე არ დაიშვება. როგორც წესი, ასეთი წინადადება აკადემიის ხელმძღვანელობის მიერ (აკადემიკოს-მდივან მინდია სალუქვაძის გამორჩეული აქტიურობით) იბლოკება. შედეგად, არც თუ იშვიათად, ფარული კენჭისყრით, ისეთ პრეტენდენტებს ირჩევენ, რომლებიც დაშვების ნორმის შემოღების შემთხვევაში არჩევნებში მონაწილეობასაც კი ვერ მიიღებდნენ. მაგალითად, 1997 წლის არჩევნებში, სხვა მომენტების გარდა, აქტივში მქონდა ჩემი სამეცნიერო შედეგების საფუძველზე დაწერილი ერთი პარაგრაფი — კალიფორნიის უნივერსიტეტის (ლოს ანჟელესი) და ორი პარაგრაფი — ბაუმანის უნივერსიტეტის (მოსკოვი) სახელმძღვანელოებში, რაც სამეცნიერო შედეგების საერთაშორისო აღიარების ფრიად სერიოზული დონეა. მიუხედავად ამისა, განყოფილებაში ჩატარებულ არჩევნებში, რომელსაც მინდია სალუქვაძე ხელმძღვანელობდა, “დავმარცხდი” კოლეგასთან, რომელსაც არა თუ საუნივერსიტეტო კურსებში შეტანილი სამეცნიერო შედეგები, არამედ ოდნავ მაინც ანგარიშგასაწევი ციტირების ინდექსიც კი არ გააჩნდა, უფრო ზუსტად, მას ჩემზე 30-ჯერ ნაკლები ციტირების ინდექსი ჰქონდა. 2009 წლის არჩევნებზე წარდგენილი ჩემი სამეცნიერო შედეგები ათეულობით სახელმძღვანელოში, ცნობარში და საერთაშორისო ენციკლოპედიაში იყო ასახული და ზოგჯერ კლასიკური სამეცნიერო შედეგების რანგში მოიხსენიებოდა. ისევ მინდია სალუქვაძის ხელმძღვანელობით გამართულ არჩევნებშიაამჯერად, ისეთ კოლეგასთან “დავმარცხდი”, რომლის არცერთი შედეგი არცერთ სხვა მეცნიერს არასოდეს ჰქონია გამოყენებული (ანუ, ციტირების ინდექსი ნულის ტოლი ჰქონდა!). შემდგომ განყოფილების ამ აბსურდულ არჩევანს მხარი დაუჭირა აკადემიის პრეზიდენტმა თამაზ გამყრელიძემ, რომელმაც იგი, საერთო კრებას არსებითი განხილვის გარეშე დაამტკიცებინა. ჩემი კონკურენტების არჩევის კულისებს მიღმა, რა თქმა უნდა, ადვილად მოიძებნება მემკვიდრეობითი, ნათესაური, მეგობრული თუ სხვა ტიპის ძაფები, რომლითაც შეგვიძლია ეს შედეგები ავხსნათ. თუმცა, ჩემი ღრმა რწმენით, გამყრელიძისა და სალუქვაძის ასეთი პოზიცია სულ სხვა მიზეზმა განაპირობა. კერძოდ, ვფიქრობ, მათთვის მთავარი, ჩემი სახით, აკადემიაში საერთაშორისო ავტორიტეტისა და თანაც მათ თვალში “არამართვადი” პიროვნების რენომეს მქონე მეცნიერის არჩევის გამორიცხვაა.

— კონკრეტულად წელს ჩატარებული არჩევნების დეტალებზე რას გვეტყვით?

— 2013 წლის არჩევნებში მინდია სალუქვაძე და თამაზ გამყრელიძე ზუსტად ჩვეული მეთოდებით მოქმედებდნენ. ამ არჩევნებს დაემთხვა ჩემი სამეცნიერო პოზიციის გამარჯვება მრავალწლიან საერთაშორისო დისკუსიაში ერთერთ მნიშვნელოვან სამეცნიერო-ტექნიკურ პრობლემაზე, რომლის შემაჯამებელი ლექციის წარსადგენადაც შეერთებულ შტატებში ვარ მიწვეული. მსგავსმა დამატებითმა მომენტმა, როგორც ჩანს, ჩემი კანდიდატურის დაბლოკვა კიდევ უფრო აქტუალური გახადა და შედეგად ახლა უკვე ერთად ორმა კოლეგამ “მაჯობა”, რა თქმა უნდა, სამეცნიერო შედეგების საერთაშორისო აღიარების, მინდია სალუქვაძის განყოფილებაში არჩეულთათვის ტრადიციული, ნულოვანი დონით. აქვე, არ შეიძლება არ შევეხო ჩემი კოლეგის და ამ შემთხვევაში კონკურენტის, ელგუჯა მეძმარიაშვილის შვიდი აკადემიკოსის მიერ ერთხმად არჩევას. არ შევჩერდები შევარდნაძის პერიოდში მრავალმილიონიანი დანახარჯით კოსმოსში გაყვანილ კონსტრუქციაზე, რომელსაც ფართოდ რეკლამირებული კოსმოსური ანტენის ფუნქცია არასოდეს არ შეუსრულებია, და არც ბატონი ელგუჯას 25-მდე ციტირების ინდექსზე გავამახვილებ ყურადღებას, რომელიც ჩემს ინდექსზე 20-ჯერ ნაკლებია. კოსმოსური კვლევების სფეროში სამეცნიერო შედეგების საერთაშორისო მნიშვნელობის სწორად შეფასებისათვის, სხვა დამატებითი გზებიც არსებობს.

NASA-ს ერთ-ერთ სერვერზე, კოსმოსის ათვისებაში მსოფლიო სამეცნიერო მიღწევების გამოყენების შესახებ, უზარმაზარი ინფორმაციაა თავმოყრილი. თუ სადიებო სარკმელში მეძმარიაშვილს შევიტანდით, პასუხად მივიღებდით ნულს (ახლა სერვერი ე.წ. “აპგრეიდის” რეჟიმშია). შემდგომ, იმავე გზით შეგვეძლო აღმოგვეჩინა, რომ **NASA**-ს პროექტებში საკმარისად ფართოდ არის გამოყენებული ქართველი მეცნიერების ირაკლი გვერდწითელის, ჯუმბერ ლომინაძის, ანრი რუხაძის, გიორგი მანაგაძისა და სხვათა სამეცნიერო შედეგები. გვარზე — შეყრილაძე აღმოვაჩენდით ცხრა საინფორმაციო ერთეულს. პირველი იყო ჩემს მიერ აკადემიის მოამბეში გამოქვეყნებული სტატია, რომლის ინგლისური თარგმანიც 1967 წელს **NASA**-მ ცალკე გამოშვების სახით გამოსცა (სწორედ ამ სტატიამ ჩაუყარა საფუძველი სამეცნიერო მიმართულებას, რომლის გამარჯვებითაც ახლახან ხსენებული მრავალწლიანი საერთაშორისო დისკუსია დასრულდა). დანარჩენი რვა ერთეული **NASA**-ს ცენტრების მიერ შესრულებული კონკრეტული პროექტებია, რომელშიაც ჩემი სამეცნიერო შედეგებია გამოყენებული. ამასთან, ბატონი ელგუჯასგან განსხვავებით, კოსმოსი, ჩემს კვლევით საქმიანობაში, ძირითადი მიმართულება არასოდეს ყოფილა. ეს ინფორმაცია განყოფილების სხდომაზე წარვადგინე, სადაც იქ დამსწრე ჩემი კონკურენტის ბატონი ელგუჯას კოსმოსის ათვისების სფეროში სამეცნიერო შედეგების საერთაშორისო კვალის არარსებობის შესახებ, გასაგები მიზეზის გამო, პირდაპირ არ აღვნიშნე, თუმცა **NASA**-ს სერვერზე წარმოდგენილ ქართველ მეცნიერთა ჩამონათვალის მის გარეშე წარდგენით, ეს ყველასთვის ცხადი გავხადე. ეტყობა, ჩემს სხვა მიღწევებისათვის “კოსმოსური” წვეთის დამატებამ აკადემიკოსთა შვიდეული საბოლოოდ შეადუღაბა და ერთ მუშტად შეკრა აკადემიის რიგების მაღალი საერთაშორისო სამეცნიერო დონისაგან “დასაცავად”.

— თქვენი საუბრიდან ჩანს, რომ საზოგადოებისათვის ცნობილი, ზოგიერთი ავტორიტეტული პიროვნება არცთუ სახარბიელოდ გამოიყურება.

— როგორც საერთაშორისო დონის მეცნიერებს, ბატონ თამაზსაც და ბატონ მინდიასაც დიდად ვაფასებ. სხვა საკითხია მეცნიერებათა აკადემიის წარმართვა, რაც მათ, დამატებით სხვა ტიპის მოთხოვნებს უყენებს.

რიგი მიზეზების გამო, რაზეც ახლა არ შევჩერდები, ბატონი თამაზის ხელმძღვანელობით რაიმე არსებითი პროგრესის მიღწევის, მითუმეტეს, აკადემიის ძირეული განახლების პრობლემის ეფექტური გადაწყვეტის პერსპექტივას პესიმისტურად ვუყურებ. რაც შეეხება ბატონ მინდიას, ზემოხსენებულ ფაქტებთან ერთად, მისი, როგორც აკადემიკოს-მდივნის მოღვაწეობაში სხვა გარემოებებიც არის დამფიქრებელი. კერძოდ, ბუნებრივად ისმის კითხვა, რატომ მოხდა, რომ განყოფილება, რომელშიაც გასულ პერიოდში საერთაშორისო დონის მეცნიერთა მთელი პლეადა მოღვაწეობდა — კირიაკ ზავრიევი, ოთარ ონიაშვილი, თეიმურაზ ლოლაძე, ივერ ფრანგიშვილი, დავით თავხელიძე და თვით ბატონი მინდია, ამ უკანასკნელის აკადემიკოს-მდივნობის ორ ათწლეულამდე პერიოდში, არცერთი შესადარი დონის მეცნიერით არ შევსებულა. მარტო ის ფაქტი რას ნიშნავს, რომ აკადემიის რიგების ჩემი კანდიდატურისაგან “მედგრად დაცვის” განმავლობაში, ბატონი მინდიას ხელმძღვანელობით განყოფილებაში არჩეული ათამდე წევრის ჯამური ციტირების ინდექსი მხოლოდ შვიდიოდე ათეულის ტოლია! მხოლოდ ერთ მათგანს რომ ჰქონოდა ასეთი ინდექსი, მაშინაც კი, მხოლოდ მისი სამეცნიერო შედეგების საერთაშორისო აღიარების მაჩვენებლადაც კი ეს რიცხვი არ გამოდგებოდა!

— მაგრამ შეიძლება ვინმემ თქვას, რა შუაშია აქ ხელმძღვანელობა, როცა არჩევნები განყოფილებაში დახურული კენჭისყრით ტარდება, სადაც მინდია სალუქვაძეს მხოლოდ ერთი ხმა აქვს, ხოლო თამაზ გამყრელიძე კენჭისყრაში საერთოდ არ მონაწილეობს?

— ამ კითხვას პასუხი კითხვითვე გაეცემა — მაშინ რისთვის არსებობს განყოფილების შედეგების საერთო კრებაზე გატანისა და დამტკიცების პროცედურა, რომლის დროსაც ხელმძღვანელობას არამარტო შეუძლია, არამედ ვალდებულიც არის გამოამზეუროს განყოფილებაში ჩატარებულ არჩევნებში კანონისა და წესდების იგნორირება და მოუწოდოს საერთო კრებას არ დაამტკიცოს ასეთი შედეგი. საბოლოო ანგარიშში, სახეზეა კანონში და წესდებაში გამოყენებული ცნების — “საერთაშორისოდ აღიარებული სამეცნიერო შედეგი” სრული პროფანაცია. ვფიქრობ, ასეთი შედეგი არჩევნების ჩატარების დროს სამეცნიერო დონის კრიტერიუმის იგნორირების მეთოდის ზედმიწევნით დახვეწას უნდა დავუკავშიროთ, რაშიც აკადემიკოს სალუქვაძეს განსაკუთრებული წვლილი აქვს შეტანილი.

აღნიშნულთან დაკავშირებით „საერთო გაზეთი“ მეცნიერებათა აკადემიას ესტუმრა. „აკადემიკოსები ცოტა უცნაური ხალხია, კანდიდატს არა მეცნიერებაში მიღწეული ღვაწლით, არამედ მისი ადამიანობით, კაცობით აფასებენ“ — აღნიშნა ჩვენთან საუბრისას მინდია სალუქვაძემ. რა კრიტერიუმებით ხდება მეცნიერებათა აკადემიაში ნამდვილ წევრებად არჩევა, ამ და არჩევნებთან დაკავშირებულ სხვა პრობლემებზე გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილების თავჯდომარე, მდივან-აკადემიკოსი მინდია სალუქვაძე გვესაუბრება:

— ახლავე გაჩვენებთ ყველა დოკუმენტს. აქ მიდევს ირაკლი შეყრილაძის, მახარაძის საჩივრები. კაცი საკუთარ თავზე რომ იტყვის, წინა არჩევნების დროს მეცნიერებათა აკადემიაში ვინც კი აირჩიეს, მათგან ყველაზე უკეთესი მე ვარო, რა თქმა უნდა, ასეთ ადამიანზე უარყოფითი წარმოდგენა ექნებათ. ვინც ამას ამბობს, ნორმალური არ არის.

— თავად ბატონი ირაკლი ამტკიცებს, რომ მას მეცნიერებაში დიდი წვლილი აქვს შეტანილი. მაშინ გვითხარით, სხვა კანდიდატებმა რა გააკეთეს მასზე მეტი?

— დავიწყოთ თავიდან, ანუ დებულებიდან, რომლის თანახმად საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსად შეიძლება არჩეულ იქნეს საქართველოს მოქალაქე, რომელმაც მეცნიერების განვითარებაში საერთაშორისოდ აღიარებული წვლილი შეიტანა, მაგრამ აქ ხომ არ ჩაწერენ ესა თუ ის მეცნიერი კარგი კაცია თუ ცუდი.

— ანუ მეცნიერული ღვაწლის გარდა, იმასაც აქვს მნიშვნელობა როგორი კაცია ესა თუ ის კანდიდატი, როგორი ხასიათები აქვს?

— როგორი კაცია, ამას დებულებაში ვერ ჩაწერ, მაგრამ ხმის მიცემისას, ითვალისწინებ, თუ როგორი პიროვნებაა იგი — ქურდია, მამაძაღლია, ბანდიტია თუ სხვა. ფარული კენჭისყრაა და ყველა თავის შეხედულებისამებრ აკეთებს არჩევანს.

ირაკლი შეყრილაძე კარგი მეცნიერია, ოღონდ არა იმ სპეციალობის, რომელშიც კენჭს იყრიდა.

— მაშინ როგორ მოხვდა იგი იმ განყოფილებაში რისი სპეციალისტიც არ იყო?

— ეს მას უნდა ჰკითხოთ. როცა ვუთხარი — შენს მაგივრად შემრცხვებოდა ამ სპეციალობით კენჭისყრა-მეთქი, მიპასუხა — აბა, როდემდე ვიცადო, 70 წლის ვარ უკვეო. ყველას ვუთხარი მოეტანათ ნაშრომები, რომელიც ამ სპეციალობას ეხებოდა. მას არცერთი ნაშრომი არ წარმოუდგენია, მხოლოდ საუბრით ამტკიცებდა, რომ ორთქლის პრობლემებზე მუშაობს და საზღვარგარეთ ნაშრომები აქვს გამოქვეყნებული. შეყრილაძეს ვუთხარი შემდგომში ვეცდები ენერგეტიკის სფეროშიც იყოს ადგილი აკადემიაში-მეთქი. წელს, სამაგისო სპეციალობის ადგილი არ იყო.

— თუ ბატონი ირაკლი შეცდა და სხვაგან შეიტანა მოთხოვნა, აკადემია რისთვისაა, ნუ მიიღებდით საბუთებს?

— აბსოლუტურად განსხვავებული დარგი არაა, რაღაც მისხალით ექვემდებარება. მას სამოქალაქო მშენებლობის ინჟინერიაში არაფერი გაუკეთებია. დუღილის შესახებ აქვს კარგი კვლევები, რაც ამ დარგს არ ეხებოდა, მაგრამ იგი მაინც დავუშვით, ორი ხმა მიიღო ერთის წინააღმდეგ. ეს წინააღმდეგი მე ვიყავი, ვუთხარი — არ მიმაჩნია, რომ ამ დარგში მონაწილეობა უნდა მიიღოთ-მეთქი. მონაწილეობა უნდა მიეღო ენერგეტიკაში ან თბოგადაცემაში მაგრამ არ დამიჯერა და საბუთები მაინც შემოიტანა. რადგან შემოიტანა საექსპერტო საბჭოს დანაჩენმა წევრებმა დადებითი ხმა მისცეს.

— მათ არ იცოდნენ, რომ სხვა სპეციალობაში უწევდათ ხმის მიცემა?

— კენჭისყრის დროს იგი მეორე ტურში გავიდა. ვინც ჩივის, ყველა მეორე ტურშია გადასული. იმის მიხედვით შეაფასეს, რომ მას საზღვარგარეთ ნაშრომები ჰქონდა გამოქვეყნებული. მეორე ტურში, ელგუჯა მეძმარიაშვილიც გადავიდა, რომლის გამოგონებული ანტენა დღესაც ჰაერში ფრინავს. იგი კოსმოსური ნაგებობების სპეციალისტია, მეორე ტურში გაიმარჯვა და ამაზე გადარეულები არიან.

— თუმცა, ირაკლი შეყრილაძემ აღნიშნა, რომ ელგუჯა მეძმარიაშვილს NASA-ზე არანაირი ნაშრომი არ აქვს გამოქვეყნებული, ხოლო თავად NASA-ზე არაერთი ნაშრომი აქვს.

— სად არის მერე, მოიტანა რომელიმე ნაშრომი? — არ მოუტანია. მეძმარიაშვილი მასზე მთელი თავით მაღლა დგას. მეძმარიაშვილი დახურულ სამუშაოებს ასრულებდა. მისი ხელმძღვანელობით ჩატარდა მსოფლიო მნიშვნელო-

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

ბის გამოკვლევა, ანტენის შექმნა, აფრენა და მუშაობა. შვიდივე კომისიის წევრმა მას მისცა ხმა.

— რატომ მოუწია ბატონ ირაკლის სხვა განყოფილებაში გამოსვლა, ენერგეტიკაშიც შეგექმნათ ვაკანსია?

— ნუ ახლა რამდენს შექმნი, ყველაფერს ხომ ვერ შექმნი?! ამაზე აკადემიური საბჭო მსჯელობს. მან თუ ასე გაიგრძელა, ენერგეტიკის განყოფილებაც რომც გავაკეთოთ და მასში მონაწილეობა მიიღოს, მას ხმას არ მისცემენ.

— რაც შეეხება ხმის მიცემას, რამდენად სწორია რომ საბჭოს წევრს შეუძლია ერთდროულად ყველა კანდიდატს მისცეს ხმა?

— ეს სწორია. ხომ შეიძლება ორი საუკეთესო კანდიდატი იყოს და ორივეს უნდა მისცე ხმა, მაგრამ მეორე წევრიც ასე ხომ არ მოიქცევა, ის ხომ ერთს მისცემს.

— ყველა ასე მოიქცა, გამოვა, რომ რეალურად არავის აძლევს ხმას?

— ფარული კენჭისყრაა და ეს ჩვენზე არაა დამოკიდებული. მაშინ ფარული

კენჭისყრა უნდა გავაუქმოთ და როგორც სტუდენტი პირველ კურსზე, ისე უნდა ჩავრიცხოთ აკადემიის წევრად. შეყრილაძემ 2009 წლის დოკუმენტები, როცა სპეც. კორად სხვა სპეციალობით ვირჩევდით, ის წარადგინა.

— ბატონი ირაკლი ჩემთან საუბარში აღნიშნავს, რომ სხვა კანდიდატების საერთაშორისო აღიარების დონე ნულის ტოლი იყო და რომ თქვენ იგნორს უკეთებთ ამ ყველაფერს. რა წარმოადგინეს სხვა კანდიდატებმა?

— ელგუჯას ნუ ედრება, მისი ნაშრომების 80 პროცენტი საიდუმლო იყო. რაც ღია იყო, ყველაფერი წარადგინა. ხალხმა არ აირჩია შეყრილაძე იმიტომ, რომ იგი ინტრიგანია.

— როგორც ვიცი, აკადემიკოსობაზე პრეტენზია შეუძლია ხარისხის არმქონემაც კი განაცხადოს. რას იტყვით ამის თაობაზე?

— მაგაზე იყო მსჯელობა, მაგრამ პარლამენტმა თქვა არჩევნებში მონაწილეობის მიღება ნებისმიერს შეუძლიაო. მითითებული არაა, რომ უნდა იყოს მეცნიერებათა დოქტორი თუ აკადემიური დოქტორი.

— ანუ ხარისხის არმქონე პირს შეუძლია პირდაპირ აკადემიკოსი გახდეს?

— ამას პარლამენტი წყვეტს. პარლამენტს მოსთხოვეთ პასუხი.

— თქვენ როგორ მიგაჩნიათ სწორად?

— მიმაჩნია, რომ პირს სამეცნიერო განათლება უნდა ჰქონდეს და მისი შრომები, როგორც აქ, ისე საზღვარგარეთ უნდა ფასდებოდეს.

— რაც შეეხება ციტირების ინდექსს, რამდენად მნიშვნელოვანია არჩევნებისას?

— მე არ ვუყურებ ციტირების ინდექსს. დებულებაში არ წერია, რომ ციტირების ინდექსი გადამწყვეტია. არჩევნების დროს ყველა ხმის მიმცემმა უნდა გაითვალისწინოს ციტირების ინდექსი, მაგრამ კანონი არ ავალდებულებს.

— უკმაყოფილების შემთხვევაში საერთო კრებას თუ ძალუძს არ დაამტკიცოს ის შედეგი, რაც არჩევნებზე დადგა?

— საერთო კრებაზე ხელახალი არჩევნები ხდება.

— წელს იყო ამის პრეტენდენტი?

— წელს არა, წინა არჩევნებში — კი. მაგალითად ჩვენი ვიცე-პრეზიდენტი — თოდუა, კრებაზე გაშავდა. იგი განყოფილებიდან გავიდა, მაგრამ საერთო კრებამ გააშავა. წელს საერთო კრებას არავინ გაუშავებია. იცით, როგორ ხდება? — აქ უკვე, სპეციალობის მიხედვით კი არა, როგორც პიროვნებას იმის მიხედვით ირჩევენ. იგი ამ პიროვნებას იმის მიხედვით აფასებს, თუ როგორია საზოგადოებაში ამ პიროვნების შესახებ აზრი. აქაც ფარული კენჭისყრაა.

— ბატონო მინდია, უკმაყოფილო მხოლოდ ირაკლი შეყრილაძე როდია. მოსკოვიდან გურამ ქაშიყაშვილი დაგვიკავშირდა, რომელმაც აღნიშნა, რომ 100 გამოგონების ავტორია. რა მოხდა ამ შემთხვევაში?

— ქაშაყაშვილი მზად არაა აკადემიკოსობისთვის — ასე ჩათვალეს ქიმიკოსებმა. მან ჩვენს განყოფილებაში იყარა კენჭი. იგი მეტალურგიაში იყო წარმოდგენილი, მაგრამ ქიმიკოსებმა დაჩაგრეს. მაქსიმალური ხმა ჭანკვეტაძემ მიიღო, რომელიც მსოფლიოში აღიარებული მეცნიერია და 5509 ციტირების ინდექსი აქვს.

— კი, მაგრამ მაშინ მსოფლიო დონის მეცნიერი ზაალ კოკაია, რომელსაც ციტირების ინდექსი 10 ათასზე მეტი ჰქონდა და 40-ჯერ მეტი გამარჯვებულზე, რატომ არ აირჩა. არც ის იყო მზად აკადემიკოსობისთვის? ხან ექცევა ყურადღება ციტირების ინდექსს და ხან — არა?

— ეს ჩემი სფერო არაა, მაგრამ მიმაჩნია, რომ ზაალ კოკაია სწორად არ მოიქცა.

— რატომ, რა დააშავა?

— მან მოიწერა წერილი — რატომ აქვეყნებთ რაღაცებს რუსულადო. რახან საზღვარგარეთაა, უნდა, რომ მარტო ინგლისურად ან ქართულად იყოს. ეს, ძალიან ცუდად აღიქვა მთელმა საზოგადოებამ.

— და ეს მის მეცნიერულ დონეს აკნინებს?

— არა, არ აკნინებს, მაგრამ როგორც გითხარით ფარული კენჭისყრაა, როდესაც კონკრეტული პიროვნება იგებს, რომ კოკაიამ რუსული ენის წინააღმდეგ გაილაშქრა, მას ხმას აღარ აძლევს.

— გამოდის აკადემიკოსები პიროვნული სიმპათიების მიხედვით წყვეტენ ვინ გაიყვანონ და არა სამეცნიერო შედეგების საერთაშორისო აღიარების დონის მიხედვით? რა შუაშია აქ რუსული ენის წინააღმდეგ გალაშქრება?

— კოკაია საქართველოსთვის არაფერს აკეთებს, ამაშია საქმე. ეს ჩემი პირადი მოსაზრებაა, რომ ამ წერილმა კოკაიას ძალიან შეუშალა ხელი. მას პრეზიდენტმა შესთავაზა აგირჩევთ, განცხადება შემოიტანეო. ახლა გაკვირვებულია რატომ არ ამირჩიეთო. თავისი საქციელის გამო არ აირჩიეს. იცით რა არის? — აკადემიკოსები ცოტა უცნაური ხალხია, მითუმეტეს მერე, როცა ასაკში შედიან — ადამიანს აფასებენ არა იმით, თუ რა გააკეთა მეცნიერებაში, არამედ მისი ადამიანობით, კაცობით, მსოფლმხედველობით.

— ანუ აკადემიკოსად არჩევაში მთავარ როლს ასრულებს პიროვნული თვისებები? — როგორი კაცია ესა თუ ის ადამიანი და ა.შ.

— ფარული კენჭისყრაა, გენაცვალე, მე ვერავის ვეტყვი გინდა თუ არა ესა და ეს პიროვნება აირჩიე-მეთქი.

თამარ შველიძე
555 23 28 24

P.S. ჩემთვის ცოტა გაუგებარია, მეცნიერებათა აკადემიაა თუ კანდიდატების კაცობის შემფასებელი ინსტიტუტი. ასევე გაურკვეველია რიგი მიდგომებიც — თუ ჯერ უნდა დადგინდეს კანდიდატი ბანდიტი, ქურდი თუ ყაჩაღია და ამ ზნის გამო იგი აკადემიკოსად არჩევის არჩევნებზე უნდა დაიწუნონ, ხომ არ ჯობდა ეს არჩევნებამდე გაერკვიათ და შემდგომ უკვე კანდიდატი სამეცნიერო მიღწევების მიხედვით შეეფასებინათ და არა ადამიანობით?!

თ.შ.

დავით საგანელიძე: ახლა სადღაც წავიდნენ, ახლა კიდევ მოტრიალდებიან, კიდევ სადღაც გამოყოფენ ცხვირს, რომ რაც შეიძლება დაძაბონ სიტუაცია და პროვოცირება მოახდინონ. ეგ უნდათ მაგათ, მეტი არაფერი. ეგ უნდათ მაგათ და მათ დამკვეთებს, ვინც ფულს უხდით. მაგათ ხომ

თავმოყვარეობა არ აქვთ და ფულის გულისთვის ყველაფერს გაყიდიან — სხეულსაც და თავმოყვარეობასაც.... მაგათ არც ქვეყნისთვის, არც ოჯახისთვის, არც ტრადიციისთვის, არც მომავლისთვის და დედამიწაზე საკეთისთვის არაფერი უნდათ. ეს ხალხი მომართულია, ფული რომ იშოვოს და თავიანთი თავის და დამკვეთების რეკლამა გააკეთოს. ეს გასაგებია და პირდაპირ ჩანს. ამიტომ დღეს ხან იქ გაძვრებიან, ხან აქ გამოძვრებიან, რომ რაღაცნაირად დაძაბონ სიტუაცია და მერე ვინც დაუკვეთა, იმათ ჩააბარონ ანგარიში. აი, როგორი ყურადღება მივიქციეთ და როგორი ამბავი ატყდაო.

ლაშა ჟვანია: კიდევ ერთხელ ვიმეორებ, კონსტიტუციური ზღვარი გამოხატვის თავისუფლებასა და აღვირახსნილობის პროპაგანდას შორის უნდა გაევლოს. პროპაგანდის წინააღმდეგი არის ეკლესია და მე ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. აღვირახსნილობის პროპაგანდა არის ამორალური, საზოგადოების ზნეობრივი მორალის წინააღმდეგ მიმართული. ეკლესიამ უდნა დაგმოს ცოდვა და ამორალურობა. კიდევ ერთხელ მოუსმინეთ პატრიარქის დრევანდელ განცხადებას და ამით ყველაფერი იქნება ნათქვამი. საქართველოს ეკლესიის თავი არის პარტიარქი და ეკლესიის სახელით საუბრის უფლება აქვს მას. რაც შეეხება კონკრეტულ მოძღვრებს, ისინი საკუთარი სახელით საუბრობენ. ეკლესია ყოველთვის სიმშვიდისაკენ მოუწოდებს და ადამიანებს ნუ შეიყვანთ შეცდომაში. ხვალ თუ ვინმემ გადაწყვიტა გაუსწორდეს სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლებს,

რა შუაში იქნება აქ ეკლესია, რამდენადაც ვიცით, ხულიგნობა და ძალადობა კანონით დასჯადია და კანონი მთელი სიმკაცრით იმოქმედებს. რაც შეეხება პრევენციულ ზომებს, ეკლესიამ მიიღო პრევენციული ზომები, მაშინ როდესაც გამოაქვეყნა მისი უწმინდესობის განცხადება დღევანდელ აქციასთან დაკავშირებით, სადაც მისმა უწმინდესობამ სთხოვა მამაშვილური სიყვარულით, ნუ ჩატარებდნენ რუსთაველზე ასეთ აქციას, რადგან ამას შეიძლება საზოგადოებაში დაპირისპირება მოჰყოლოდა და აკი მოჰყვა კიდეს. ეს მცირე ჯგუფი რომ დათანხმებოდა პატრიარქის მოწოდებას და სხვაგან, უფრო მორიდებულად ჩაეტარებინათ თავიანთი აქცია, ამ ყველაფერს თავიდან ავიცილებდით. თქვენ ითხოვთ, რომ უმრავლესობამ მოსიმინოს და დაემორჩილოს ყველაფერს და მეორე მხარეს არაფერს სთხოვთ. კათალიკოსის მოწოდება გამოქვეყნდა მას შემდეგ, რაც ექვსმა ძირითადმა დენომინაციამ გააკეთეს მოწოდება ამ აქციის გადადებასთან დაკავშირებით. ახლა კი რატომღაც მხოლოდ მართლმადიდებელ ეკლესიაზე ტყდება ყველაფერი საეჭვოდ?! ეს პროვოკაცია იყო დაგეგმილი და სამწუხაროდ, იგი, გარკვეულწილად, შედგა. ლგბტ-მ თავისას მიაღწია. მაგრამ საზოგადოების უდიდესი ნაწილი მოტივირებულია თავიანთი შილები გაზარდოს მორალურ ღირებულებებზე, რომელიც დღემდე სამოციქულო ეკლესიამ მოიტანა.

ზაქარია ჟუცნაშვილი: ვფიქრობ, რომ გარკვეულმა ჯგუფმა, რომელსაც 19 აპრილის აქცია არ გამოუვიდა, 17 მაისის აქციით სცადა საზოგადოებაში უკიდურესი დაძაბულობის და დაპირისპირების შეტანა. როცა იცი, რომ ქვეყანაში ყველა რელიგიური კონფესია და ამასთან, საზოგადოების ათეისტი ნაწილიც წინააღმდეგია მსგავსი აქციის მოწყობის, ალბათ, შესაძლებელი იყო ეს აქცია სადმე დახურულ შენობაში ჩატარებულიყო, იქ გამოეხატათ თავიანთი აზრი, გამოსვლების, დროშების ფრიალის და პლაკა-

ტების გამოფენის გარეშე. მაგრამ მათ აირჩიეს პროვოკაციული ფორმა, რაც გამოიწვევდა ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილის გაღიზიანებას. რადგან ქართველობა ისტორიულად ჩამოყალიბდა, როგორც ეთნოსი, რომლის იდენტობის ერთ-ერთი მახასაითებელი გახლავთ მართლმადიდებლობა. ჩემის აზრით, იქ მისულმა მოქალაქეებმა ეს აქცია გაიგეს, როგორც ქართველობის, მართლმადიდებლობის შებღალვის ნიშანი. ამიტომაც მიიღო ასეთი მასობრივი ხასიათი. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოში არსებული თითქმის ყველა რელიგიური კონფესია წინააღმდეგი იყო ამ პროვოკაციული აქციის გამართვის. რეალურად, ღირებულებათა კონფლიქტის პროვოცირება მოხდა დღეს ჩვენთან, როცა შეეცადნენ თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოების და ტრადიციული ქართული საზოგადოების ღირებულებები ერთმანეთთან დაპირისპირებინათ. რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. სწორედ ამის ახსნა იყო საჭირო და არა იმის ჩვენება, რომ ლესბოსელობა და გეობა არის თანამედროვე საზოგადოების გამოხატულება და ტრადიციული საზოგადოების ჩამორჩენილობაზე მიანიშნებს, თუ იგი ამ ღირებულებას არ აღიარებს.

სანდრო ბრეგაძე: დღეს ხომ ჩაატარეს აქცია ეკლესიისგან მოშორებით? იყო ძალადობა? აი, ზუსტად ამაშია საქმე, რომ ესენი არიან არა უმცირესობების დამცველები, არამედ პოლიტიკურად ანგაჟირებული, დაქირავებული ნაციონალებისა და გიგა ბოკერიას პირადი მონები. ამავე დროს ჩემთვის სარწმუნო წყაროდან ცნობილი გახდა შემდეგი უშუალოდ უშიშროების საბჭოს მიერ ფინანსდება და ორგანიზებულ იქნება ახალი აქცია ივნისის შუა რიცხვებში. ეს აქცია არ იქნება უმცირესობების დაცვის აქცია, არამედ ეს იქნება გეი-აღლუმი. ამ მიზნით მოლაპარაკებები დამთავრებულია უცხოეთის გეი კლუბებთან და იგეგმება ამ ხალხის მასობრივი ჩამოყვანა თბილისში, იხარჯება ძალიან დიდი ფული. აღლუმის მთავარი მიზანია არეულობის, ბევრად სერიოზული არეულობის გამოწვევა და ქართული სახელმწიფოს იმიჯის შერყევა დასავლეთის თვალში. ივნისის აქცია იქნება ბევრად უფრო ორგანიზებული, ბევრად უფრო მრავალრიცხოვანი, ბევრად უფრო დაფინანსებული და ბევრად უფრო პროვოკაციული. მას მერე რაც ნაციონალური მოძრაობა 19 აპრილს მიხვდა რომ მათ მიერ წარმოებულ პოლიტიკურ მიტინგებსა და აქციებს არანაირი პერსპექტივა არა აქვს მათ შეცვალეს ტაქტიკა და ცდილობენ უმცირესობის წარმომადგენლები გამოიყენონ თავიანთი ბინძური პოლიტიკური მიზნებისთვის, რაც არის არნახული ტიპის სისაძაგლე და მზაკვრობა. მინდა მივმართო საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც არიან სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლები, რომ ნუ გახდებიან ნაციონალური მოძრაობის მზაკვრული გეგმის უნებლიე შემსრულებლები, ნუ გამოაყენებინებენ თავს პოლიტიკურ ძალებს, ნუ გახდებიან არეულობის უნებლიე მაპროვოცირებელნი, ნუ იქნებიან მარიონეტები სხვის ხელში, მათ როგორც საქართველოს მოქალაქეებს ისევე ეკისრებათ პასუხისმგებლობა და ვალდებულება ქართული სახელმწიფოს წინაშე როგორც თითოეულ ჩვენთაგანს. თუ ისინი უარს ეტყვიან ნაცების ამ მზაკვრულ ჩანაფიქრს, უარს ეტყვიან პროვოკაციების ინსპირატორებს, მერწმუნეთ, რომ ამითი უფრო შეძლებენ საზოგადოებაში ინტეგრირებას ვიდრე ისეთი ქმედებებით, რომელიც ძირს უთხრის საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესებს. გამეორდები და ვიტყვი, რომ ინფორმაცია ივნისის თვეში მოსალოდნელ პროვოკაციულ აქციაზე არის სარწმუნო და ის არის რეალობა!!!!!!

„ესე იყო დიდი თურქობა“

(2011, 26 მაისი)

26 მაისი საქართველოს ისტორიისთვის რამდენიმეგზის გახდა ჩენილი. პირველად, 1918 წელს ეროვნულმა საბჭომ 26 მაისს დამტკიცა ქვეყნის დამოუკიდებლობის აქტი, რომლითაც ქართველმა ერმა 2 საუკუნის წინ დაკარგული თავისუფლება აღიდგინა. მეორედ, 1991 წლის 26 მაისს დამოუკიდებელ საქართველოში ჩატარდა საპრეზიდენტო არჩევნები, სადაც მონაწილეობა ამომრჩეველთა 81%-მა მიიღო და მათგან 87%-მა საქართველოს პრეზიდენტად ზვიად გამსახურდია აირჩია. ეს არჩევნები თავისი მნიშვნელობით იმდენად ღირებული იყო, რომ მისი გავლენა დღემდე ეტყობა ქართულ პოლიტიკურ ცხვრებას. სწორედ ზვიად გამსახურდიას საპრეზიდენტო არჩევნების შედეგს ეჯიბრებოდნენ ქვეცნობიერად თუ ცნობიერად ჯერ ედუარდ შევარდნაძე და შემდეგ მიხეილ სააკაშვილი. ამით აიხსნება მათი სწრაფვა საკუთარ არჩევნებზე ყოველთვის უფრო მაღალი შედეგების გაფორმებისა. მეტიც შეიძლება ითქვას, საქართველოს პრეზიდენტად ზვიად გამსახურდიას არჩევა მათთვის ისე ძნელად აღსაქმელი და მიუღებელი ფაქტი აღმოჩნდა, რომ ორივე მათგანმა განიზრახა ხალხის მეხსიერებიდან ეს არჩევნები ამოეშალა და ამ მიზნით 26 მაისი გამოეცხადებინა ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის დღედ. ამიტომაცაა, რომ უკვე მერამდენე წელიწადია საქართველოს დამოუკიდებლობის წლისთავს 26 მაისს ასე მცდარად ზეიმობენ და ხალხსაც აზეიმებინებენ. მაგალითად, 2011 წლის 26 მაისს მიხეილ სააკაშვილმა დამოუკიდებლობის აღდგენის „მრგვალი თარიღი“ – 20 წლისთავი (?!) აღნიშნა, არადა, 20 წლის წინ, 1991 წელს უზენაესმა საბჭომ 9 აპრილს გამოაცხადა დამოუკიდებლობა და შესაბამის აქტს იმავე დღეს მოაწერეს ხელი! თანაც, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, დღეს მსოფლიოს ყველა სახელმწიფო საქართველოს დამოუკიდებლობას 1991 წლის 9 აპრილს დამტკიცებული „დამოუკიდებლობის აქტის“ საფუძველზე ცნობს! რას იზამთ, ცრუ მმართველნი არაფერს დაგიდევენ და არც თარიღების გაყალბებას მოერიდებიან. მესამედ, 2011 წლის 26 მაისი საქართველოს ისტორიაში შევიდა, როგორც სისხლიანი ანგარიშსწორების დღე, როცა თავისუფლების მოთხოვნით ქუჩაში გამოსულ ხალხს მოძალადე რეჟიმი დაუნდობლად გაუსწორდა და თავისუფლებისკენ სწრაფვის გამო სამაგალითოდ დასაჯა. მოვლენები კი ასე განვითარდა:

იმ ღამით პარლამენტის წინ მდგომი ხალხი და ტრიბუნაზე მყოფი „სახალხო კრების“ ლიდერები ქალბატონების ნონა გაფრინდაშვილისა და ნინო ბურჯანაძის მეთაურობით აუღელვებლად შეჰყურებდნენ, თუ როგორ იკვრებოდა მათ გარშემო „სადამსჯელო რკალი“. რუსთაველის სახ. თეატრის მხრიდან ნელ-ნელა მძიმე ტექნიკა დაიძრა, რომელიც მიუხედავად კოკისპირული წვიმისა, მომიტინგეთათვის განკუთვნილი „გამაგრილებელი წყლით“ და სხვა „საამო ნივთიერებითაც“ სავსე იყო. ეს მანქანები, სულ 22 ერთეული, უკვე ქაშუეთის გასწვრივ განლაგდნენ და მათ უკან უამრავი ჩაფხუტიან-ამუნიციანი მამაკაცი მოჩანდა, მათთვის განკუთვნილ სამოქმედო ნიშანს რომ ელოდა. მთავრობის სახლთან, მის ორივე მხარეს ამავალ აღმართზე – ასევე სპეც. ტექნიკის ერთეულები იყო განლაგებული, რომელთა წინ დაბანაკებული სპეციალური ფორმირებები სრულად ავსებდნენ ქუჩებს. მთავრობის სახლის მოპირდაპირე მხარეს, რუსთაველის გამზირისკენ ამომავალი ორი ქუჩაც, რომელთაგან ერთი ქაშუეთსა და მშენებარე ობიექტს შორის ამოემართება, ხოლო მეორე კინოთეატრ „რუსთაველსა“ და ეროვნული მუზეუმის შენობას შუა მდებარეობს, ე.წ. სპეცნაზით იყო სრულად გავსებული. თავისუფლების მოედნის მხრიდანაც, იქ, სადაც მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეა, რუსთაველის გამზირი სპეციალურ ფორმირებებს ჰქონდათ ჩაკეტილი, მათ უკან კი, საკუთრივ მოედანზე აუარება სპეც. ტექნიკა და სპეც.

რაზმები განლაგებულიყვნენ. გარდა ამისა, მთელი ეს პერიმეტრი, დაწყებული მთავრობის სახლიდან საკუთრივ თავისუფლების მოედნამდე, სამგზის იყო გარშემორტყმული სხვადასხვა სახის ფორმირებებითა და შესაბამისი სპეც. ტექნიკით. ხელისუფლებას ქალაქის ცენტრი სამმაგი რკალით ჰქონდა ჩაკეტილი... ღამის სიბნელეში შავად მოსილი, ბნელი ფიგურები ისე მრავლად ილანდებოდნენ, რომ მემატიანეს ნათქვამი გაგახსენდებოდა, რომელიც მას თურქ-სელჩუკთა ჯარის ხილვისას აღმოხდენია: „ჩუენ თუალითა ჩუენითა გვიხილვან ათასნიათასთანი და ბევრნი ბევრთანი უმრავლესნი რიცხვისანი, ვითარცა მკალნი და ვითარცა ქვიშა ზღვისა...“ მართლაც, ურიცხვი მკალ-კალიასავით შემოსეოდნენ მომიტინგეებს ჩაფხუტიანი და უნიფორმიანი სპეცნაზელები თუ ჩაფხუტიანი და ჯინსებიანი ზონდერები, ოღონდაც ესენი თურქ-სელჩუკნი კი არა, ქართველები იყვნენ. უბედურება ის გახლდათ, რომ „დიდი თურქობა“ XXI საუკუნის საქართველოში ქართველი ხელისუფლების ნებითა და ქართველი პოლიციელების მეშვეობით სადგურდებოდა.

შუაღამემ რომ მოაწია, სააკაშვილმა მთვარის ხილვისას, ჩანს, თავი ტომის ბელადად წარმოიდგინა და „ოდისევსის კვერთხი“ აიქნია. ბელადის აქნეული კვერთხიდან გადმოფრქვეული წყლის ჭავლი და მომწამლავი გაზი სპეც.ფორმირებებმა და არაფორმალურმა ზონდერებმაც უმალ მომიტინგეებს მიუშვირეს. ამას მოჰყვა აქციის მონაწილეთა გარშემო სპეცრაზმელთა ალყის თანდათანობით შევიწროება. თანაც, არც არავის უფიქრია, რომ შეკრული, ცოცხალი რკალი რომელიმე ადგილას გაეხსნა და მანიფესტანტები უბრალოდ დაეშალა, გაეფანტა. არა, ბატონებო, სპეცნაზი და ზონდერბრიგადები ყველა მხრიდან წრიულად მოემართებიან და მომიტინგეებს ტერიტორიიდან გასვლის საშუალებას არ აძლევენ. წყლის ბოლო ჭავლის ამოფრქვევასთან ერთად სცენაზე მყოფი ბატონი თემურ შაშიაშვილის გულიდან ამოსროლილი ბოლო შეძახილიც გაისმის: „ნახეთ ბატონებო, რას სჩადიან, როგორ გვწამლავენ, ხალხს როგორ უსწორდებიან!..“ მანიფესტანტებს ჯგუფ-ჯგუფად იჭერენ და დაუნდობლად სცემენ. ყველას ახსოვს ის კადრები, „მაესტროს“ ტელევიზიით რომ აჩვენეს და სადაც ერთ-ერთ უმწეო მომიტინგეს ერთდროულად ულმობლად რამდენიმე ჯალათი უსწორდება. შემდეგ „წესრიგის დამცველნი“ პატარა ყმაწვილს ურტყამენ დაუნდობლად. ისინი არც ობიექტური მას-მედიის ჟურნალისტებს ერიდებიან, მათაც ხელკეტებით სცემენ და რეზინის ტყვიებით „უმასპინძლდებიან“. მოგვიანებით ცნობილი ხდება, რომ გაზეთ „ასავალ-დასავალი“-ს ჟურნალისტები გიორგი მამაცაშვილი და ბექა სივსივაძე რეზინის ტყვიებით არიან დაჭრილები, რადგანაც მათ სპეცრაზმის წევრებმა ახლო მანძილიდან დამიზნებით ესროლეს. ხელბორკილდადებული მამაკაცები, სისხლში მოცურავენი ქუჩაში, ქვაფენილზე დაუყრიათ. მრავალმა მომიტინგემ რუსთაველის კინოთეატრს შეაფარა თავი, მაგრამ სპეცრაზმელები იქაც შეცვივდნენ და მათაც უმოწყალოდ გაუსწორდნენ. დაჭერილებს გაურკვეველი მიმართულებით მიერეკებიან. სპეცდანიშნულების რაზმის წევრებმა ბატონები დიმა ჯაიანი, მურმან დუმბაძე, გოგი ქავთარაძე, თემურ შაშიაშვილი, სოსო ჯაჭვლიანი და ლუკა კურტანიძე დააკავეს და აქციის სხვა მონაწილეებთან ერთად რუსთაველის კინოთეატრიდან გაიყვანეს. პოლიციელებს სხვა დაკავებულებიც გამოჰყავთ. იქვე ერთი სასულიერო პირი იმყოფება, რომელიც ცდილობს სპეცრაზმელებისგან დაკავებულები იხსნას და მათ სთხოვს, არ სცემონ აქციის მონაწილეები. იმ ღამეს

რუსთაველის გამზირიდან ხალხი 12 ყვითელი ავტობუსით გაიყვანეს და პოლიციის სხვადასხვა განყოფილებაში მოათავსეს. სასწრაფო დახმარების მანქანები სასტუმრო „მერიოტის“ მხარეს დგანან, მაგრამ, თვითმხილველთა თქმით, მედიკოსთაგან ზოგიერთი მათგანი იმის მაგივრად, რომ დაშავებულებს დაეხმაროს, ჯინსების თაობის ზონდერბრიგადებს უადვილებს მათ შეპყრობას(?!). ცნობილ მხატვარ ემირ ბურჯანაძეს სპეცრაზმელმა თავი ხელკეტით გაუტეხა. ასეთი თავგატეხილი, დასისხლიანებული და დასახიჩრებული ადამიანი უამრავია. მაგრამ უფრო საზარელი ის გახლავთ, რომ ამ სადამსჯელო ოპერაციას მსხვერპლი მოჰყვა: პირველი მოკლული „ინტერპრესნიუსის“ ჯგუფმა თავისუფლების მოედნის მეტროსთან დაინახა. მათ ძირს დაგდებული მამაკაცი გადაიღეს, რომელსაც სიცოცხლის ნიშან-წყალი არ ეტყობოდა. შემდეგ გაირკვა, რომ, სამწუხაროდ, ეს არ გახლდათ ერთადერთი მოკლული, სადამსჯელო აღვირახსნილობას რომ შეეწირა. 26 მაისს რუსთაველის გამზირზე ქართველ ხალხზე ქართველისავე ხელით თავსდამტყდარი საშინელების აღწერა შეიძლებოდა აქ დაგვესრულებინა, მაგრამ ერთიც უნდა ითქვას. ვინც ამ კადრებს თვალს ადევნებდა, უთუოდ დაამახსოვრდებოდა, თუ როგორ შემორჩა რუსთაველის გამზირს სულ ბოლოს, დარბევის დასრულებისას რამდენიმე ათეული შეუდრეკელი ყმაწვილი, რომლებიც ხის ფარებითა და დროშის ტარებით მომარჯვებულნი სპეცრაზმელთა თავდასხმას ელოდნენ. ამ კადრის ხილვისას შეუძლებელია არ გაგახსენდეს ქსენოფონტთან ამოკითხული ცნობა, რომ ქართველი ტომები: მოსხები, ტაოხები, ხალიბები, მოსინიკები და სხვანი, ტყავგადაკრული ხის ფარებითა და შუბებით აღჭურვილნი, ბრძოლის წინ სიმღერებით აგულიანებდნენ ერთმანეთს და მომხდურ ბერძნებს ასე ეგებებოდნენ. ამ ქართველი ტომების სულმა საუკუნეებს გაუძლო, არ განიფანტა და მრავალ უსახელო თუ სახელოვან, უცნობ თუ ცნობილ გმირში განსხეულდა, რომელნიც მუდამ საშობლოს სადარაჯოზე იდგნენ. მათი სულიერი და ხორციელი მემკვიდრეები იყვნენ ცხრა ძმა მაჩაბელი, ცხრა ძმა ხერხეულიძე და შვიდი ჯანდიერი, ერთად რომ დაეცნენ მარაბდის ველზე და მამულისთვის თავი გაწირეს. სწორედ მათი ბადიში ეთქმით 26 მაისს ერთ მუშტად შეკრულ იმ ყმაწვილებსაც, რომლებიც ჯალათების წინაშე არ შედრკნენ და ხელჯოხებითა და ფარებით ერკინებოდნენ მათ.განა რა სახსენებლები არიან მათ გვერდით მარაბდის გმირთა ვაიმოგვარეები, ვინმე მამუკა ხერხეულიძე და კიდევ უფრო ვინმე ეკა ხერხეულიძე, რომელთაც იმ ღამეს ტელეეკრანიდან უნდა ედევნებინათ თვალი ქართველთა ხოცვა-ულეტისთვის და ნასიამოვნებიც დარჩენილიყვნენ – რა არის, ჩვენი ბელადი კიდევ დიდხანს ამოიდებს ფეხქვეშ ქვეყანასაც და ხალხსაცაო... რუსთაველის გამზირი კი სისხლისგან გადაწითლებულია, იმ წითელი ვარდის ფერით შეღებილა, რომელიც 2003 წელს აქვე, ამ ადგილას პარლამენტში შეჭრილ სააკაშვილსა და მის დამქაშებს პომპეზურად აეწიათ ხელით მაღლა, აქაოდა უსისხლოდ, ვარდებით მოვდივართ და ასე ია-ვარდით იქნება ჩვენი გზა მუდამ მოფენილიო...

„მოეფინეს მსგავსად მკალთა ოხრებად და ხოცვად და არსად იყო ლხინება, უწყალოდ მოისრვოდა ყოველი ესე ქვეყანა“ – ჟამთააღმწერლის ეს სიტყვებიღა აღმოხდებოდა მას, ვინც 26 მაისის გამთენიას ზონდერბრიგადების ნაკვალევზე ამ სისხლიან კალოს იხილავდა.

... დილა ზოზინით გათენდა. გულს არც ვარდისფერთითება ეოსის გამობრძანება ახარებს და

სულს აღარც ცისკრის ვარსკვლავის ბოლო ციაგი ანათებს. პარლამენტის წინ გამჭოლი სიცარიელე დასადგურებულა. გამზირი მარჯვედ გაუწმენდიათ სისხლის გუბეებისგან. წითელი ნაკადულები ქვაფენილიდან უხმოდ დაწრეტილან და მტკვრისკენ დაშვებულან, თითქოსდა იმ სისხლის რუებს უნდა შეერთებოდნენ, რომლებიც საუკუნეთა განმავლობაში უღვთოდ იღვრებოდა არაბობის თუ თურქობისას, ჯალალედინის შემოსევის თუ თემურ-ლენგის თარეშის ჟამს, შაჰ-აბასისა თუ აღა-მაჰმად ხანის მძლავრობისას, 9 აპრილს თუ ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ მოწყობილი პუტჩის დროს. ქართველთა სისხლის ნაკადულები გოდებით ერთმანეთს ერწყმიან, მაგრამ ტალღებში არ იკარგებიან და ხალხს ახლაც ახსენებენ ერიშვილთა წუხილსა და ჭმუნვას. წუხილი იმისა გამო, რომ უგვანობამ დროებით იმძლავრეს ქართველ ერზე, ჭმუნვა და ფიქრი მასზედ, თუ რა იქნება ხვალ, რა გზით ივლის ქვეყანა. სისხლის ეს ნაკადულები დულან და ილტვიან, რათა ერს კვლავაც ჩაუდგნენ ძარღვებში და საბრძოლველად აღაგზნონ. ბრძოლა კი ისევ გვმართებს ცრუ ბელადებთან და გზადაბნეულ, ორჭოფა ინტელიგენტებთან. 26 მაისს აღლუმზე გვერდიგვერდ იდგნენ ცრუ ბელადიც, იგივე ვაიმთავარსარდალი და გზადაბნეული ინტელიგენციაც. ეს უკანასკნელნი მოუთმენლად ელოდნენ, როდის დააჯილდოებდა მათი პრეზიდენტი მხოლოდ მათთვის საზეიმოდ ქცეულ აღლუმზე. განა ელიტურობა იმას გულისხმობს, რომ მოძმეთა ნასისხლარზე დადგე და მკერდი ჯინჯილებით დაიმშვენო?! ხალხს დღემდე არ ასვენებს კითხვა, რა

უნდოდა იქ სახელოვან მუსიკოს ვახტანგ მაჭავარიანს, რომელიც რამდენიმე წლის წინ სააკაშვილის რეჟიმის უღიერი დამოკიდებულების გამო იძულებული იყო საქართველო დაეტოვებინა? უნიჭიერეს სცენარისტსა და მწერალს რეზო გაბრიაძეს, ვინც ზვიად გამსახურდიას უწუნებდა დემოკრატიას და მიხეილ სააკაშვილის ანტიდემოკრატიულობას ვერ ამჩნევს? თორემ ვინმე „ხელოვანი“ თამარ კვესიტაძე, რომლის ვითომშედევრი „ალი და ნინო“, ყველა ქართველთმოძულეს გულს რომ უამებს, რა გასაკვირია, იქ გვეხილა. არც ის გაკვირვებია საზოგადოებას, ბავშვობისდროინდელი ნახატებით განთქმული რუსუდან ფეტვიაშვილი რომ იხილა, რომელიც, თურმე, როცა იტყვის „კი“-ს, ყოველთვის ასრულებს დანაპირებს და არაფრად მიაჩნია, ხელისუფალი აჩუქებს თუ არა მას ბათუმის ცენტრში ძვირადღირებულ კაფეს! არც ის იყო გასაოცარი, საზოგადოებამ მათ გვერდით ახლადგამომცხვარი აკადემიკოსი დავით ლორთქიფანიძე თუ დალანდა, ვის ხელშიც ქართული სამუზეუმო საგანძური, არავინ იცის, რა მდგომარეობაშია, რადგანაც მუზეუმის ხელუხლებელი ფონდიდან უცხო ქვეყნებში გამოფენებისთვის ის ისტორიული სიმდიდრე გააქვთ, რომლის გატანაც კანონით აკრძალულია. ანდა სამშობლოზე უფრო მეტად რუსი მენშევიკების ბედზე დამაშვრალი ნოე ჟორდანიას შვილები – რეჯებ და ნათელა ჟორდანიები განა გამოაკლდებოდნენ ამ საკრებულოს? ნუთუ მათთვის არაფრისმთქმელი იყო, რომ უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ აღლუმზე მიბრძანება არ ინება?! როდესაც ქვეყანა შველას ითხოვს, იგი ამას უპირველესად მათგან მოითხოვს, ვინც თავისი ნიჭითა და უნარით საზოგადოებრივი აზრის წარმმართველია. თორემ „ბლაღოროდნი ჩინის“ მაძიებელ-მოხელეებს, მრავლად რომ ახვევიან სააკაშვილისნაირ ხელისუფალთ, რა მოეკითხებათ? გვსურს იქ მყოფ ნაღებ ელიტას იაკობ გოგებაშვილის სიტყვები შევახსენოთ: „ქართველ ინტელიგენციას შეუძლიან ნამდვილი სამსახური გაუწიოს ჩვენ ხალხს, პროგრესის გზაზე დააყენოს და სასურველი მომავალი მოუმზადოს, თუ იგი დაამსხვრევს კერპს პირადი თავმოყვარეობისას და მყვირალა სახელისას, განიკურნება საზიზღარი შურიანობისაგან და თავის შემოქმედებაში გულწრფელად გაამეფებს ქვეყნის სიკეთეს... უსამართლობისა და სიბოროტის წინააღმდეგ იხმარებს არა განყენებულ ფრაზებს, თუნდაც ლამაზებსა, არამედ მოჰფენს საზოგადოებაში კონკრეტულ აზრებს... მხოლოდ ამისთანა ბრძოლას გამოუფხიზლებია მისუსტებული საზოგადოება, მიუნიჭებია მისთვის მხნეობა, დაუყენებია იგი მოქმედების ნაყოფიერ გზაზე და სასურველი მომავალი მოუმზადებია ქვეყნისთვის“. თითქოსდა ჩვენი ყურის მოსასმენად და ჩვენი გონის განსჯისთვისაა ნათქვამი!

ნინო ჯაველიძე
2012, მაისი

ჯონდი ბაღათურია:

გეიაღლუმის ორგანიზატორები, თავის სატელიტ არასამთავრობოებთან ერთად, „ნაციონალები“ და „რესპუბლიკელები“ იყვნენ

გვესაუბრება „ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია

— ბატონო ჯონდი, როგორ ფიქრობთ, ვინ დაგეგმა 17 მაისის აქცია?

— კი არ ვფიქრობ, დაზუსტებით შემიძლია გითხრათ, რომ ლგბტ გეი-აღლუმის ორგანიზატორები. თავის სატელიტ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, ეს „ნაციონალები“ და „რესპუბლიკელები“ იყვნენ.უკვე ყველასთვის ცნობილია და სადაო საკითხი არ არის. მაგრამ მათი ამბიცია და მათი ეს ღონისძიება ვერ შედგა. აშკარად წამოვიდნენ პროვოკაციაზე, რის გამოც შეეცადნენ იქ შეკრებილი საზოგადოების და საეკლესიო პირების გაღიზიანებას, როგორც მოსალოდნელი იყო, ძალიან სამარცხვინოდ მოიქცნენ სექსუალური უმცირესობის წევრები. ბუნებრივია, სასულიერო პირებმა ეს ყველაფერი ვერ მოითმინეს, მაგრამ საბედნიეროდ, არავინ არ დაშავებულა. ეს ყველაფერი არის პოლიციის მაღალპროფესიული და სხვათა შორის, თავგანწირული შრომის შედეგი, რადგან ბევრჯერ შევესწარი, როგორ გადაეფარა პოლიციელი მათ. რამდენიმე პოლიციელი დაშავდა. კარგი სამოქმედო გეგმა ჰქონდა ჩამოყალიბებული შინაგან საქმეთა სამინისტროს. ყველა პოლიციელი, მაღალჩინოსნის და რიგითის ჩათვლით, იქცეოდა ძალიან ღირსეულად და მაღალპროფესიულად. ერთმნიშვნელოვნად მინდა ვთქვა, რომ მე ვხედავდი საზოგადოების მხრიდან ნდობას და პატივისცემას. ხალხმა ანგარიში გაუწია პოლიციას და ეს მისასალმებელია. იმედია, ამის შემდეგ პოლიციის მიმართ ნდობა მეტად აღდგება.

— როგორ ფიქრობთ, როგორ უნდა მოქცეულიყო საზოგადოება, იყო თუ არა ადეკვატური მათი ქმედება?

— საზოგადოების ქმედება იყო სრულიად ადეკვატური, იმის გამო, რომ ქართველმა ხალხმა არ მისცა უფლება საკუთარი თავის დამცირების, . მე მათ საქციელს აბსოლუტურად ვეთანხმები.

— ამბობენ, თუკი პოლიტიკოსი დაგმობს ჰომოსექსუალების მიტინგს და მათ გამოხატვის შესაძლებლობებს, „პოროუსი“ პოლიტიკოსის იარლიყს ვერ მოიცილებსო. არ გეშინიათ ამ იარლიყის?

— თქვენთან ბოდიში, მაგრამ ეს იარლიყი „ერთ ადგილას“ გაიკეთონ. მე ამ იარლიყის არ მეშინია. საქართველოს პარლამენტიდან ხმა არავის ამოუღია ხალხის დასაცავად და ეს იარლიყი, მათ გაუკეთონ, სადაც საჭიროა.

— თქვენი აზრით, ჰომოსექსუალების უფლებების შელახვა ხდება? ან რითი გამოიხატება ეს?

— მე ვკითხულობ, სად ჩანს, სად შეილახა მათი უფლებები. ერთი შემთხვევა მაინც მითხარით, რომ მათი უფლებები შეილახა. ძალიან ბევრ ადგილას მუშაობენ ასეთი ადამიანები, ბიზნესშიც ესენი არიან, პოლიტიკაშიც, სადაც კი ნორმალური სამსახურია. სექსუალური უმცირესობის წევრები დაჩაგრულები და სიღარიბეში მყოფები არსად შემხვედრია. მითხარით, სად შეილახა მათი უფლებები, რა თქმა უნდა, ვერ მეტყვით, რადგან ასეთი შემთხვევები არ ყოფილა.

— ჰომოსექსუალების დამცველებს შორის ბევრი ჰეტეროსექსუალია. თქვენი აზრით, რამ განაპირობა ეს?

— ფულმა, ძალიან დიდი ფული მუშაობს ამ საქმეზე. ფულზე გაყიდული კი არავინ არ ვარგა. ამ ახალგაზრდებს იმდენი დაფინანსება აქვთ, ნებისმიერ საქმეზე მიდიან. ხალხის ცემა-ტყეპისკენ იქ არავინ არავის მოუწოდებდა. სასულიერო პირები მხოლოდ სიმშვიდეს ურჩევდნენ ხალხს. ის ცნობილი კადრებიც კი, რაზეც ხალხი ლაპარაკობს, ტაბურეტკიან მამაოზე მე ფაბრიკაციად მიმაჩნია.

— თქვენი აზრით, ქვეყანაში კვლავ შერჩევითი სამართალია?

— რა თქმა უნდა, ქვეყანაში შერჩევითი სამართალია. ეს ყოველთვის იყო და დღესაც არის. იმედი მაქვს, ოდესმე მაინც მოეღება ამას ბოლო.

ნაია მალანია
598 31 90 58

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

ვინ აკეთებს დიდ ფულს საქართველოში ღარიბი ჰომოფობიის საარჯზე?

რა ხდებოდა 17 მაისს, ცნობილია, ამდენად, მხოლოდ იმაზე შევჩერდები, რას ამბობდნენ უმრავლესობაში მოხვედრილი სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლები. ზუსტად პარლამენტის წინ ცნობილ ტრანსექსუალს მოვკარი თვალი, ჩემს ყოფილ რესპონდენტს. გამიკვირდა ასე უშიშრად რომ იდგა და გამოველაპარაკე. სად არიან ჩემები, ხომ არ იციო? – იქით გაუხარდა ჩემი დანახვა. კარგი ინტერვიუები ხომ გინდა, მომაძებნინე ჩემებიო და დაინახა კიდეც ერთი „თავისიანი", ისიც პარლამენტის წინ იჯდა და მამა ბასილის ჭინჭრებით შეიარაღებულ მრევლს შესცეროდა. მოიკითხეს ერთმანეთი და დანარჩენები, მაგრამ არც იმან იცოდა სად იყვნენ სხვები, არ იჯერებდნენ, ჩემს ნათქვამს, რომ „იდენტობის" წევრები და მათი მხარდამჭერები უკვე გარიდებულები იყვნენ იქაურობას, რას ამბობ, შვიდი ელჩი და მსოფლიო გვიჭერს მხარსო. ამ დროს მესამე „მათიანიც" გამოჩნდა, აჩქარებული მიდიოდა თავისუფლების მოედნისკენ. მან დაადასტურა ჩემი ნათქვამი და რადგან მასაც არ დაუჯერეს, გადარეკა მისი თქმით ინსტრუქტორთან. მან (სახელს არ ვამბობ) მითითება მისცა, რომ გაეფრთხილებინა ყველა, წასულიყვნენ სახლში და ყოფილიყვნენ წყნარად, არ გამოეწვიათ ხალხი. ძალიან ეწყინათ, აბა, ეს რა გამოვიდაო, მერე, იქნებ მაინც

მოაღწიონ აქამდე და ესენი რომ დაიშლებიან, მერე ჩავატაროთო და შემომთავაზეს, ჩამოვსხდეთ აქვე, თან რაღაცებს მოგიყვებით, შენთვის საინტერესოს, ვინ იცის, რამდენი ჩვენი ნაცნობი გაივლის, ძაან კაცობაზე რომ დებენ თავს და რას წარმოადგენენ სინამდვილეშიო. ამასობაში დაურეკეს, ნაცემები არიან ჩვენები, სადღაც ქალაქგარეთ გაიყვანეს და პოლიცია არიგებს სახლებშიო. ჩვენ რა კარგად გადავრჩენილვართო, იცინოდნენ, მაგრამ თან ბრაზობდნენ, რატომ არ მოვიდნენ პარლამენტთან, ჩვენ ხომ ვართო. ხალხი დაშლას არ აპირებდა, ვარაუდობდნენ, რომ თუ ადგილი განთავისუფლდებოდა ლგბტ აქცია ჩატარდებოდა. იქვე ჩამოვჯექი მეც და გვერდზე მომისხდნენ ტრანსებიც. ასე რომ, ვიჯექი პირველი გიმნაზიის წინ ორ ტრანსგენდერთან ერთად და მათი ნაცნობების არცთუ სახარბიერლო ბიოგრაფიულ მონაცემებს ვეცნობოდი...

დედა, ქალო, რამდენი „დეკები" გამოშლილან? – გაოცებულები შესცქეროდნენ ერთმანეთს და მითითებდნენ ცალკეულ პირებზე ვინ რომელ ზონაში იყო ნაჯდომი, როგორი ბიჭის სახელი ჰქონდა, რა დანაშაულისთვის იხდიდა სასჯელს, ვინ „ჩაუშვა" და ა.შ რაც მე მოვისმინე კონკრეტულ პირებთან დაკავშირებით, რომლებმაც ჩაიარეს, საგაზეთოდ ძნელი სათქმელია, – კაი, გოგო, ჩვენ არ გვცხვენია რასაც გიყვებით და შენ რისი გცხვენია, რანაირი ჟურნალისტი ხარო...

როდესაც პოლიციის დიდი ჯგუფი შემოლაგდა, სწორედ ამ დროს პიონერთა სასახლის წინ ვიდექით და თვალგაშტერებულმა სამართალდამცავმა ერთი მათგანი იცნო „ე, ბიჭო, ეს ის პედერასტი არ არის?" გადაულაპარაკა მეორეს და – მთელი პოლიცია ჩვენ გვიყურებდა... ესენი სულელები ხომ არ არიან, მეტი არ მინდა „გაბაზრონ" და ხალხი დამესხას, თავზე დავიხვევ მთელ ევროპას, – აღშფოთდა „ამოცნობილი", მაგრამ იქვე ჩაკვდა ინფორმაცია...

ვიკითხე და მათი პასუხებით დავასკვენი, რომ თვით ლგბტ-ებს არ აინტერესებთ და ვერც ხვდებიან, რა ინტერესი აქვს ორგანიზაცია „იდენტობას" და ცალკეულ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც სექსუალურ უმცირესობებს იცავენ, მათთვის მთავარია, რომ სადღაც გამოჩდნენ – ძლივს ვაკავებდი „მოქალაქე ტრანსსექსუალს" რომ ტელეკამერებს არ გაკარებოდა. რისი თქმა უნდოდა? – გამანებეთ თავი, ვისაც მინდა იმას დავუწვები და თქვე გოიმებო, ძალიან რომ გინდათ ნატო-ში, უჩვენოდ ვერ შეხვალთო.

ეს თქვენი დამცველი ორგანიზაცია რითი გეხმარებათ-მეთქი, ბუნებრივი კითხვა დამებადა – ორ კვირაში ერთხელ 2 შეკვრა პრეზერვატივითო...

რაც ჩემი ყურით მოვისმინე, ის იყო, რომ აქციის ორგანიზატორი (ქალბატონი) კატეგორიულად უკრძალავდა ლგბტ-ებს ქუჩაში ყოფნას და მაპროვოცირებელ ქმედებას, ამდენად, მათაც უკვირდათ, რას აცემინებენ თავს, რატომ არ დაეყრებიან თავის საჯდომზეო. მეთქი, თქვენ ხომ სულაც ის გაწყობთ, რომ დაგარბიონ-მეთქი? ავადმყოფი კი არ ვარ, რატომ უნდა მინდოდესო? აბა, თქვენი აზრით, გრანტები საიდან და რატომ მოდის-მეთქი? – შეფიქრიანდნენ.

ერთი მათგანი რაღაც დროშაზე დარდობდა, თურმე დროშა უნდა გამოეტანათ, სადაც მათი სახეები იყო ჩაკერებული. რამდენი ხანია ამ დღისთვის ვემზადებოდით, ფერადი პუდრებიც გვაქვსო – ვისაც რა ფერის მაისური გვეცმებოდა, იმ ფერის პუდრი გვექნებოდა სახეზე ჩამოსმულიო, იცი, რა ლამაზები ვიქნებოდითო? ჩვეულებრივ რომ გაცვიათ მეთქი? აქ გადავიცვამდითო, მთელი ინსტრუქციები გვაქვს, როგორ უნდა მოვქცეულიყავითო. არასრულწლოვანებს საერთოდ აუკრძალეს გამოსვლაო. ბევრი არასრულწლოვანი გყავთ-მეთქი? კიო, ლესბი გოგოებიც და ბიჭებიცო. თქვენ ვერ გაიგეთ, რამეს კი არ დავაშავებდით, 40 წუთი ვიდგებოდით ჩუმად, პატარაზე გავივლიდით თავისუფლების მოედნამდე ტროტუარზე და დავიშლებოდით, არც გზას გადავკეტავდით და არაფერიო. ვინ გავიწროვებთ, რა უფლებებს ითხოვთ-მეთქი. იცი, რამდენჯერ დაგვსხმიან თავსო? პოლიციაზეც ნაწყენები იყვნენ, მიშას დროს პატრულს რომ დავურეკავდით, ეგრევე მოცვივდებოდნენ და ახლა, იმ დღეს ოთხმა მეგრელმა ბიჭმა გვცემა, ზურგიდან მოგვეპარნენ და ისეთი ჩაგვცხეს, გადმოვვარდით ქუსლებიდან და პატრულმა არ დააკავა ისინიო – ვერაფრით ავუხსენი, რატომ ღიზიანდებიან ადამიანები, როდესაც ქალის სამოსში გამოწყობილი მამაკაცები დგანან ქუჩაში და კლიენტს ეელიან...

ცოტა ხანში მათი მობილურები გააქტიურდა, აღმოჩნდა, რომ ლგბტ-ების დიდი უმრავლესობა სახლში იყო და ერთმანეთს არიგებდნენ, დღეს არ „იმუშაოთ", ხალხი ძალიან აჟიტირებულია და გაგვხეთქავენ ცემით სადაც გვნახავენ, „სინიაკებში" ორი კვირა მაინც ვეღარ გამოვალთ და დავიხოცებით მშივრებიო.

რასაც ტერმინი „ლგბტ" აერთიანებს, აბსოლუტურად სხვადასხვა სექსუალური გადახრაა, თუმცა, ლესბოსელების გამოკლებით ყველა ერთ ცნებაში „პედერასტში" ერთიანდება – მამაკაცი, რომელიც გადახრილია ნორმიდან, მიდრეკილია თავისივე სქესის მიმართ აქტიური ან პასიური ფორმით. არა, ჩვენ პედერასტები არ ვართ, ტრანსექსუალები ვართო – სწყინდათ.

ერთ-ერთ ქართულ ტელესერიალში ასეთი ფრაზა ითქვა „ჩვენს ბარში ლოთები, ბომჟები და ღარიბი პიდარასტები იკრიბებიან". ალბათ, ღარიბთან ერთად სიტყვა „უცნობიც" უნდა იყოს ჩართული და სრულად დაიხატებოდა იმ ლგბტ-ების ზოგადი პორტრეტი, რომლებიც „იდენტობის" ფრთის ქვეშ არიან შეყუჟულები (რეალურად „იდენტობაა" მათზე ჩამოკიდებული) და აქციის გამართვა სურდათ 17 მაისს...

„იდენტობაში" და ზოგად ლგბტ აქციებზე ვერსად ნახავთ იმ ცნობილ პირებს, რომლებიც თქვენი „იდენტურები" არიან სექსუალური მიდრეკილებების მხრივ და რატომ, ისინი არ არიან „ღარიბი პიდარასტები", ანუ მდიდარი პედერასტები ფარად გიყენებენ ღარიბ პედერასტებს-მეთქი. გაოცებულებმა შემომხედეს, მგონი მართალს ამბობო, მაგრამ თამერე ისევ ე.წ ინსტრუქტორს გადაურეკა, იმ უცხოელმა დამირეკა და ოფისში მოვიყვანოო? არაო, კატეგორიულად სახლში ყოფნას ითხოვდა ინსტრუქტორი, ჩვენს ოფისს არბევენ და მესიჯით მომწერე მისი ტელეფონის ნომერიო. როგორც მითხრა, დამრეკავი ჰოლანდიელი მამაკაცი იყო (მის ვინაობასაც ვფარავ), რომელიც ეუბნებოდა, მითხარით, რით შემიძლია დაგეხმაროთ, თქვენს დასახმარებლად ვარ აქო. ცოტა ხანში ისიც „თავისიანებთან" წავიდა...

ერთი თვის წინ პარიზში, პოლიციასთან შეტაკებაში გადაიზარდა მშვიდობიანი აქცია რომელ-

იხილეთ „საერთო გაზეთი" ინტერნეტში www.saertogazeti.org შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე საერთო გაზეთი

ლიც ერთსქესიანი ქორწინებისა და მათთვის შვილის აყვანის დაკანონების წინააღმდეგ იყო მიმართული და იმდენად უმართავი სიტუაცია შეიქნა, რომ პოლიცია იძულებული გახდა ცრემლსადენი გაზი გამოეყენებინა...

შარშან, საქართველოს კვალდაკვალ გეი-მარში გაიმართა ერევანსა და მოსკოვში. ერევანში გეი-მარშს „მრავალფეროვნება“, ახალგაზრდა სომეხი ნაციონალისტები დაესხნენ

ლგბტ აქცია პარიზში

ლგბტ აქცია ისრაელში

თავს პლაკატებით: „ესენი ცისფერები არიან!“ „არა – გომიკებს!“ „ფრთხილად იყავით სულიერ ვირუსებთან!“ სოციალურ ქსელში ტრიალებდა ინფორმაცია, რომ ბიოლოგიური განსხვავებულობის დღე სინამდვილეში გეი-პარადის საბაბია, რომ საზოგადოებრივ-კულტურული ორგანიზაცია PINK-ის ხელმძღვანელი მამიკონ ოვსეპიანი ცნობილი გეია.

მას შემდეგ, რაც სომხეთში აშშ-ის ელჩმა გაკიცხა სომეხი ახალგაზრდობა ჰომოსექსუალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გამო, გაზეთებში გამოქვეყნდა მოწოდება, რომ აშშ-ის ელჩი სომხეთში, ჯონ ჰეფერნი, გამოცხადდეს პერსონა ნონ-გრატად. ამაზე საუბარი ადრევე დაიწყო, როდესაც ჯგუფმა „სომხეთის შავი ყვავები“ 8 მაისს ააფეთქა გეი-კლუბი „**DIY**“ და აშშ-ის საელჩომ განაცხადა „დანაშაული მიმართული იყო იმ ჯგუფისადმი, რომლებიც წარმოადგენენ სექსუალურ უმცირესობას. ძალადობა ნებისმიერი უმცირესობის მიმართ დაუშვებელიაო“, მოითხოვა დამნაშავეების დასჯა და სომხეთის ხელისუფლებას მოუწოდა „ნულოვანი შემწყნარებლობის“ პოლიტიკისკენ.

ეს მხოლოდ ერთეული შემთხვევაა, მაგრამ ასეა ყველგან, სადაც ერში ერთი ჯანმრთელი მარცვალი მაინც არის დარჩენილი...

თამარ მჭავია



„ჩვენ უზნეო საქციელი გვძულს და არა ადამიანი“

17 მაისის აქციაზე მოძღვრებს გავესაუბრე. გთავაზობთ ამ საუბრის ჩანაწერს.

მამა სერაფიმე (თელეთის წმ. გიორგის მონასტრის მოძღვარი):

– ილია ჭავჭავაძე როგორ იწყებს „კაცია-ადამიანს“, წუმპიდან ამოჰყავს ლუარსაბ თათქარიძე, ესო, წუმპეაო და ადამიანები ცხოვრებას ეძახითო, აქედან გამომდინარე, ასე უნდა შევხედოთ. არა უშავს, მერე რა მოხდა, ჩვენ ჩვენი უნდა დავაფიქსიროთ ზრდილობიანად, მშვიდობით, ადამიანებს ერთმანეთი უნდა გვიყვარდეს, ჩვენ უზნეო საქციელი გვძულს და არა ადამიანი, ქურდობა მძულს მე და არა ადამიანი, რომელიც ქურდობს. ლოგიკურად ყველაფერს გამართლებას მისცემ, მაგრამ ჭეშმარიტება არის მთავარი და არა ვიღაცის ლოგიკით და რიტორიკით გამართლებული, ამას თუ ჩავუღრმავდებით, რაღაცას, ალბათ, დავინახავთ.

ყველა საქციელის უკან დგას მისი შინაარსი და კარგად ჩაწვდნენ ამ შინაარსს, სახარებაში ყველაფრის პასუხია, იუდამ გადაკოცნა მაცხოვარი, გადაკოცნა, ზოგადად, კარგი ჟესტია, ხომ, მაგრამ შინაარსი ის იყო, რომ გაწირა თავისი მასწავლებელი, ამიტომ ხანდახან მე შენ შეიძლება გაგიღიმო და შენი ჭირიმე გითხრა, მაგრამ ჩემს უკან რა შინაარსი დგას, ამას უნდა ჩავუფიქრდეთ და მაშინ გვეშველება. შეიძლება, შემცდარი იყო ადამიანი რაღაცით, შხამი სიკეთით მოდის, ნამცხვარში გირევენ და გთავაზობენ, თავისუფლებით, სიკეთით მოდიან ასეთი სექტები და მოძღვრებები, მომხიბლავია ეს და ადამიანი ებმება მასში, კარგად უნდა დავფიქრდეთ ამაზე.

მამა მიქაელი (ერთაწმინდის ტაძრის მოძღვარი):

– ეს არის პროტესტის გამოხატვა ამ აღვირახსნილობისადმი, ეს დემოკრატია არ არის, ჩემო კარგო, დემოკრატიას აქვს თავისი ჩარჩოები, დემოკრატია შეიძლება იყოს სიტყვის, თავისუფლების. საქართველო არის ტრადიციების ქვეყანა და მას არ შეეფერება მსგავსი აღლუმების მოწყობა. ამათ, მაპატიოს ღმერთმა, მაგრამ სჭირდებათ სულიერი მკურნალობა და იზოლირებულნი უნდა იყვნენ საზოგადოებისგან. კი, ყველას ადგილია საზოგადოებაში, მაგრამ ამით ხომ ხალხს აღიზიანებენ. წარმოიდგინეთ, საფრანგეთი ხომ ევროპული ქვეყანაა და მილიონი კაცი დაირაზმა ამათ წინააღმდეგ. ჩვენ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა ვართ და ვალდებული ვართ, რომ დავიცვათ ტრადიციები. სამღვდელოებას ვერავითარი გარეშე ძალა ვერ დაუპირისპირდება, უფალი ამბობს, რომ ყოველ ადამიანს აქვს თავისუფალი ნება და ეს უნდა გამოხატოს თავის სასიკეთოდ. ჩვენც გამოვხატეთ და ამით ჩვენი სარწმუნოება და ქრისტიანობა დავიცავით. სხვა კონფესიების ხალხს შეურაცხყოფას არ ვაყენებ, მაგრამ გინახავთ ან კათოლიკეებში, ბაპტისტებში ან მუსულმანებში სასწაულები რომ ხდებოდეს?! ჩვენთან, მართლმადიდებლობაში ზეციური ცეცხლი გადმოდის, ამაზე მეტი სასწაული რაღა უნდა იყოს.

დეკანოზი შალვა (როსტიაშვილი):

ჩვენ რომ დავუშვათ ამის მოწყობა, დაკანონდება და ჩვეულებრივი მოვლენა გახდება, ჩვენთვის აბსოლუტურად მიუღებელია ის, რომ ადამიანი არის ასეთ მდგომარეობაში და ამას უკეთებს რეკლამას. იყოს სახლში თავისთვის და რაც უნდა, ის აკეთოს, არ შეუვარდებით სახლში და არ ვეტყვით, რატომ ცხოვრობ ასეთი ცხოვრებით, მაგრამ როცა ის სხვებს აქეზებს და ცდილობს გამოაცხადოს, რომ ეს მოვლენა არის ჩვეულებრივი და მოდით, ვისაც გინდათ, გახდით ამნაირები, როგორებიც ჩვენ ვართ, ამას ბევრი უარყოფითი მოვლენა მოჰყვება მომავალში და თუ დღეს ჩვენ ხმას არ ამოვიღებთ, ხვალ იქნება გვიან. კანონს რა შეუძლია, მისმა სპეციალისტებმა განსაზღვრონ, მაგრამ ხალხს ხომ აქვს თავისი სიტყვის თქმის უფლება, უმრავლესობა რომ ვართ ამის წინააღმდეგი, დემოკრატიაც ეს არის, საბოლოო ჯამში, უმრავლესობის აზრმა უნდა გაიმარჯვოს. საქართველოს უმრავლესობა არის საღ აზრზე და საღმა აზრმა უნდა გაიმარჯვოს. უმცირესობის უფლებები როდის დავარღვიეთ, რამეს ვუშავებთ, თუ რამე პრობლემა შევუქმენით? აკეთონ და იყვნენ თავისთვის. დემონსტრაციის უფლება სხვა რამეა, შვილო, ეს უკვე სხვების წაქეზებაა და ამაზეა ლაპარაკი. ჩვენ ისინი არ გვეჯავრებიან რასაც აშავებენ, იყვნენ თავისთვის, მორჩა და გათავდა, სხვა მოთხოვნა ჩვენ არ გვაქვს!

მამა ანდრია (კასპის წმ. გიორგის ტაძრის წინამღვარი):

– ხელისუფლებას არ შეუძლია, რომ გამოხატოს მკვეთრი პოზიცია, ამას ვერც გააკეთებს და ჩვენ ეს უნდა გვესმოდეს. ხელისუფლება პასუხისმგებელია ქვეყნის წინაშე და ხედავს იმ სირთულეებს, რაც რეალურად მსოფლიოში არის და მათი რეაქცია რომ იყოს მკვეთრი, ამას არც მოვუწონებდით ყველა შემთხვევაში. ამ შემთხვევაში ჩვენ და ხელისუფლება თანხვედრი ვართ ერთმანეთთან, ჩვენ ვავსებთ იმ სიცარიელეს, რაც უნდა შევავსოთ და მხარში დავუდგეთ ხელისუფლებას. ხელისუფლება ამის შემდგომ, თავის ჯანსაღ განწყობას ამ საკითხთან დაკავშირებით უფრო თამამად გამოთქვამს. რაც არ უნდა გამოსახატი იყოს ესა თუ ის სწორი პოზიცია, ხელისუფლებამ მაინც უნდა დაუცადოს ხალხის რეაქციას, ჩვენ ხელისუფლებას ნუ მივაწერთ, თითქოს ისინი ამის მომხრენი არიან, არ არიან ამის მომხრენი, დარწმუნებული ვარ, უხარიათ ეს რეაქცია მათი „სამწყსოს“ მხრიდან.

სექსუალურ უმცირესობებს და მათ უფლებადამცველებს მე ვუსურვებდი, როგორც მართლმადიდებელი სასულიერო პირი, ღმერთმა მოუვლინოს მათ განსაცდელი სულის გამოსაწრთობად, ვითარცა ოქრო გამოიწრთობა ბრძმედში. მათ არ იციან, რა არის ვაჟკაცობა, დარწმუნებული ვარ, სამშობლოს დასაცავად თითის გამძრევნი არც იყვნენ და არც იქნებიან, მათ არ იციან, რა არის ბუნების მშვენიერება, ქალის სიყვარული, სილამაზე, რა შეიძლება მათ უსურვო, გარდა იმისა, რომ გაიარონ ცეცხლი, იქნებ ამ ცეცხლმა უშველოს. სამშვიდობოზე ჩვენ გაგვიყვანს ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი.

დეკანოზი გიორგი ღორეული:

– მინდა ვუთხრა ძველ და ახალ ხელისუფლებას, უფალი ბრძანებს: როდესაც შენი ძმა სცოდავს და შენ არ შეაგონებ, თანაზიარი ხარ იმ ცოდვისო. ძველ ხელისუფლებაში ბევრნი ისხდნენ გეებიც და ლესბოსელებიც. ეტყობა, ამ ხელისუფლებაშიც ბევრნი არიან, თორემ რაც ჩემთვის უსჯულოებაა, იმას ჩემს ოჯახში ფესვებს ვერავინ გაუდგამს. ხელისუფალისთვის ოჯახი არის, რა თქმა უნდა, პირადი, ამის მერე მთელი სამშობლოა, რომელსაც მართავენ და მაინცდამაინც რომ გითხრა, შესაშურად და მისაბაძად ვერ მართავენ. მერე ესენი ერთმანეთს აბრალებენ, „ნაციონალური მოძრაობა“ უშლის, თუ „ქართული ოცნება“ უშლის, რა შეიცვალა ამ „ოცნებაში“ მე ვერ ვიგებ, იმიტომ, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ როგორც სატანისტური სექტა, ესენი მართავენ ბევრ სტრუქტურას და დღევანდელი დღე არის საგანგაშო, ასეთი წყნარი ინტერვიუს მისაცემი დრო კი არ არის. უყურეთ, ზემოდან ქუჩები არის ჩაკეტილი საპატრულო პოლიციის მიერ, ალბათ, შინაგან საქმეთა მინისტრის ან სამმართველოების ბრძანებით. ჭონქაძიდან ჩამოვდიოდით და არ ჩამოგვატარეს, მერე ჩიხებში ვიარეთ, რომ როგორმე გამოვსულიყავით თავისუფლებიდან მოდის მღვდელმთავრის ხელმძღვანელობით მრევლი, რომელსაც ჩაუკეტეს გზა. თქვენ მე მეკითხებით, რატომ ვერ დავიცავით საქართველოში ზნეობა? სამღვდელოებას რომ შეაჩერებ, რათა ცოდვის წინააღმდეგ ხმა აღიმაღლოს, რომელ ზნეობის დაცვაზეა ლაპარაკი. სამაგიეროდ, მერე რომ გაუჭირდებათ, ისევ ეკლესიას მოადგებიან და ისევ მას სთხოვენ შველას. ამიტომ დემოკრატია დემონის კარტიაო, ეს ძალიან კარგად არის ნათქვამი. ქართველისთვის იყო უფალი და სამშობლო და მერე არის ოჯახი.

ნინო კობაიძე

ვუდროფის მკვლელობა

საქართველოს ხელისუფლება, აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს (ცსს) ოფიცრის, **ფრედი ვუდროფის** 20 წლის წინ მომხდარი მკვლელობის გამოძიებას აპირებს. იუსტიციის მინისტრ **თეა წულუკიანის** განცხადებით, ეს საქმე თავის დროზე სათანადოდ არ იქნა გამოძიებული. ოფიციალური ვერსიით, ვუდროფი 1993 წლის 8 აგვისტოს სოფელ ნატახტართან ნასვამი მამაკაცის მიერ უმისამართოდ ნასროლ ტყვიას ემსხვერპლა. ცნობილია ის ფაქტიც, რომ ვუდროფი გარდაცვალებამდე რამდენიმე ხნით ადრე თავის ძველ მეგობარს, ცსს-ს მაღალჩინოსანს **ოლდრიჩ ეიმსს** მასპინძლობდა. მოგვიანებით, ეიმსი რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობისთვის დააკავეს და მას ამერიკულმა სასამართლომ სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა.

ფრედი ვუდროფი

ოფიციალური ვერსიით, ვუდროფი **ანზორ შარმაიძემ** მოკლა. მიუხედავად იმისა, რომ ამ საქმეში ბევრი საეჭვო დეტალი იყო, შარმაიძეს 15-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს, პატიმრობის პერიოდში კი მას გაქცევის მცდელობისთვის სამი წელი დაუმატეს. შარმაიძე ციხიდან 2008 წელს გაათავისუფლეს. იგი თავის ბოლოდროინდელ სატელევიზიო ინტერვიუში აცხადებს, რომ აღიარებითი ჩვენება სასტიკი წამების შედეგად გამოსძალეს. გამოძიების ვერსიით, ვუდროფი შევარდნაძის დაცვის უფროსთან და ორ გოგონასთან ერთად ქალაქგარეთ გასეირნებიდან ბრუნდებოდა თეთრი „ნივით“, მათ ნატახტართან რამდენიმე სამხედროფორმიანმა, ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა პირმა გზა გადაუღობა და გაჩერება მოსთხოვა. საჭესთან მჯდომი გოგოლაძე არ დაემორჩილა ამ მოთხოვნას, რის შემდეგაც უცნობის მხრიდან მოხდა გასროლა, უკანა სავარძელზე მჯდომ ვუდროფს ტყვია თავში მოხვდა და საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. გოგოლაძე ინციდენტის ადგილზე დაბრუნდა და სამი ნასვამი პირი დააკავა, მათ შორის ანზორ შარმაიძე. აქვე ერთი საინტერესო დეტალი, სანდო წყაროს ცნობით, ხსენებულ ავტომანქანაში მეხუთე პირიც იყო და სწორედ ის მართავდა ავტომანქანას, თუმცა მისი ვინაობა ვერ გავარკვიეთ.

შარმაიძის დამნაშავეობაში თავიდანვე ეჭვი ეპარებოდა, როგორც ქართულ საზოგადოებას, ისე გარდაცვლილი ვუდროფის ოჯახს. ოფიციალური ვერსიის არც თეა წულუკიანს სჯერა და აცხადებს, შარმაიძე მხოლოდ იმიტომ გაასამართლეს, რომ მათ სჭირდებოდათ ვიღაც, ვისაც მკვლელობას დააბრალებდნენ, რადგან ამ მკვლელობამ სერიოზულად შეაცბუნა მაშინდელი სახელმწიფო ლიდერი ედუარდ შევარდნაძე. ვუდროფის ოჯახის ადვოკატის **მაიკლ ფულარას** განცხადებით, შარმაიძე უბრალო მსხვერპლია, რომელიც ყველა მხარისთვის მისაღები იყო. ვაშინგტონისთვის, რომელსაც სურდა დამნაშავის დაკავება და რუსეთისთვისაც, რომელსაც ამ მკვლელობასთან არანაირი კავშირის ქონა არ სურდა. ბუნებრივად ჩნდება კითხვა, რა შუაში იყო ამ ყველაფერში რუსეთი? ერთ-ერთი ამერიკული გაზეთი წერს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთსა და ამერიკას შორის დაპირისპირება მძიმე ტვირთად დააწვა საქართველოს. იმ არეულობის დროს, რაც საბჭოთა კავშირის დაშლას მოჰყვა, ვაშინგტონი სწრაფად შეეცადა ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში საკუთარი ძლიერი წარმომადგენლობების შექმნას, მათ შორის თბილისშიც. შეიქმნა ცსს-ს პოსტი, რასაც ფრედ ვუდროფი ხელმძღვანელობდა. ამერიკული გამოცემაც ეიმსისა და ვუდროფის შეხვედრაზე აკეთებს აქცენტს, რადგან არ არის გამორიცხული, რომ ვუდროფმა ყველაფერი მოუყვა თავისი საქმიანობის შესახებ ძველ მეგობარს, რომელიც შესაძლოა მისი უშუალო უფროსი არ იყო.


ანზორ შარმაიძე

აქტიურად ვრცელდებოდა ხმები, რომ ეიმსმა შეატყობინა თავის რუს „პატრონებს“, ვუდროფი ნარკოტრეფიკის შესახებ ინფორმაციებს იკვლევს, უკვე სერიოზული შედეგიც აქვსო და ვუდროფი ამიტომაც სასწრაფოდ მოიშორეს. ამერიკამ ვუდროფი უმტკივნეულოდ „ჩამოწერა“, რადგან სრული და ობიექტური გამოძიების ჩასატარებლად თავი არ შეიწუხა. ვფიქრობთ, ეს ვერსია სიმართლეს მაინც და მაინც არ შეესაბამება, ამერიკულმა მხარემ თავის დროზე დამოუკიდებელი გამოძიება ჩაატარა, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამ გამოძიების მასალების დიდი ნაწილი გასაიდუმლოებულია. ისე, ამერიკული გამოძიებაც უარყოფს ხსენებულ მკვლელობასთან შარმაიძის კავშირს. სხვათა შორის, ისიც ითქვა, ვუდროფი ქართველებმა მოკლეს, რადგან ისინი რუსებმა გააფრთხილეს, ნარკოტიკებთან დაკავშირებით „იწვებითო“.

ამ საქმის ხელახალი გამოძიების საკითხი „ვარდების რევოლუციის“ შემდეგაც დადგა, მაგრამ არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. ვუდროფისა და შარმაიძის ადვოკატებმა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ხელახალი გამოძიების დაწყების შუამდგომლობით მიმართეს გენპროკურატურას, თუმცა ამ უწყებამ უარი განაცხადა. სააკაშვილს ვუდროფის ამერიკელი ადვოკატისთვის აგრესიულად უთქვამს, ჩვენ თვითონ ვიცით, რა გამოვიძიოთ და რა არაო. მოგვიანებით სააკაშვილი მაინც დათანხმებულა ხელახალ გამოძიებას, ბრალდების მთავარი მოწმეებიც დაუკითხავთ, მაგრამ რა გაირკვა, დღემდე უცნობია. გავრცელებული ინფორმაციით, ამ ინციდენტის ბევრმა მოწმემ ჩვენება შეცვალა, ზოგიერთი მოწმეკი საერთოდ გაუჩინარდა. „საერთო გაზეთის“ ინფორმაციით, ის ორი გოგონა, რომელიც გამოძიების ვერსიით მკვლელობის დროს „ნივაში“ ისხდნენ, თავად ხელისუფლების წარმომადგენლებმა გაისტუმრეს საზღვარგარეთ, რაც, ცხადია, სერიოზულ ეჭვს ბადებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, შარმაიძეს ბევრი მიიჩნევს უდანაშაულოდ, მათ შორის ექსპერტებიც და ჟურნალისტებიც. ისინი მიიჩნევენ, რომ გამოძიების პროცესში ბევრი ფაქტი და დეტალი გაყალბდა, ან უბრალოდ, გამომძიებლებმა ყურადღება არ მიაქციეს. ისმება სრულიად ლოგიკური და ლეგიტიმური კითხვები: რომელ საათზე მოხდა მკვლელობა? რატომ განვითარდა გვამის სწრაფი გაშეშება? რატომ ვერ იპოვა თავიდანვე ამერიკელმა ექსპერტმა ტყვიის გულას კვალი „ნივაში“? რატომ არ აღმოჩნდა გულას ფრაგმენტი არც ვუდროფის სხეულში და არც ავტომობილის სალონში? რა მანძილიდან და რა ტრაექტორიით ისროლეს? რატომ არ ამოიღეს მკვლელობის მოწმეების ტანსაცმელი? რატომ განსხვავდება მკვლელობის მოწმეების ჩვენებები აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს ექსპერტების დასკვნებისგან? როგორ მოხვდა მიდევნებული ტყვია კეფაში ვუდროფს, თუ ის შემოტრიალებული იყო და იარაღიანი ხალხისკენ იყურებოდა და ა.შ.

ვუდროფის მკვლელობის ოფიციალურმა ვერსიამ, ალბათ, იმიტომაც გამოიწვია დიდი ეჭვი, რომ ამერიკელი დიპლომატის ეგიდით საქართველოში ჩამოსული ვუდროფი, სინამდვილეში ცსს-ს გამოცდილი თანამშრომელი აღმოჩნდა. ამას ემატება ისიც, რომ ეს მკვლელობა საქართველოს საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის სამთავრობო დაცვის სამართველოს უფროსის **ელდარ გოგოლაძის** ავტომანქანაში მოხდა. ყველას კარგად მოეხსენება, რომ სპეცსამსახურების მოქმედი და ყოფილი თანამშრომლები, მით უფრო, ამერიკელი და რუსი მზვერავები (ან მათი აგენტები) უბედური შემთხვევის გამო თითქმის არასდროს იღუპებიან, მათ ყოველთვის ვიღაც „ეხმარება“, – წერს ქართული პრესა.

რეალურად რატომ და როგორ მოკლეს ფრედ ვუდროფი, „საერთო გაზეთს“ ის სანდო და კომპეტენტური წყაროები ესაუბრნენ, რომლებსაც ხსენებული მკვლელობის დროს ძალოვან სტრუქტურებში საპასუხისმგებლო თანამდებობები ეკავათ. ვფიქრობთ, მათი ნაამბობიდან ზემოთ ჩამოთვლილ კითხვებსაც შეძლებისდაგვარად გაეცემა პასუხები. ჩვენი რესპონდენტებიც იზიარებენ იმ ვერსიას, რომ ვუდროფი შარმაიძეს არ მოუკლავს, თუმცა ისინი მკვლელობის განსხვავებულ ვერსიებზე საუბრობენ. აქვე ისიც გვინდა გითხრათ, რომ ჩვენი აზრით, შეგნებულად ვრცელდებოდა ხმები ვუდროფის სასმელისა და ქალთა სქესის გადამეტებულ სიყვარულთან დაკავშირებით, ამით მავანთ ალბათ, მკვლელობის ოფიციალური ვერსიის გამყარება სურდათ. ერთი ვერსიით, ვუდროფი მართლაც იყო ზემოხსენებულ კამპანიათან ერთად ქალაქგარეთ. ერთ-ერთ იქ მყოფ ქალბატონს თავისი „გლოკის“ ტიპის რევოლვერი ათხოვა, რომელიც ამ უკანასკნელს შემთხვევით გაუვარდა და ვუდროფი სასიკვდილოდ დაჭრა. რესპონდენტი ამ მკვლელობას ვუდროფის საქმიანობას არ უკავშირებს, მას მოპოვებული ინფორმაცია უკვე გადაცემული ჰქონდა თავისი ხელმძღვანელობისთვის. გამჟღავნებულ ინფორმაციაზე არავის კლავენ, ეს შემთხვევითი მკვლელობა იყო. ვუდროფის თანმხლებნი დაიბნენ, არ იცოდნენ როგორ დაეძვრინათ თავი, ამიტომაც მისი მკვლელობის შესახებ ოფიციალურად გვიან განაცხადეს, იმიტომაც გაჩნდა ეჭვი გვამის სწრაფ გაშეშებაზეო. ამ მკვლელობაში შარმაიძე იმიტომ დაადანაშაულეს, რომ მოგეხსენებათ, მაშინ რა არეულობაც იყო, გვარდიელები და „მხედრიონელები“ იარაღის მუქარით ხშირად აყაჩაღებდნენ მოსახლეობას. ეტყობა, შარმაიძეც შემჩნეული იყო ასეთ ქმედებებში, ამიტომაც ადვილი იყო მისთვის ამ მკვლელობის „მიკერება“, ანუ მკვლელობის რეალური მიზეზის დამალვა. ეს ვერსია ამერიკელებსაც აწყობდათ, რადგან არც მათთვის იყო სასიამოვნო, ცსს-ს მაღალჩინოსანი ოფიცერი ასეთ უხერხულ სიტუაციაში რომ დაიღუპაო.

ოლდრიჩ ეიმსი

ჩვენი მეორე რესპონდენტის ცნობით კი ვუდროფის მკვლელობა ყველაზე მეტად ნარკოტრეფიკის თემას უკავშირდება. ვუდროფი იყო ცსს-ს პირველი წარმომადგენელი, რომელიც კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში მოავლინეს ნარკოტრანზიტის იმ მარშრუტის გასაშიფრად, რომელიც ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წლებში, ანუ **ბრეჟნევის** ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ „გაჭრეს“ რუსმა სამხედრო მაღალჩინოსნებმა. ამერიკელების მიზანი იყო საქართველოში გახსნილიყო შავი ზღვის ქვეყნების (საქართველო, რუსეთი, უკრაინა, რუმინეთი, თურქეთი) ნარკოტრანზიტის წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრი თუ რაღაც ამგვარი. ეს არ ესიამოვნა კრემლს, რადგან ხსენებულ ნარკოტრანზიტში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რუსი სამხედრო გენერლები იყვნენ ჩართულნი. რუსული სამხედრო თვითმფრინავები უპრობლემოდ გადაადგილდებოდნენ, თითქმის ყველგან, მათ არავინ ჩხრეკდა, სადაც უნდოდათ, იქ გადაიტანდნენ ნარკოტიკს თუ სხვა უკანონო ტვირთებს. სხვათა შორის, ჩვენი წყარო თავის დროზე ავღანეთში საბჭოთა კავშირის ჯარების შესვლას, ნარკობიზნესს უკავშირებს და აღნიშნავს, რომ ნატოს ჯარების ამ ქვეყანაში შესვლის მთავარი მიზანიც ნარკობიზნესია. ვუდროფის მკვლელობის შემდეგ ხსენებული ცენტრი თურქეთში გაიხსნა, რამაც, თურმე, მნიშვნელოვნად შეზღუდა ამ ქვეყნის ტერიტორიაზე ნარკოტიკების ბრუნვა და ტრანზიტი. ჩვენი წყაროს პოზიციას ის ფაქტიც ამყარებს, რომ 1993 წლის შემოდგომაზე ამერიკული დაზვერვის ეგიდით, თურქეთის ერთ-ერთ ქალაქში გაიმართა ნარკოტიკების ტრანზიტის წინააღმდეგ მიმართული შავი ზღვის აუზის ქვეყნების სპეცსამსახურების ხელმძღვანელთა შეხვედრა, რომლის ორგანიზატორიც სწორედ ოლდრიჩ ეიმსი გახლდათ. არადა, ეს შეხვედრა თბილისში უნდა გამართულიყო.

რაც შეეხება ხსენებულ ნარკოტრანზიტის მარშრუტს, ბუნებრივია, ის ავღანეთში იღებს სათავეს, სწორედ ამ ქვეყნიდან შემოდიოდა ნარკოტიკი, რომელიც საქართველოს გავლით მიეწოდებოდა თურქეთსა და დანარჩენ ევროპას. წყაროს თქმით, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ეს ნარკოტრასა არ მოსპობილა, უბრალოდ „მაკონტროლებელი“ შეიცვალა, მას ახლა რუსი გენერლების მაგივრად, ამერიკელები აკონტროლებენ. ვუდროფის მკვლელობასთან დაკავშირებით, ამერიკელების გარკვეულ ინერტულობას წყარო ამ ფაქტორით ხსნის. საქართველოშიც სწორედ ამიტომ არ წყნარდება სიტუაცია, არც დაწყნარდება, სანამ არ „დაბინავდება“ ავღანური ყაყაჩოს მოსავალი, რომლისგანაც „ოპიუმი“ მზადდება (ეს კი ოქტომბერ-ნოემბერში მოხდება) და ნატოს ჯარები არ გავლენ ავღანეთიდანო. მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების სათავეში მოსვლა საეჭვოდ დაემთხვა ავღანეთში ნატოს ჯარების შესვლას. 2014 წელს გაჰყავთ ავღანეთიდან ნატოს ჯარები, ამერიკა სანამ ბოლომდე არ გამოგვიყენებს ნარკოტრანზიტად, მანამდე სიმშვიდე არ გვეღირება. წყაროს განცხადებით, არც ნატოს ჯარების გასვლის შემდეგ მოისპობა საქართველოზე ნარკოტრეფიკის საფრთხე, რადგან ნარკოტიკი ყოველთვის იშოვის უკონტროლო გადამზიდავს, მაგრამ მერე, ალბათ, თვითონ ამერიკაც დაგვიჭერს მხარს ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლაში, რადგან ამ „ბიზნესის“ ძირითადი მაკონტროლებელი ეს ქვეყანაა.

ახლა რაც შეეხება უშუალოდ ვუდროფის მკვლელობას. ის გამოცდილი სპეციალისტი და ამავე დროს წესიერი ადამიანი იყო. მან პატიოს-

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

ნად იმუშავა, გაშიფრა ამ ნარკოტრასის მთელი სქემა და არა მარტო ეს საქმე, ამიტომაც მოიშორა იმ ქვეყანამ, რომელიც წლების განმავლობაში საქართველოს ნარკოტრანზიტად იყენებდა. წყაროს თქმით, ვუდროფი თბილისის ერთ-ერთ სასტუმროში (ოღონდ შეგნებულად არ დაგვიკონკრეტა რომელში – მ.ს.) მოკლეს და მერე ეს უნიჭო „სპექტაკლი“ გაითამაშეს, გვამი „ნივაში“ ჩადეს და ნატახტრისკენ წაიყვანეს, სადაც როგორც ჩანს, სავარაუდო „მკვლელი“ ეგულებოდათ. ვუდროფი უკვე 7-8 საათის მკვდარი იყო, როცა პროზექტურაში გადაიყვანეს, ამიტომ გვამის სწრაფ გაშშებაზე საუბარი ზედმეტია. სწორედ ამიტომ არ ამოიღეს მკვლელობის „მოწმეთა“ ტანსაცმელიც, რადგან ამ ტანსაცმელზე დენთის კვალი არ იქნებოდა, რაც მკვლელობის „გაპრავების“ შეუშლიდა ხელს. წყარო ამ მკვლელობაში ყველაზე მეტად რუსეთის გრუს (დაზვერვის მთავარი სამმართველო) კვალს ხედავს, რადგან ეს სამსახური რუსეთის თავდაცვის სამინისტროს გენშტაბთან ფუნქციონირებს. სადაც სამხედრო გენერალიტეტის ინტერესებია, იქვეა ყოველთვის საგარეო დაზვერვაც. თუ უშუალოდ რუსეთის სპეცსამსახურის წარმომადგენლებმა არ მოკლეს ვუდროფი, ყოველ შემთხვევაში, მათი დაკვეთითაა მოკლულიო.

წყარო მიიჩნევს, რომ მიუხედავად საქართველოს ახალი ხელისუფლების სურვილისა, ეს საქმე ბოლომდე მაინც არ გაიხსნება. ასეთი საქმეების გახსნის ალბათობა ყოველთვის ძალზე მცირე ყოფილა. გავიხსენოთ თუნდაც **ზურაბ ჟვანიას** მკვლელობა. გამოძიების მასალებში ყველაფერი ისეა არეული, რომ აშკარად თეთრი ძაფით არის ნაკერი, მაგრამ ეს მაინც არაფერს ცვლის. ამ საქმეში ყველა „თვითმხილველი“ ცრუობდა და რატომ – ქართული მხარე ამტკიცებდა, რომ ვუდროფს ტყვია შუბლში ჰქონდა მოხვედრილი. ამერიკულმა ექსპერტიზამ კი დაადგინა, რომ გვამს კეფაზე ჰქონდა ნაჭრილობევი. არავითარი „გლოკის“ ტყვია, ამერიკელებმა აქაც დაადგინეს, რომ ვუდროფი ავტომატის ტყვიით იყო მოკლული. ერთ-ერთი მოწმე ქალბატონი აცხადებდა, რომ თითქოს ბნელოდა და ამიტომაც ვერ დაინახეს მაშინვე, ამ გასროლის შედეგად რომ მოკვდა ვუდროფი. ის აშკარად ცრუობს, რადგან, ოფიციალური ვერსიით, ეს მკვლელობა 21.30 საათზე მოხდა, აგვისტოში კი 21 საათზე ღამდება, ნახევარ საათში ისე არ ჩამობნელდებოდა, რომ მკვლელობა ვერ შეენიშნათ. ეს ქალებიც სპეცსამსახურის აგენტები იყვნენ, რადგან, როგორც წესი, ამ სამსახურებს ყველა სასტუმროში ჰყავთ შეგზავნილი აგენტებად საეჭვო რეპუტაციის ქალები. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს ქალბატონები (მათ ვინაობას შეგნებულად არ ვასახელებთ) საზღვარგარეთ გაუშვიათ, ისინი ერთხელაც კი არ შეუხვედრებიათ ვუდროფის ოჯახის ამერიკელი ადვოკატისთვის. წყაროს თქმით, მარტო ამ „მოწმეებს“ კი არა, საქართველოს მაშინდელ ყველა ძალოვან სტრუქტურას კრემლი აკონტროლებდა. ჩემი ღრმა რწმენით, ელდარ გოგოლაძეც რუსეთის სპეცსამსახურების თანამშრომელი იყო და ის ამ საქმეში იმიტომ ჩართეს, რომ ეს მკვლელობა „გაეპრავებინაო“.

პირველ დღეს, როცა „ნივა“ დაათვალიერეს, ტყვიის შემოსვლის კვალი ვერც ქართველმა სამართალდამცავებმა აღმოაჩინეს და ვერც ამერიკელებმა. ეს „კვალი“ მესამე თუ მეოთხე დღეს უპოვიათ. სასურველი ვერსიის გასამყარებლად, რა პრობლემა იყო, „საექსპერტო“ ავტომანქანისთვის თვითონვე რომ ესროლათ? ტყვიის გულაც იმიტომ ვერ აღმოაჩინეს, რომ ვუდროფი ავტომატ აკს-ის ტყვიით იყო მოკლული, ასეთი ტყვია სხეულზე მოხვედრისას მოძრაობს და იშლება. რაც შეეხება შარმაიძეს, მის წინააღმდეგ გამოძიებას მხოლოდ ერთი „სამხილი“ ჰქონდა, რომელი ადგილიდანაც მან ისროლა, იქ ტყვიის მასრა ვიპოვნეთო. წყაროს თქმით, შარმაიძემ, შეიძლება, მართლაც ისროლა, მაგრამ ვუდროფი მას არ მოუკლავს. დაინტერესდით, ვინ და სად არიან შარმაიძის თანმხლები **ბერბიჭაშვილი** და **ბედოიძე**, ჩვენი ინფორმაციით, ისინი პოლიციელები იყვნენ, რასაც შეეძლო გადამწყვეტი როლი ეთამაშა, ოფიციალური ვერსიის გამყარებაშიო.

თუ ამერიკელებს ამ მკვლელობასთან დაკავშირებით ყველაფერი გამოძიებული და გარკვეული ჰქონდათ (ისინიც ხომ ამტკიცებდნენ შარმაიძე უდანაშაულოაო), რატომ არ მოსთხოვეს მათი ხელდასმით ხელისუფლებაში მოსულ „ვარდოსნებს“, ამ საქმის ობიექტური გამოძიება? გამოდის, თვითონაც რაღაც ინტერესი ჰქონდათ. ძნელია, წყაროს არ დაეთანხმო, რომ ამერიკასაც არ აწყობდა სიმართლის გარკვევა და გახმაურება. ეტყობა, ისინიც რაღაც ორმაგ თამაშს თამაშობდნენ, რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს წყაროს ვერსიას, რომ ამ ნარკოტრეფიკში აშშ-მა ჩაანაცვლა რუსეთი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ის ცენტრი, რაც თბილისში უნდა გაკეთებულიყო, თურქეთში გაკეთდა და ეს ქვეყანა, ფაქტობრივად, გამოეთიშა ნარკოტრანზიტს. ამის შემდეგ „გაჭრილა“ ახალი ტრასა უკრაინის გავლით. „სწორედ ამიტომ ვიყავით „ჩახუტებული“ უკრაინასთან, განსაკუთრებით ნაცხელისუფლების დროს. რამდენადაც მახსოვს, ვუდროფმა ეს მეორე, სავარაუდო ტრასაც გაშიფრა. საქართველოს გავლით ტონობით ნარკოტიკი გაედინებოდა, ზუსტად არ მახსოვს, რომელ წელს, თურქეთის ტერიტორიაზე დააკავეს საქართველოდან გასული შვიდი ტონა „ოპიუმი“. ჩვენთან კი მხოლოდ ორჯერ ამოიღეს 10 კილოგრამი ნარკოტიკი, ისიც შევარდნაძის მმართველობის დროს, ნაციონალებს კი საერთოდ აღრაფერი გამოუვლენიათ. მათი მმართველობისას გავიდა უკრაინაზე ეს ტრასა, თურქეთს აღარ გაკარებიან, რადგან ეს ქვეყანა მათთვის საფრთხის შემცველი იყო. ნახეთ, მერე რა ფარსი დადგეს (ამას სააკაშვილის ჭკუა ნამდვილად არ ეყოფოდა), თითქოს მხოლოდ საფრანგეთიდან შემოდიოდა საქართველოში ნარკოტიკი, ანუ „სუბოტექსი“ და ეს ქვეყანა იყო ჩვენი დამღუპველი. ეს სპეციალურად გაკეთდა, ავღანური ნარკოტიკისგან რომ ჩამოეცილებინათ საზოგადოების ყურადღება“, – აცხადებს წყარო.

(თემის გაგრძელება შემდეგ ნომერში)

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

რეზოლუცია

ქართულმა საზოგადოებამ 1 ოქტომბერს განაჩენი გამოუტანა მ. სააკაშვილის დანაშაულებრივი რეჟიმს და ამით უარი უთხრა:

– უსამართლობას;

– ქართული კულტურისა და ცნობიერების აბუჩად აგდებას;

– ეკლესიების ნგრევას და მართლმადიდებლობის წინააღმდეგ განხორციელებულ მუხანათურ პოლიტიკას;

– უკანონო პატიმრების არაადამიანურ წამებას, პრობაციონერების შანტაჟს;

– ბიზნესის დაწიოკებას;

– პოლიტიკური ნიშნით სამსახურებიდან დათხოვნას;

– გაუსაძლის სოციალურ, ეკონომიკურ და დემოგრაფიულ ფონს;

– ქართველი ხალხის ქონების უკანონო გასხვისებას;

– ომის ვეტერანების და ჯარისკაცების უფლებების სრულ უგულებელყოფას,

– განათლების სისტემის ნგრევას და ღვაწლმოსილი პროფესორ–მასწავლებლების შეურაცხოფას;

– დევნილების ჩაგვრას და დაწიოკებას;

– მეანაბრეთა მოტყუებას, მევახშეების მიერ მოსახლეობის დიდი ნაწილის დაზარალებას;

– ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევებსა და ქვეყანაში გამეფებულ დიქტატურასა და ტერორს!

საქართველომ თავისი ღირსეული არჩევანი ახალ ხელისუფლებაზე - პირველ რიგში, ბიძინა ივანიშვილზე გააკეთა! ამ არჩევანით, საქართველოს მოქალაქეებსა და საზოგადოებას იმედი ჰქონდა და ჯერ კიდევ აქვს, რომ არჩეული ხელისუფლება სრულად გაემიჯნება და უარს იტყვის წინა ხელისუფლების მიერ დანერგილი მართვის მანკიერ მეთოდებზე.

ნაციონალურმა მოძრაობამ და მისმა ყავლგასულმა პრეზიდენტმა თავისი ბოროტი მმართველობის არალეგიტიმური ვადა კონსტიტუციის უხეში დამახინჯებით და საზოგადოებზე ძალადობით მოიპოვა. 1 ოქტომბერს ქართველი ხალხის და საზოგადოების არჩევანი გახლდათ ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენა და არა კვლავ წინა რეჟიმთან „თანამშრომლობა“. სამართლიანობის აღდგენა კი, პირველ რიგში, დამნაშავე რეჟიმის კანონის ძალით გასამართლებას მოითხოვს.

ჩვენი ლეგიტიმური უფლებაა, დავიცვათ სამშობლო ისეთი მაოხრებელი ჯგუფისგან, როგორიც ნაციონალური მოძრაობაა.

ქართველი ხალხი კარგად იცნობს ზოგადსაკაცობრიო და დასავლურ ღირებულებებს. ეს არ არის ის ფასეულობები, რაც ყოფილმა ხელისუფლებამ საქართველოს დასავლეთის სახელით შესთავაზა!

ქართველი ხალხი, როგორც არასდროს, პრინციპულია თავის გადაწყვეტილებაში - ამხილოს დანაშაულებრივი რეჟიმი, რომელმაც, მრავალი დანაშაული ჩაიდინა, ყველა დასავლური ფასეულობა ხელყო და ქართულ საზოგადოებაში ამ ფასეულობების დისკრედიტაცია მოახდინა.

უკვე ყბადაღებულად ქცეული ტერმინი „კოჰაბიტაცია“, ანუ ჩვენებურად თანაცხოვრება–თანაარსებობა ზოგად ასპექტში მისაღებია, მაგრამ არის ზღვარი, რომლის გადალახვაც არ ეგების. ეს ზღვარი ხალხსა და სააკაშვილის რეჟიმს შორის თვით ნაციონალურმა მოძრაობამ გაავლო მათ მიერ მოკლული, ნაწამები, დასახიჩრებული, აბუჩად აგდებული ადამიანების, უკანონოდ გასხვისებილი კერძო საკუთრების

სახით; ეს ზღვარი გაივლო იმ სისხლის მდინარეებით, რომელიც ყოფილმა რეჟიმმა რუსთაველზე, საკუთარ ხალხს ბევრჯერ ადინა.

ევროპული დემოკრატიის უპირველესი პრინციპი ღაღადებს – უმკაცრესი პასუხისგებინება მათ, ვინც ადამიანების სიცოცხლის უფლებას ხელყოფს!

მიგვაჩნია, რომ სამართლიანობის საბურველს ამოფარებული, ფსევდოდემოკრატიული, ორმაგი სტანდარტების შემცველი ვერანაირი ფარული ქმედება, რომელიც რეალურად ნაცმოძრაობის ბანდის გადარჩენას ემსახურება, ჩვენთვის მისაღები ვერ იქნება!

ანტისახელმწიფოებრივი და კაცთმოძულე ყოფილი რეჟიმის ბოროტ ზრახვებს ჩვენს ერსა და სამშობლოს ვერ ვანაცვალებთ. სწორედ ამიტომ, ჩვენი საზოგადოება მხოლოდ იმ პირობით დაუჭერს მხარს მოქმედ ხელისუფლებას, თუკი ის საკუთარი წინასაარჩევნო დანაპირების, სამართლიანობის აღდგენის პროცესს გააგრძელებს მეტი პრინციპულობით, მეტი ენერგიულობითა და კანონის სრული სიმკაცრით.

დღეს ქვეყანაში თითქმის ნულიდან იწყება ჭეშმარიტი დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობა. ჩვენ ყველანი ნათლად ვხედავთ, რომ ეს პროცესი მეტად რთულად მიმდინარეობს, ფარული ობსტრუქციისა და საბოტაჟის ფონზე. სულ რამდენიმე თვის წინათ კი საქართველოში სრულ და გაუსაძლის უსამართლობას ზურგს უმაგრებდა შეუზღუდავი ოფიციალური ძალაუფლება. სწორედ ამ კონტექსტში, გვინდა შეგახსენოთ დიდი მოაზროვნის და ჰუმანისტის – ბლეზ პასკალის უკვდავი სიტყვები – „მართებულია, დაემორჩილო სამართლიანობას, შეუძლებელია არ დაემორჩილო ძალას. სამართლიანობა, რომელსაც ზურგს არ უმაგრებს ძალა, უძლურია. ძალა, რომლის ზურგს უკან არ დგას სამართლიანობა, ტირანულია. უძლურ სამართლიანობას ყოველთვის ფეხქვეშ გაიგებენ იმიტომ, რომ ამ ქვეყნად არ დაილევიან უკეთურნი; უსამართლო ძალა კი ყოველთვის აღაშფოთებთ კეთილთ. მაშასადამე, საჭიროა ძალისა და სამართლიანობის შერწყმა; ამიტომ ან სამართლიანობა უნდა გახდეს ძლიერი, ანდა ძალა – სამართლიანი“.

ჩვენი მოქალაქეობრივი ვალია, მივუთითოთ, დავეხმაროთ ხელისუფლებას ისეთი დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბებაში, რომლებიც შეძლებენ ძალისა და სამართლიანობის გაერთიანებას.

ქართველი ხალხის უპირობო მოთხოვნაა – ნაციონალური რეჟიმის და სისტემის კანონის სრული სიმკაცრით გასამართლება!

მივმართავთ ხელისუფლებას და საერთაშორისო თანამეგობრობას – ქართველი ხალხი სამართლიან გადაწყვეტილებას ელის! არცერთი ცივილიზებული სახელმწიფო ხელს არ დაიფარებს რეჟიმს, რომელმაც თავისი ქმედებით და არსით საკუთარ ქვეყანაში „თანამედროვე ფაშიზმის“ კვალიფიკაცია შეიძინა.

მივმართავთ საქართველოს პარლამენტს მოთხოვნით, რომ შეიქმნას სპეციალური საგამოძიებო კომისია, რომელიც შეისწავლის ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებებს და შესაბამის პოლიტიკურ, სამართლებრივ და მორალურ შეფასებას მისცემს მათ.

– მივმართავთ საერთაშორისო თანამეგობრობას და მოვითხოვთ მისგან საქართველოს საზოგადოების აზრის გაზიარებას და „ნაციონალურ მოძრაობასთან“ მიმართებაში სამართლიანი და ობიექტური პოზიციის დაფიქსირებას.

ვიტოვებთ იმედს, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა და ხელისუფლება სათანადო სამართლებრივ შეფასებას მისცემს სააკაშვილის რეჟიმს და ქართულ სასამართლოს პირუთვნელი, მიუკერძოებელი, სამართლიანი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობა მიეცემა!



ᲡᲐᲮᲐᲚᲘ, ᲡᲐᲮᲔᲚᲐᲓ „ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲚᲔᲑᲘ“!

„რესპუბლიკელები“ ბიძინა ივანიშვილს პირში ელაქუცებიან, ზურგს უკან კი მათ მიერ კონტროლებადი არასამთავრობოების ხელით სამარეს უთხრიან!

საქართველო, თავისი ტრადიციით, ისტორიით, სარწმუნოებითა და კულტურით, პარადოქსების ის ერთადერთი ქვეყანაა, სადაც შესაძლებელია ამორალურობისთვის – "მორალური ზარალის ანაზღაურებაზე" ისაუბრონ?! გავრცელებულ ცნობილ ფარულ ჩანაწერზე (ფარესაშვილის) რეაქცია არ მექნებოდა, რომ არა ისევ "საიას მეცამეტე გოჭობა". ვის, თუ არა "საიას"- ყველა საკითხისა და სფეროს "უპირველეს არბიტრს" უნდა ეთავა ფარესაშვილის ადვოკატობა და დაცვა. თან არც მეტი, არც ნაკლები, მორალური ზიანის მიყენებისთვის. და რაც მთავარია, კომპენსაციის გადახდის ღარიბაშვილის უწყებისთვის მოთხოვნით, ანუ წინა რეჟიმის მაღალჩინოსნების დავალებით, მათ მიერვე გადაღებული აღვირახსნილი კადრებისთვის საზღაური – ღარიბაშვილმა და ახალმა ხელისუფლებამ უნდა ზღოს!

სად ბრძანდებოდა ეს „საია" და ლიბერასტული ფრთა მაშინ, როდესაც ნაცმოძრაობის დავალებით გაშვებული "მოდელირებული ქრონიკით" მორალურიც, ფსიქოლოგიურიცა და სულიერი ზიანიც მიადგა მთელ საზოგადოებას?! ბევრ ადამიანს შიშით გული გაუსკდა. ზოგს კრიზი და გაჟონვა მოუვიდა. "სიამ" რატომ არავისგან არ მოითხოვა მორალური ან ფსიქოლოგიური ზარალის ანაზღაურება? ერთი "ფარესაშვილის უფლებები" უფრო მეტს რატომ ნიშნავს იურისტებად წოდებული ახალგაზრდებისთვის? ახლა მაინც რატომ არავინ აყენებს "იმედის" მაშინდელი ხელმძღვანელობისა და გადაცემის წამყვანი ჟურნალისტის პასუხიმგებლობის საკითხს? ამ ჟურნალისტს ლამის ყოველ მეორე ტელევიზიაში რატომ იწვევენ "კომპეტენტური აზრების" გამოსათქმელად? ან გირგვლიანის, რობაქიძის, ვაზაგაშვილისა და უდანაშაულოდ დახოცილი მრავალი ახალგაზრდის ოჯახების მორალური ზიანის ანაზღაურებაზე ოდესმე თუ ამოუღია "საიას" ხმა? (რომელ ანაზღაურებაზე შეიძლება მათთან საუბარი – მაგრამ მაინც). როდემდე შეიძლება, რომ გარედან დაფინანსებული ორგანიზაციები მართავდნენ ქვეყანას?! რატომ და როდემდე უნდა ისხდნენ პარლამენტში და ხელისუფლებაში "ნაციონალების გონიერი განაყოფი" – "საიას" ლობისტი და მათივე "სულიერი მშობლები" – რესპუბლიკელი ლიდერები?!

"საიასი" რა გვიკვირს, როდესაც, განათლების მინისტრის მოადგილე და "თავისუფლების ინტიტუტის" ყოფილი და რესპუბლიკელების ამჟამინდელი წევრი დავით ზურაბიშვილი "გონივრულ" აზრებს აფრქვევს თავის ბლოგზე, დატოზურ.ბლოგსპოტ.ცომ-ზე სტატიაში: "სახადი № 5 (ოპტიმისტური ტრაგედია პროლოგითა და ეპილოგით)", სადაც ზურაბიშვილი "რესპუბლიკური გონიერებით", ქართული საზოგადოების მიერ განვლილი "სახადების 5 კატეგორიას" აგვიღწერს. ფილადელფიის უნივერსისტეტის კერძო მოწვევით გამართულ "ქართულ-აფხაზური კონფლიქტების ასპექტების" კონფერენციაზე, რესპუბლიკელებისგან აფხაზეთის დამოუკიდებლობაზე გამოთქმულ ანტისახელმწიფოებრივი და ანტიეროვნული გამონათქვამები რომ აღარ გავიხსენოთ, ამ სტატიითაც გასაგებია – რას წარმოადგენს ეს პოლიტიკური პარტია, რა ზიანის მოტანა შეუძლია "გაოპოზიციონერებული ნაციონალებისა" და "გახელისუფლებული რესპუბლიკლების" ერთობლივ თანაკოჰაბიტაციას!.

ზურაბიშვილის სტატიაში ვკითხულობთ: ***„ქართული იდენტობა დიდწილად ასოცირდება ეთნოცენტრიზმთან, გამსახურდიას მმართველობამ ახალგაზრდა თაობის ლობერალურ ნაწილში გააჩინა სერიოზული კონსერნები საერთოდ ქართული იდენტობის მიმართ, რომელიც წმინდა წყლის ნიჰილიზმში გადაიზარდა, მათთვის "ქართული" და "ნეგატიური" პრაქტიკულად სინონიმებად იქცა".*** ასე უცქერს ზურაბიშვილი ეროვნული მოძრაობის აღამავლობის პერიოდსა და ქართველი ერის გამოღვიძების მომენტს. ***"რაც სხვა არაფერა თუ არა თუ არა კულტურული რევოლუცია, რომელიც გულისხმობდა პროგრესული სახელისუფლებო გუნდის მიერ ბნელი და ჩამორჩენილი მასის აღზრდა-გადამზადებას".*** ამის დასტურად კი მოჰყავს საფრანგეთში მცხოვრები პაატა ქ.ურდაძის სიტყვები: ***"საკუთარ წარსულში საკუთარი თავის იდენტიფიცირების უნარსმოკლებული თაობა ვერასოდეს ვერ შესძლებს ახალ ეპოქასთან იდენტიფიცირებას. ის ყოველთვის აცდენილი იქნება რეალობას".*** ზურაბიშვილი 9 აპრილისა და ეროვნული მოძრაობის პერიოდს "ეთნოცენტრისტულ ნაციონალიზმს" უწოდებს, ***"რომელმაც ეროვნული მოძრაობის პერიოდში ვულკანივით ამოზეთქა და ისეთი ამაზრზენი სახით წარსდგა ჩვენს წინაშე, კინაღამ სრულ ნიჰილიზმში გადაისროლა მთელი მოაზროვნე საზოგადოება.*** (მოაზროვნეებშიც – რესპუბლიკელები უნდა ვიგულისხმოთ ალბათ, რადგან იმ პერიოდში თინა ხიდაშელიც გამსახურდიას "ეთნოცენტრისტულ სახადს იხდიდა"?!) ეროვნული გამოღვიძება "თავისუფლების ინსტიტუტის" აღზრდილსა და ამჟამად რესპუბლიკელს გულზე ეკალივით რომ ხვდებოდეს – რა გასაკვირია?! ეროვნული მუხტისა და სულისკეთების აღზევებამდე კი, თურმე, ***"ათწლეულების მანძილზე იკვებებოდა ქართული ნაციონალიზმი იმ მითით, რომ არაქართველები შეგნებულად ცდილობენ ფეხი მოიკიდონ ჩვენს მიწა-წყალზე, ნელ-ნელა და შეგვავიწროვონ და განგდევნონ.*** თითქოს, ახლა ზუსტად ამ მდგომარეობაში არ ვიმყოფებოდეთ! ***„მარტო ლიტერატურული ნაწარმოებები იმდენია შექმნილი ამ თემაზე, რომ მთელი ანთოლოგიაც კი შეიძლება შეადგინო, მიხეილ ჯავახიშვილის "ჯაყოს ხიზნებიდან" დაწყებული და მუხრან მაჭავარიანის ლექსებით დამთავრებული ("გუგულის კვერცხი ესოდენ უხვად ჯერ არ ყოფილა ჩვენში" და ა.შ)".*** ასეთი აზროვნების ადამიანი დღეს განათლების მინისტრის მოადილეა?! ზურაბიშვილი ***"1991-92 წლის საშობაო გადატრიალებას"*** უარყოფითად აფასებს და თვლის, რომ ***"ეს კოშმარი გამსახურდიას ხელისუფლებასთან ერთად დამთავრდა. ერთხანს პირადობის მოწმობაში ეროვნების აღნიშვნა და მიწაზე კერძო საკუთრების არაქართველებისთვის დაკანონება რჩებოდა უკანსკნელ ბასტიონად, მაგრამ ეს ორი ბასტიონიც დაეცა. დღეს მხოლოდ მარგინალური ჯგუფები თუ ოპერირებენ იმ სქემებით, ოდესღაც ეროვნულობისა და ქართველობის უცილობელ ატრიბუტად რომ ითვლებოდა".*** ამ სიტყვების შემდეგ მაინც თუ მიხვდებიან "გონიერი პარტიის" მეხოტბეები, რომ არა მხოლოდ სააკაშვილს უნდა ვუმადლოდეთ ქართული მიწების გასხვისების პოლიტიკას, არამედ – "გონიერებსაც"! ახლა უკვე ხელისუფლებაში მყოფი რესპუბლიკელებისგან ქართული მიწების გასხვისების შეჩერების რა იმედი უნდა გვქონდეს? ზურაბიშვილი კი, დანარჩენ რესპუბლიკელებთან ერთად, ალბათ აღფრთოვანებულია ქართული მიწების უცხოელებზე ტოტალური გასხვისებით! შევარდნაძის მმართველობის დასასრულს ზურაბიშვილი ***"მითს ქართულ ინტელიგენციაზე"*** უკავშირებს. მიიჩნევს, რომ ***"90-იანი წლებში ამ სოციალურმა ფენამ ფაქტობრივად შეწყვიტა არსებობა. ინტელიგენციამ დაკარგა პოლიტიკური ავტორიტეტი, ერის ლიდერისა და წინამძღოლის მისია. თუკი აღრე, ქვეყნის მოწყობის საკითხებზე მწრალს პირდაპირ მოეთხოვებოდა პოლიტიკური ლიდერობა და როცა თავს არიდებდნენ ამ საქმეს, ყველა მიტინგზე ისმოდა, სად არიან ქართველი მწერლებიო, ეს სოციალური როლი ინტელიგენციამ დაკარგა, სხვა სოციალური როლი კი არც არადროს ჰქონია."*** ასეთი სიძულვილი და ზიზღი ქართული მწერლობისადმი კარგს არაფერს მოგვიტანს. "გონირებს", არც ილია, არც აკაკი და არც ქართული ლიტერატურის სხვა კორიფეების ნაწარმოებები წუკითხავთ?! ინტელიგენციისადმი ასეთი დამოკიდებულების მქონე ადამიანი დღეს მმართველ გუნდშია! ბიძინა ივანიშვილისგან ინტელიგენციის დაფასებასა და მისთვის ანგარიშის გაწევაზე რა აზრის ბრძანდება ბატონი ზურაბიშვილი?! ინტელიგენციის კიდევ ერთი შეფასება: ***"სინამდვილეში არანაირი პოლიტიკური სარგებელი ინტელიგენციის სოციალური რეანიმაციის მცდელობას არ მოაქვს. ამას ადასტურებს ყველა სოციალური კვლევა, რაც კი საქართველოში ჩატარებულა.*** (ალბათ, ნავაროს კვლევას გულისხმობს. – ბ.ა.) ***პოლიტიკოსებს ხშირად აკრიტიკებენ, მაგრამ არავის აღარ მოსდის თავში მათ მოუწოდოს, რომელიმე ხელოვნას ან მეცნიერს დაუჯერეთო"*** . აი, რატომ სურს დავით უსუფაშვილს პარლამეტში მხოლოდ იურისტების ყოფნა, რადგან რესპუბლიკელებს ქართული კულტურისა და ხელოვნების წარმომადგენები – სააკაშვილივით სძულთ და აფრთხობთ! არა, ბატონო ზურაბ, თქვენ მწერლებისა და ხელოვანების დაჯერებას არავინ გთხოვთ. თქვენ, მხოლოდ ბიძია სოროსსა და მაკკეინს უნდა დაუჯეროთ! ***"ვარდების რევოლუციის შედეგად ხელისუფლებაში მოვიდა პოლიტიკოსებისა და საზოგადოებრივი აქტივისტების ის ახალი თაობა, რომელიც 90-იან წლებში გამოიზარდა და საქართველოშიც და საზღვარგარეთაც აღიქმებოდა ქვეყნის ლიბერალურ რესურსად. ეს იყო თაობა, რომელმაც საკუთარ თავზე გადაიტანა ფასეულობათა გადაფასების მტკივნეული პროცესი."*** უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ "საზოგადოებრივ აქტივისტებსა და ლიბერალურ რესურსში" "თავისუფლების ინსტიტუტი", "რესპუბლიკური პარტია და ლიბერალურად მოაზროვნე" მაშინდელი და ახლანდელი "ახალგაზრდა იურისტებია" მოაზრებული. ისინი ხომ აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ ვარდების რევოლუციის მზადებისა და განხორციელების მთელ პროცესში?! ზურაბიშვილისეულ ხუთ სახადს: ***ეთნოცენტრისტულს- გამსახურდიას პერიოდი, ქურდულს- ჯაბა იოსელიანის, ინტელიგენტურსა და ნომენკლატურულს- შევარდნაძის, კულტურულ რევოლუციას- სააკაშვილის,*** პროლოგში საქართველოს ზურაბიშვილი მეექვსეს უწინასწარმეტყველებს. ***"სააკაშვილის ბანკროტობის"***, მისგან ***"მართვის ბერკეტების მეტნაკლებად დათმობის ფონზე"*** ზურაბიშვილი ხელისუფლებაში პოლიტიკური ძალის მოსვლის ორ ვარიანტს განიხილავს: ერთი (რომელშიც უცილობლად რესპუბლიკლებს მოზარებს) ***"პროდასავლური და ლიბერალური ხელისუფლების ქვეყანაში მოსვლა".*** რა შემთხვევაშიც, "საიასა" და რესპუბლიკელების იდეოლოგიიდან გამომდინარე, გამუდმებული გეი-აღლუმები, ფარესაშვილის ჩანაწერების მსაგვსი ზნეობა–მორალის პერსპექტივა გვიჩნდება და მეორე – ***"ანბელი ინტელიგენციის სოციალური რეანიმაციის მცდელობას არ მოაქვს. ამას ადასტურებს ყველა სოციალური კვლევა, რაც კი საქართველოში ჩატარებულა.*** (ალბათ, ნავაროს კვლევას გულისხმობს. – ბ.ა.) ***პოლიტიკოსებს ხშირად აკრიტიკებენ, მაგრამ არავის აღარ მოსდის თავში მათ მოუწოდოს, რომელიმე ხელოვნას ან მეცნიერს დაუჯერეთო"*** . აი, რატომ სურს დავით უსუფაშვილს პარლამეტში მხოლოდ იურისტების ყოფნა, რადგან რესპუბლიკელებს ქართული კულტურისა და ხელოვნების წარმომადგენები – სააკაშვილივით სძულთ და აფრთხობთ! არა, ბატონო ზურაბ, თქვენ მწერლებისა და ხელოვანების დაჯერებას არავინ გთხოვთ. თქვენ, მხოლოდ ბიძია სოროსსა და მაკკეინს უნდა დაუჯეროთ! ***"ვარდების რევოლუციის შედეგად ხელისუფლებაში მოვიდა პოლიტიკოსებისა და საზოგადოებრივი აქტივისტების ის ახალი თაობა, რომელიც 90-იან წლებში გამოიზარდა და საქართველოშიც და საზღვარგარეთაც აღიქმებოდა ქვეყნის ლიბერალურ რესურსად. ეს იყო თაობა, რომელმაც საკუთარ თავზე გადაიტანა ფასეულობათა გადაფასების მტკივნეული პროცესი."*** უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ "საზოგადოებრივ აქტივისტებსა და ლიბერალურ რესურსში" "თავისუფლების ინსტიტუტი", "რესპუბლიკური პარტია და ლიბერალურად მოაზროვნე" მაშინდელი და ახლანდელი "ახალგაზრდა იურისტებია" მოაზრებული. ისინი ხომ აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ ვარდების რევოლუციის მზადებისა და განხორციელების მთელ პროცესში?! ზურაბიშვილისეულ ხუთ სახადს: ***ეთნოცენტრისტულს- გამსახურდიას პერიოდი, ქურდულს- ჯაბა იოსელიანის, ინტელიგენტურსა და ნომენკლატურულს- შევარდნაძის, კულტურულ რევოლუციას- სააკაშვილის,*** პროლოგში საქართველოს ზურაბიშვილი მეექვსეს უწინასწარმეტყველებს. ***"სააკაშვილის ბანკროტობის"***, მისგან ***"მართვის ბერკეტების მეტნაკლებად დათმობის ფონზე"*** ზურაბიშვილი ხელისუფლებაში პოლიტიკური ძალის მოსვლის ორ ვარიანტს განიხილავს: ერთი (რომელშიც უცილობლად რესპუბლიკლებს მოზარებს) ***"პროდასავლური და ლიბერალური ხელისუფლების ქვეყანაში მოსვლა".*** რა შემთხვევაშიც, "საიასა" და რესპუბლიკელების იდეოლოგიიდან გამომდინარე, გამუდმებული გეი-აღლუმები, ფარესაშვილის ჩანაწერების მსაგვსი ზნეობა–მორალის პერსპექტივა გვიჩნდება და მეორე – ***"ანხელისუფლება მაინც შეიცვლება, ოღონდ რუსეთზე ორიენტირებული <u>ნაციონალისტური ძალებით,</u> რომელთა იდეური ბაზისი იქნება სწორედ <u>რელიგიური ნაციონალიზმი</u>".*** ჩვენ კი "გვეგონა", რომ მართლმადიდებლობის მტრები მხოლოდ ნაციონალები იყვნენ?!

მეექვსე სახადს, "რელიგიურ ნაციონალიზმს" ზურაბიშვილი ასე ახასიათებს. ის თურმე ***<u>"(არსებითად უკვე არის) სხვადასხვა დოზით ეთნოცენტრიზმსაც მოცავს, კრიმინალურ რომანტიზმსაც და ინტელიგენციის სოციალურ როლსაც.</u> საბჭოთა პერიოდის ისტორიული ნარატივი ქრისტიანობას წარმოგიდგენდა როგორც ქართველობის, ანუ ეროვნული იდენტობის ატრიბუტს, მაგრამ, ჯერ ერთი, ეს ეხებოდა მხოლოდ ფეოდალურ ეპოქას, თანაც იგულისხმებოდა ზოგადად ქრისტიანობა და არა გამორჩეულად მართლმადიდებლური აღმსარებლობა. სადღეისოდ კი სრულიად სხვა ვითარებაა. მართლმადიდებლობა საზოგადოებრივი <u>აცნობიერების დონეზე უკვე მიიჩნევა ეროვნული იდენტობის ერთ-ერთ</u> <u>განმსაზღვრელ ფაქტორად. ეს</u> <u>დიდწილადაა განპირობებული ტრა-</u> <u>დიციული (ეთნოცენტრული) იდენ-</u> <u>ტობის დიკრედიტაციითაც."</u>*** ზურაბიშვილის აზრით, რევოლუციური ძალისხმევის (რომლის აქტიური მონაწილეც "თავისუფლების ინსტიტუტის" ეს წარმომადგენელიც იყო) მიმართული "წარსულში დარჩენილი ავტორიტეტების (ინტელიგენციის) შევარდნაძის დროს ჩასახული ჯერ კიდევ სუსტი ინსტიტუტების- პოლიტიკური პარტიების, არასამთავრობო სექტორისა და დამოუკიდებელი მედიის წინააღმდეგ წარმოებული საქმიანობის ***"შედეგი იყო ის, რომ ხელისუფლების ავტორიტეტიც დაეცა და <u>უკიდურესად გაძლიერდა ეკლესია, რომელსაც სააკაშვილის გუნდმა ვერაფერი დააკლო დიდად. დღეს ეკლესიის მორალური ატორიტეტი ისე მაღალია, როგორც არასდროს... მოვლენათა ამდაგვარმა განვითარებამ ძალიან შეუწყო ხელი რელიგიური ნაციონალიზმის აღმავლობას...ეს იქნება კიდევ ერთი ძნელად მოსაშორებელი სახადი, თუმცა ავადმყოფობის სიმძიმეც და გამოჯანმრთელების სტადიაც დიდადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ წარიმართება პოლიტიკური პროცესები საქართველოში".*** ამ პროცესების წარმმართველ ძალად კი ზურაბიშვილი ალბათ სწორედ თავის პოლიტიკურ გუნდს მოიაზრებს, რომელიც "საიას" მეშვეობით ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ღარიბაშვილს პოზიციები შეურყიოს და სახელისუფლებო ბერკეტებს ჩამოაშოროს. რათა შემდგომ სოროსული იდეოლოგიით მწერლობისა და ეროვნულობის, მართლმადიდებლობის ზიზღით გამსჭვალულებმა, ნაციონალებთან ერთად, საბოლოოდ მოუღონ ბოლო საქართველოს.! საქართველოსაც თუ რაიმე „სახადი სჭირდა", მისი ყველაზე დიდი სახადი – ნაციონალები და რესპუბლიკელები არიან!

„რესპუბლიკელები“ ბიძინა ივანიშვილს პირში ელაქუცებიან ზურგს უკან კი მათ მიერ კონტროლებადი არასამთავრობოების ხელით სამარეს უთხრიან!

ესენი ვინ შეიყვანეთ პარლამენტში, ბატონო ბიძინა?!

ᲑᲐᲘᲐ ᲐᲛᲐᲨᲣᲙᲔᲚᲘ

მიხო მორჩილაძე

„ლამაზია გურჯის ქალი“...

(ამონარიდი ჩემი საფრონტო დღიურიდან)

08.09.92 გაგრა.

გადავრჩით... ჩვენი **ÁÌ Ï** გზისპირში ჩაძვრა და იქიდან პასუხობს მოწინააღმდეგის ცეცხლს. მოკლედ, აქაური, ჩვენებური ომის ჩვეულებრივი დღეა და მეტი არაფერი. ნელ-ნელა წყნარდება კენჭების რაკარუკივით ხმა ბეტონის ფილებსა და **ÁÌ Ï** -ზე. შეტევა მოგერიებულია. ჩაწყნარდა ყველაფერი და ორი ქალის სილუეტი გამოჩნდა. ჩვენკენ მორბიან. ბიჭებმა ტყვიები აღარ დაზოგეს და მტერს თავი არ ააწევინეს, რომ ქალებს გამოსვლა მოესწროთ. იქიდანაც გვესვრიან, უფრო ნაღმსატყორცნიდან. ჭურვი ხან გზის იქით სამოც-ოთხმოც მეტრში ჩავარდება, ხანაც აქეთ. ვერა და ვერ დაგვიმიზნეს კარგად. როგორც იქნა, ქალები მოგვადგნენ. ბეტონის ფილებს აქეთ შემოიხიზნენ. ახალგაზრდა მაღალია, ლამაზი, თვითდაჯერებული გამომეტყველება აქვს, ოდნავ გამომწვევიც. საცრისოდენა თვალებს თითქმის არ ახამხამებს, ხნიერი უფრო დაბალი და ჩასუქებული. ორი ჩვენი მებრძოლი გაჭედილ ნაღმსატყორცნს უკირკიტებს... „ტაფას“ ხსნიან. მე რაღაც სისულელეებს ვეკითხები ლტოლვილ ქალებს და „იქით“ დარჩენილ ნაცნობებს ვკითხულობ. სწრაფად მპასუხობენ. იცნობენ, ყველას იცნობენ, მაგრამ ბევრი აღარაა, — მოკლეს... — მეუბნებიან უფრო ხშირად. ყოველგვარი აღელვებისა და თითქმის დანანების გარეშეც. თითქოს ასეც უნდა ყოფილიყო. — იქაა, — ამბობენ სხვაზე, — გარეთაა, გავიდნენ. მოასწრეს!.. — ხანდახან ასეც ამბობენ. ჩვენი საუბარი უინტერესო ხდება. არც მათ აინტერესებთ არაფერი. დათო, ჩვენი **ÁÌ Ï** -ს მძღოლი ჰპირდება, რომ მანქანით გაიყვანს, რომ აქეთ საშიში აღარაა. ორივე თავს უქნევს. უფრო ზრდილობისთვის. ბიჭებს საჭმელი მოაქვთ. ყველა ვცდილობთ, ქალები ვანუგეშოთ.

— მე „გრანატები“ მინდა! — ამბობს უფრო ახალგაზრდა და პირველად უჩნდება რაღაც ინტერესი ხმაში.

— ვაი, შე უბედურო, უბედურო!.. ეს რას უყურა შენმა თვალებმა!.. — მოთქვამს ხნიერი ქალი და ბეჭზე ხელს ადებს ახალგაზრდას, — გამაგრდი!.. უნდა გამაგრდე! მეტი გზა აღარა გაქვს!.. — მოთქვამს ისევ და ახალგაზრდას ეფერება.

— „გრანატები“ მჭირდება! — ამბობს ის ჯიუტად.

ÁÌ Ï მზადაა. უკანა კარს უღებენ ქალებს. ხნიერი ვიშვიშით შედის მანქანაში და კუთხეში იკუნჭება მოთქმით. ახალგაზრდა კვლავ იმეორებს:

— „მე გრანატები“ მინდა!..

— რისთვის? — ასეთ იდიოტურ კითხვას, ალბათ, მარტო მე თუ დავსვამდი. ჩემთან ერთად ის მებრძოლიცაა, ჭურვების ყუთს რომ მოვათრევდით ამ რამდენიმე წუთის წინ ერთად. ქალი გამომცდელად გვიყურებს.

— ამასთან შეიძლება? — მეკითხება და მებრძოლზე მანიშნებს.

— ჩვენია, — ვპასუხობ მე, ჭკუანაკლულს რომ ელაპარაკებიან, ისე. ხანდახან ხდება, რაღაც სხვა კაცის გამომეტყველებას, მის ხასიათს რომ იჩემებ და მერე გიძნელდება ამ მდგომარეობიდან გამოსვლა. ჩემს თავზე ვბრაზდები, მაგრამ ვერც სხვა სიტყვები მომინახავს. ქალი უფრო მეტი ინტერესით მიყურებს.

— შენ ნამდვილად უფროსი ხარ! — მეუბნება რაღაც დიდი იმედით და მერე თითქოს ჩურჩულით ამატებს, — მე უნდა დავბრუნდე!.. — ამ სიტყვებს რამდენჯერმე იმეორებს, — და „გრანატები“ უნდა მომცე!.. — იმხელა იმედი, იმხელა მუდარაა მის სიტყვებში, რომ არ ვიცი, რატომ, მაგრამ უკვე ყველაფერზე თანახმა ვარ.

— არა გჯერა? — მეკითხება გამომცდელად, — ჩვენ მიწის პატარა თხრილში ვსხედვართ, ბეტონის ფილას ამოფარებულები, — ნახე! — ამბობს და უეცრად სწრაფად იწევს კაბას მუხლებიდან.

ხორბლისფერ კანზე უამრავი ჩალურჯება და სიგარეტის ნამწვავის კვალი ატყვია.

— ქალბატონო, არაა საჭირო!.. — ვეუბნები, ვემუდარები. კაბის კალთას ისევ ქვემოთ ვუწევ.

— შენ ვერაფერი გაიგე!.. — დამარცვლით, როგორც პატარა ბავშვს, სინანულით მეუბნება ქალი, — ეს, რაც ნახე, არაფერია! გესმის, არაფერი!.. — და ჩემს ტრაფარეტულ სიტყვებს, რომ ომში მამაკაცებმა უნდა იომონ, რომ მან უნდა დაივიწყოს, რაც შეემთხვა, გულგრილად, ერთი ხელის აქნევით მაწყვეტინებს. მერე მოყოლას იწყებს. გვიყვება, როგორ ჩუმად და წყნარად მიადგნენ გადამთიელები, ორი ყარაბაღელი "ბოევიკი" მის სახლს, რომელთაც კარის მეზობელი სურენა მოუძღოდათ. მისი დანახვა არ გაჰკვირვებია, სურენა ცოლთან ერთად ადრეც ხშირად სტუმრობდა და სუფრაზე გამუდმებით ეჩიჩინებოდა მის ქმარს: სახლის საბუთები ჩემჩედ გადმოწერე და თქვენს ოჯახს ვუპატრონებ, ჩვენები რომ შემოვლენო... ქალს სომხების სტუმრობა არ გაჰკვირვებია, ოღონდ ეგ იყო, გული უსიამოდ შეეკუმშა, როდესაც ერთი სტუმარი მის გოგონას უშნოდ მოეფერა. მერე ისიც თქვა, როგორ შევიდნენ, როგორ დასხდნენ. პირველად რა თქვეს. მერე ისიც, სუფრაზე რა ანეკდოტები მოჰყვეს, მერე ისიც, ამ სიცილ-ხორხოცში თავისივე დასაბმელი თოკი როგორ მოატანინეს. მერე, როგორ შეუკრეს ქმარს ხელ-ფეხი, როგორ შეკრეს თავად და აყურებინეს როგორ აუპატიურებდნენ რიგ-რიგობით მათ რვა წლის გოგონასა და ათი წლის ბიჭუნას. — ბიჭი ყოჩაღი მყავდა, — მიყვება ქალი. — როდესაც სურენას თანმხლები ჩემს გოგოს პაწაწუნა ტაკოებზე ბილწად წაეტანა, იმ უნამუსოს ხელზე დაეკიდა, კბილებით დააკვდა. სხვები იცინოდნენ, ვერაფრით მოიშორა ყარაბაღელმა "ბოევიკმა" ჩემი შვილი, სანამ ბავშვს სუფრაზე ჩემივე მოტანილი არყის ბოთლი არ ჩაარტყა თავში. და ეტყობა, მაშინვე მოკლა.. ბიჭი ყოჩაღი მყავდა, მტრის სისხლი პირველმა იმან გასინჯა. მკვდარი იყო, როდესაც გახადეს და გაუპატიურება დაუპირეს. მკვლელს კი ხელიდან სისხლი სდიოდა, ჩემი შვილის პაწუნა კბილებით ამოგლეჯილი ხორცი სტკიოდა!.. გოგომ კი, გოგომ იწვალა! — დანანებით, ვითომც მე მსაყვედურობსო, ისე მიყვება. — დედიკო, მიშველე! მამიკო, მიშველეო! — კიოდა... — მეტი აღარ შემიძლიაო! მერე უცებ ძალზე წყნარად თქვა და მერე გაჩუმდა, ერთი ამოიკვნესა და ისიც გათავდა... ჩემი ქმარი ხაოდა, მე ზედ ვეწექი და ყველა მხრიდან... და ამ დროს ვიმარჯვე! რაღაცნაირად ხელი გავითავისუფლე. ერთ "ბოევიკს" მოკლე ხანჯალი ჰქონდა ქამართან ჩამოკონწიალებული და ის ავართვი!... ავწიე და პირქვედამხობილ ჩემს უბედურ ქმარს თვალებზე დავუსვი, მერე კისერთან მფეთქავი ძარღვი გადავუჭერი!.. — მერე ქალი კაცს დააკრეს ზემოდან და ნელ-ნელა ნაჭერ-ნაჭერ გამოუქნეს ქმარი...

— არ ჯობდა, "ბოევიკი" მოგეკლა, — ჰკითხა გოგიმ. — არა! მე უნდა მეცოცხლა, რომ შური მეძია!.. თანაც, ჩემი ქმარი ღირსიც იყო! **სურენა ჩემს სახლში ვერ შემოვიდოდა, ქმარი მაგარი რომ მყოლოდა!..**— მე ისინი მენდობიან! — მიყვება ხმადაბლა, — მე მაგათ გიჟი ვგონივარ!.. ვუმღერი, ვურეცხავ, ვემსახურები... ასე ჰგონიათ, ოღონდ მაჭამონ, მასვან და მიქნან, მეტი აღარაფერი მინდა!..— ჰოდა, „გრანატები“ უნდა მომცე! ხომ გესმის, ეს მეც მჭირდება და შენც! შენ იქით არ გიშვებენ, ვერ შემოხვალ, მე კი დღეში სამჯერ მაინც „ახ სირუმ, სირუმს“ ვუმღერი...

ქალს ოთხი ხელყუმბარა შევაბით. ისე მოვაწყვეთ, რომ კაბის ზონრის ერთი მოქაჩვით, ოთხივეს დამცველი ბეჭდები მოსძვრება. ქალი კმაყოფილია. მეჩვენება თუ მართლა?.. მგონი, გვიღიმის კიდეც. მერე ისევ სროლა. ისევ მოზუზუნებს, მოსტვენს, მოფეთქავს ცეცხლი. ქალი კი აღარაა. ქალი გაქრა. მის არსებობას მხოლოდ **ÁÌ Ï** -ში საცოდავად მიყუჟული ხნიერი ქალი ამტკიცებს, რომელიც გამუდმებით ტირის.

მეორე დღეს გავიგეთ. ქალი ცეკვით შესულა ეზოში, სადაც სადილის მომლოდინე "ბოევიკები" დროს ატარებდნენ ხოლმე. უმღერია, უცეკვია. ხან ვის გასთამაშებია, ხანაც ვის... ცეკვაში ისინიც აუყოლებია და როდესაც გარშემო უმრავლესობა შემოხვევია, მაშინ გაგლეჯილა თურმე იქაურობა ცეცხლითა და გრუხუნით...

როგორც ომის შემდგომ გაირკვა, „ბაგრამიანის“ ბატალიონს ასეთი დანაკლისი მეტი არც ერთ ბრძოლაში აღარ ჰქონია...

როდესაც მეკითხებიან, რომ ყველასაგან წინასწარ განწირული, მაინც რატომ დავბრუნდი აფხაზეთში, - იმიტომ! — ვპასუხობ ხოლმე ჯავრნარევი ხმით და სხვა თემაზე გადამაქვს საუბარი. ან რაზე უნდა ველაპარაკო, ან რა ვუთხრა უფრო დამაჯერებელი?... ნუთუ, ის ჭეშმარიტება არ კმარა, რომ მტერთან ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი?

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

xalxis azriT

ტყუილად ნუ ოხრავთ ტუჩბზუებული ძაან ლიბერალი ბოვშები...” ვაიმე ევროპა არ მიგვიშვებსოოო”... ევროპაში “ჩერეზ ტრაკი” არ შედიან და ვერ შედიან.

სპორტის სასახლეში გაიმართა დამფუძნებელი შეკრება მოძრაობა „სამართლიანობისთვის“ იქ ვიყავი, ხალხს, საზოგადოებას აქვს სრულიად ლეგიტიმური უფლება მოითხოვოს სამართლიანობის აღდგენა და სისტემის პოლიტიკური, იურიდიული და მორალურ-ზნეობრივი გასამართლება, რადგან ნაცმოძ-ბანდა არის დანაშაულებრივი ორგანიზაცია!

გიგი, ვანო, გოკა, წუკო, ტაკო, ტუკუ..... და სხვანო ძლიერნო, თუ ნაძლიერნანო ამა ქვეყნის 1 თვე აანონსებდით, მიტინგს გამგეობებიდან დარაზმულად გამოიყვანეთ ხალხი დაგრანტულ, დასაგრანტი, მიგრანტულ, მისაჩინჩლი, ყველა არასამთავრობო ჩართეთ რაიონებიდან ხალხი ჩამოიყვანეთ, და ჰა ჰა არ დაგამადლით ჩვენი მხრიდან 2-3 ათასს წაგიმატებთ, 10-ათასამდე კაცი ვერ შეკრიბეთ, ორიოდე მამაომ 10-ჯერ მეტი ხალხი შეჰყარა დაანონსების გარეშე და მაგას თავი დავანებოთ, ერთმა ნანა კაკაბაძემ გაჯობეთ.....არა, რა, მართლა არაფერში არ უქნიხართ ღმერთს, მავნებლობის გარდა, ეხლაც მეკამათონ ზოგიერთები. ვანო კია პროჭი, მარა ჭკვიანიაო, ჭკვიანი კი არა, არამზადა და თან მთხლეა!)

გუშინდელ ამბებზე უკვე ასიათასობით სისულელე წავიკითხე აქ, ძნელი მისახვედრია, რომ გუშინ ქართველები ასე გამგელებით გეებს და პიროვნებებს კი არ დასხმიან თავს, არამედ, იმ იდეას ანუ იმ სიმახინჯეს, რომელიც ამ აქციაში იყო ჩადებული, აი, ეს იყო, ამ ძალადობის არსი და ამიტომ გამართლებულიც. თორემ გეები რომ შესაბრალები უფრო არიან, ვიდრე საცემები, ეგ ყველამაც იცის!!!

ეეეეეეეჰ, რა გინდა რომ ქნა? ერთი კითხვა მაქვს ამ ჩვენს ხელისუფლებასთან: ნუთუ მაგათ ჰგონიათ, რომ ჩვენი ოცნება საჯიშე, პირტიტველა ბიჭების ავღანეთში ჩახოცვა იყო და საქართველოში კიდე ამ მატლების უფლებების დაცვაა??? საით მიგვაქანებენ, როდის უნდა დავინახოთ?

მიუხედავად ჩემი დამოკიდებულებისა ძალადობისა და კაცთმოძულეობის მიმართ (ადამიანებს ვგულისხმობ, რა თქმა უნდა!!!) გაფრთხილებთ სხვადასხვა ჯურის პრადვინუტ სირისტიანებს: ხელები შორს ეკლესიისგან!!! პსხვათა შორის, მამა ბასილი არ არის ქართული ეკლესია!!!!!!

ჯერ იყო და ცისფერი მიითვისეს. დატოვეს რომანტიკოსები ყანწის ამარა. ეხლა ყველა ფერი მოინდომეს. მაგათ ერთი ფერი ერგებათ და ის მიითვისონ - განავლის ფერი. (არა ყავის ფერი, არამედ განავლის ფერი).

გვესაუბრება „მსოფლიოს ხალხთა ქრისტიანულ-მუსულმანური მეგობრობის“ ორგანიზაციის დამფუძნებელი მურაზ ნაგიევი.

— მურაზ, ქვემო ქართლში, თითქმის საცხოვრებლად გადახვედი, რა ხდება, რა სიტუაციაა არჩევნების შემდეგ საქართველოს აზერბაიჯანულ მოსახლეობაში?

ქვემო ქართლის მაცხოვრებლების დაბალი კულტურული დონე დიდი პრობლემაა საქართველოსთვის. არადა, ეს მავნებლური პოლიტიკა წლების განმავლობაში მიმდინარეობდა მათ მიმართ. ეს კი ხელს უწყობდა აზერბაიჯანული მოსახლეობის იზოლაციას და სრულ მოწყვეტას ქართული სივრციდან.

როგორც ჩანს, ჩვენს მტრებს ჩაფიქრებული ჰქონდათ, რომ აზერბაიჯანულ მოსახლეობას ამ იზოლაციის შედეგად გასჩენოდათ სურვილი წასულიყვნენ ამ ტერიტორიებიდან, ან შექმნილიყო იმის საჭიროება, რომ ქვემო ქართლში რაც შეიძლება მეტი აზერბაიჯანული ორგანიზაცია შემოსულიყო.

თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ ქვემო ქართლის აზერბაიჯანულ მოსახლეობას სურს შეისწავლოს ქართული ენა.

არც განათლების სამინისტრო, არც რომელიმე სახელმწიფო სტრუქტურა არ აქცევს ყურადღებას იმას, რაც ყურადღებამისაქცევია იმ რეგიონში.

ქვემო ქართლში გააქტიურებულია აზერბაიჯანული, თურქული, ირანული და სხვადასხვა ქვეყნის 200-ზე მეტი არასამთავრობო ორგანიზაცია. მათი უმეტესობა ანტიქართულ საქმეს აკეთებს. საზღვარგარეთ აკეთებენ განცხადებებს და იქედან მოუწოდებენ, რომ აზერბაიჯანულ ენას ეკუთვნის საქართველოში სახელმწიფო ენის სტატუსი.

— თვითმმართველობა რას აკეთებს ამ დროს?

— წარმოიდგინეთ, რომ, საქართველოს ხელისუფლება ძალიან ეხმარება იქაურ მოსახლეობას. ნოვრუზ ბაირამიც კი გაუმართეს, რაც მათი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კულტურული ღონისძიებაა, ქართული მხარე მათი კულტურის ძეგლებს უფრთხილდება და უვლის, მაგრამ ზოგიერთებს მერე თავში უვარდებათ და მეტს ითხოვენ. ქვემო ქართლში ნაციონალები ქმნიან აზერბაიჯანელების და ქართველების დაპირისპირების კერებს...

ამ დღეებში რომ სექსუმცირესობის მსვლელობა გაიმართა რუსთაველზე, აქციის შემდეგ დაიწყო თავდასხმა ჩემზე ფეისბუქის საშუალებით. მსგავსი „პატარ-პატარა“ შეურაცხცხყოფები ადრეც იყო, მაგრამ ახლა ყოველგვარ ზღვარს გადავიდნენ და ჩემი ოჯახის და პატარა შვილების გინება დამიწყეს. ეს არის პროვოკაცია, რადგან იციან, რომ მე არასამთავრობო ორგანიზაცია მაქვს, ფიზიკური ძალაც შემწევს, რომ პასუხი გავცე შეურაცხმყოფელს და სწორედ ამას ელოდებიან: დამბარეს კიდევაც სვანეთის უბანში, ხომ წარმოგიდგენიათ, იქ რომ მივიდე ვითარების გასარკვევად, რა მოჰყვება ამას, პირდაპირ ასე მონათლავენ — აზერბაიჯანელი ქართველს მიუვარდა საცემრადო.

— კერძოდ, რას გერჩიან, რაო, რა გვინდაო?

— მე აზიზიეს მეჩეთის მშენებლობასთან დაკავშირებით ჩემი შეხედულება გამაჩნია. ბათუმშიც ვიყავი ჩასული, მამა გიორგი რაზმაძესაც შევხვდი, რომელმაც ისეთი ქადაგება გაავრცელა, აზერბაიჯანულ მოსახლეობას ქართულად კითხვა რომ სცოდნოდა, იქ დიდი ამბები დატრიალდებოდა. ქრისტიანი მოძღვარი მუსულმანებს პირდაპირ ეშმაკის მსახურებად მოიხსენიებს. ამაზე გავაკეთე კომენტარი ფეისბუკში და ვთქვი: არ შეიძლება ასე ლაპარაკი, ეს შემოგდებული თემაა დასაპირისპირებლად-მეთქი. ამის მერე წამოვიდა ჩემს მიმართ გინების და ლანძღვის ნიაღვარი. სხვადასხვა სახელით შემოდიან ერთი და იგივე ადამიანები, ქმნიან ახალ პროფილებს, ჯგუფებს და მიპირისპირდებიან მე — ვითომდა ვარ სპეცსამსახურების მიერ შემოგზავნილი და ანტიქრისტიანულ და ანტიქართულ პროპაგანდას ვავრცელებ და ვნერგავ. ვინც მიცნობს, ყველამ კარგად იცის, ვინ ვარ მე და ამას არავინ არ დაიჯერებს, მაგრამ გულდასაწყვეტია, როცა ადამიანს უყვარს თავისი ქვეყანა, ამ ქვეყნის ტრადიციებს პატივს სცემს, ქართული ოჯახი აქვს და ქართულად ზრდის შვილებს, და მერე ასეთ შეურაცხმყოფელ სიტყვებს ისმენს ისეთი ადამიანებისგან, რომლებიც საერთოდ არ მიცნობენ და არც კი იციან ვინ ვარ, საერთოდ.

თუ არ შეწყდება ჩემს მიმართ მუქარები და ჩემი ოჯახის მიმართ შეურაცხყოფები, პოლიციას უნდა მივმართო და კანონის ძალით შევძლო იმის მოგვმარება, რაც მუშტიკრივით სურს ზოგიერთს. არავის მივცემ სალაპარაკოს მურაზ ნაგიევი აზერბაიჯანელია და ქართველებს ეჩხუბებაო. კიდევ ვიმეორებ, საქართველო ჩემი სამშობლოა, ქართველი შვილები მყავს და საჩხუბარი არავისთან არაფერი არა მაქვს. მე ჩემს ქვეყანას ვემსახურები და პროვოკატორების გამოხტომებს არ წამოვეგები, მით უმეტეს, ვიცი, რა ძალების შემოგდებული არიან და რასაც ემსახურება მათი მიზნები. ეროვნებათაშორის შუღლს ვეწინააღმდეგები მთელი ცხოვრება და მე თვითონ როგორ გავხდები ამ კონფლიქტის წამომწყები?

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

საქართველოში ქართულ-აზერბაიჯანული კონფლიქტი მზადდება?

— 2008 წელს მე და ბატონმა ზურაბ ქაფიანიძემ ჩამოვაყალიბეთ ორგანიზაცია „მსოფლიოს ხალხთა ქრისტიანულ-მუსულმანური მეგობრობა“ და ერთობლივად ვცდილობდით ხელი შეგვეწყო იმისათვის, რომ სხვა ეროვნების და სარწმუნოების ადამიანს უცხოდ არ ეგრძნო თავი საქართველოში, როგორც წინაპრების სამშობლოში.

ბატონი ზურაბის, ჩემი უახლოესი ადამიანის გარდაცვალების შემდეგ მარტო დავრჩი ამ საქმეში და თანდათან უფრო მიძნელდებოდა რაიმე სასიკეთოს გაკეთება ნაციონალების რეჟიმში. არჩევნების შემდეგ კი ერთმა ჩემმა მეგობარმა და თანამოაზრემ „ქართული ოცნებიდან“ მნიშვნელოვანი პოსტი მიიღო ქვემო ქართლში და მეც წავედი იქ. კაცმა რომ თქვას, ჩემი დიდი ხნის ინტერესი იყო ქვემო ქართლში ხალხთან მეტი ურთიერთობის საშუალება მომცემოდა. ახლა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლად ვითვლები ქვემო ქართლში. პირველი, რაც გადავწყვიტე, ის იყო, რომ აზერბაიჯანულ სოფლებში ჩაგვეტარებინა ქართულ-აზერბაიჯანული სპექტაკლები.



ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

„ავს თუ ავი არ ვუნოდეთ“...

ანუ ღია წერილი „მწერალთა კავშირის მესვეურებს“

ამ ბოლო დროს, კულუარებში, ზოგიერთმა ძვირფასმა კოლეგა-მწერალმა გაავრცელა ჭორი, რომ თითქოსდა ჩვენ –„საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის“ დაარსებით ვშლიდეთ ძველ „მწერალთა კავშირს“ და ყოველივე ამით მტრის წისქვილზე ვასხამდეთ წყალს!...

ეს რომ ასე არაა, ძნელი მისახვედრი როდია, უბრალოდ, მხოლოდ კეთილი თვალი და ნათელი გონი სჭირდება!

დიახ, ჩვენ ვშლით ძველი –„პოსტსაბჭოური მწერალთა კავშირის“ სისტემას და არა, მწერალთა რომელიმე გაერთიანებას, მათ სრული უფლება აქვთ იარსებონ დამოუკიდებლად, რათა ერთად ვემსახუროთ იმ დიდ საქმეს, რასაც მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობა ჰქვია!

დიახ, ჩვენ უარს ვამბობთ იმ სისტემაზე, რომელსაც ტირანიის ჩექმების ქვეშ უამრავი ქართველი მწერლის სიცოცხლე ემსხვერპლა, რომელიც ლაქიად იდგა და ხელს უწყობდა დამპყრობლის განუკითხავ პარპაშს საქართველოში.

ძვირფასო კოლეგებო, დროა სამართლიანობა აღდგეს!... ვგონებ, თქვენც გსურთ ეს სულითა და გულით, მაშ, რაშია საქმე, რამ გამოიწვია ასეთი გულისწყრომა?

შეგახსენებთ, რომ სააკაშვილის ქართველთმოძულე მთავრობის მოსვლის პერიოდს ემთხვევა მაშინდელი მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობის დათხოვნა – ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მათ საქმიანობას ვადა არ გასვლია, არც მაშინდელ, მწერალთა ყრილობას ჰქონდა უფლება, გაეყარა ისინი და მათ მაგივრად თქვენ დაესვით! არც საკუთარი ნებით უთხოვიათ წასვლა!... უბრალოდ, ეს იყო სამეფო ტახტის მცირე გადატრიალება!

იურიდიული ენით შეგახსენებთ: საქართველოს „მწერალთა კავშირის“ ხელმძღვანელებად კვლავ რჩებიან ის მწერლები, რომლებიც ადრე იყვნენ და არსად წასულან!

გარდა ამისა, თქვენ დაარღვიეთ საქართველოს მწერალთა კავშირის წესდების ყველა მუხლი, როცა თვითნებურად გაიხანგრძლივეთ „თბილ სკამზე“ ჯდომა, როცა „ძეხვებით და სოსისებით“ ატარებდით ყრილობებს და პირზე ნერწყვმომდგარ ადამიანებს, მოწვეული „თამადის“ სახით, მრავალგზის „ადღეგრძელებინებდით“ თავს!

იქნებ, არ იყო ასე?

ვითარება, რომ მართლაც რთულია, ამას დიდი ფილოსოფია არ სჭირდება!

საჭიროა ახალი გზების ძიება, საჭიროა მწერლებმა დაიბრუნონ ის კუთვნილი და ისტორიული ადგილი ერის ცხოვრებაში, რაც ათეული საუკუნეების მანძილზე ეკავათ და რაც სავალალოდ წაართვეს!...

სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ სრულიად ახალი მიზნებითა და ამოცანებით დაგვეარსებინა „საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემია“ – განსხვავებული და ჭეშმარიტად მამულიშვილური მისწრაფებით და რომელიც, ამ წერილის დაწერის მომენტში, საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ უკვე გაატარა რეგისტრაციაში!...

ის სისტემა, რომელშიც, სავალალოდ, თქვენ და ჩვენც გვიწევდა არსებობა, აწყობდა სააკაშვილის ხელისუფლებას, რადგან კარგად უწყოდა: თუ ჩაჰკლავდა ქართულ სიტყვას, თუ ჩაწინსავდა სულს, იოლად სამართავი იქნებოდა მთელი ერი!

მათი საბოლოო მიზანი კი საქართველოს სრული გაქრობა იყო!

და შეეცადნენ კიდეც!...

ძვირფასო კოლეგებო! ეს ყველაფერი თქვენც კარგად გქონდათ გაცნობიერებული, პირველად, – და არცთუ დიდი ხნით, – „ამოიკნავლეთ კიდეც, მაგრამ შემდეგ „კუჭის კანონი“ უფრო ძლიერი გამოდგა!

გადმოგიგდეს გამოხრული ძვლები და თქვენც დაკმაყოფილდით ამით!...

ხანდახან, ე.წ. „ქაცარავას“ და „სამადაშვილის“ ფონდიდან მსუყე ლუკმაც გიწევდათ!

არადა, რა ამაყად აცხადებდით ადრე: ჩვენ უანგაროდ, უხელფასო და სუფთა ხელებით ვემსახურებით ქართულ მწერლობასო!

ისე თქვენ არ აგიდგეთ გვერდები!

მერე, ცოტა რომ „წამოფერიანდით“ ერთმანეთსაც დაერიეთ კიდეც!

საქართველოს ტელევიზიით გასული თქვენს შორის ატეხილი „დაკადაკა“ რად ღირდა მარტო!

მთელი საქართველო თუ თქვენ არ გაფურთხებდათ, თავისთვის იფურთხებოდა მაინც: – ვაი, ჩვენს თავს და ვაი, ჩვენს პატრონს, ესაა ქართული მწერლობაო?

ყოველივე ამან ერთი ნამდვილი, მაგრამ თითქმის ანეგდოტური ამბავი გაგვახსენა:

იყო ასეთი, სამხრეთაფრიკელი (თუ არ ვცდებით) დიქტატორი – ბოკასა, რომელიც გაასამართლეს იმიტომ, რომ... ადამიანებს ჭამდა!

სასამართლო პროცესზე მშვიდად ივდა, ხმაც არ ამოუღია, იჩიჩქნიდა კბილებში დარჩენილ ხორცის ნაგლეჯებს და ღიმილით ადევნებდა თვალს, მოწვეული მოწმეები როგორ ამხელდნენ!

ბოლოს, მის ძმისშვილსაც (ისიც ბოკასა იყო) გამოუძახეს!

კიო! – დაადასტურა იმანაც, კი, ნამდვილად მიირთმევდაო ადამიანის ხორცს!

მაშინ კი გადაირია ჩვენი „კაციჭამია“ – შე შობელძაღლო, მარტო ვჭამდი თუ რა?... განა, შენ არ გაძლევდი ყველაზე საუკეთესო ბარკლებსო“?

ხედავთ, ჩვენო ძვირფასო კოლეგებო?

რა ჭკვიანი ყოფილა ბოკასა, – მარტო კი არ ვჭამდი, ერთად ვჭამდითო!

თუკი თქვენც ერთად ჭამდით, სატელევიზიო ეთერში რაღა გაღრიალებდათ მაშინ?

სხვა ადგილი ვერ მონახეთ?

თქვენს მიერ „ნაჭამ“ სხვა მრავალზეც, ალბათ, მომავალშიც მოგვიწევს ერთად მსჯელობა და ესეც სამართლიანობის აღდგენის საფუძვლად მიგვაჩნია!...

ხმა არ ამოგიღიათ, როცა თბილისის ქუჩებში ქართული წიგნების გაყიდვა აკრძალეს, როცა უგულავას ზონდერბრიგადები უმოწყალოდ ხევდნენ შოთას, აკაკის, ილიას, ვაჟას, გალაკტიონის... კრებულებს და ქართველ მწერალს სასამართლოში ისტუმრებდნენ იმისთვის, რომ იგი... წიგნებს ყიდდა!

ხმა არ ამოგიღიათ მაშინ, როცა თქვენი მეგობარი მწერლები თავს სასიკვდილოდ წირავდნენ, რათა სიმართლე ეთქვათ ხალხისთვის!

ხმა არ ამოგიღიათ მაშინაც კი, როცა ყველას თვალწინ, დღისით-მზისით სიცოცხლეს გამოასალმეს საქართველოსთვის გულანთებული შვილი – მწერალი გურამ შარაძე!

ხმა არ ამოგიღიათ, როცა ქართველი მწერლები გაუსაძლისი პირობების გამო ცხოვრებას თვითმკვლელობით ამთავრებდნენ, როცა მრავალი მათგანი, უბრალოდ... შიმშილისგან დაიღუპა!

რატომღაც საეჭვოდ დუმდით, როცა მანქურთები, შვიდ ნოემბერს, ოცდაექვს მაისს სასტიკად უსწორდებოდნენ ქართველ ერს!... როცა მის საუკეთესო შვილებს, სრულიად ახალგაზრდებს დაუნდობლად ისტუმრებდნენ იმქვეყნად!...

თითქოსდა, მშვიდად უცქერდით, როცა სააკაშვილის „ხელისბიჭები“, ვითომ „მწერლები“ – დეისაძე-ბურჭულაძეები თავიანთი ღვარძლიანი მონაჩმახით ჩირქს ცხებდნენ მთლიანად საქართველოს, მის ისტორიას!...

არსად გვსმენია, რომ ვინმე, ჩვეულებრივი მოქალაქეც კი ჩვენს მეგობარ და მეზობელ სახელმწიფოს – აზერბაიჯანს –„პერსონა ნონ გრატად“ გამოეცხადებინა!

და თქვენ ეს მოახერხეთ – საქართველოს „მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობამ“!

აქ ხომ მოილიეთ საქმე და ახლა... გასასეირნებლადაც მოიცალეთ!

ან რა გინდოდათ ყარაბაზში ან რა თქვენი საქმე იყო ყარაბაღი სეპარატისტებისთვის გუნდრუკის კმევა?

არავინ გყავდათ გვერდით, ერთი ჭკვიანი მაინც, რომ თქვენთვის ერჩია: ამგვარი საქციელი მიუღებელია და პირდაპირი დარღვევაა აზერბაიჯანის სისხლის სამართლის კოდექსისა (რაზედაც თავის ნოტაში მიგითითათ მათმა საგარეო საქმეთა სამინისტრომ) და თუ თქვენზე სისხლის სამართლის საქმე არ აღიძრა, მეზობლების დიდსულოვნებას უნდა მივაწეროთ!

კიდევ ერთხელ ვიმეორებთ: ჩვენ ვცდილობთ შევცვალოთ ძველი სისტემა და კანონიერების აღდგენის საფუძველზე, შევქმნათ ახალი – ერისთვის აუცილებელი და სასიცოცხლო!

სწორედ ამან განაპირობა „საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის“ დაარსება!

სწორედ ამან განაპირობა, რომ ჩვენს რიგებს მრავალი ქართველი მწერალი უკვე შეუერთდა და მათი რიცხვი ყოველდღიურად იზრდება!

უბრალოდ, ადამიანური რჩევა იქნება: გონივრული თვალით შეხედთ მომავალს, გამოაცხადეთ თვითლიკვიდაცია, ერთად ჩავატაროთ ყრილობა და ახალი არჩევნები, რათა შევძლოთ ქართული მწერლობის გადარჩენა და ვიზრუნოთ მისი საუკეთესო მერმისისათვის!

ყოჩაღ, ძვირფასო კოლეგებო!

რა კარგად აგითვისებიათ „პროლეტკულტელი მწერლების“ ხელწერა!

შემთხვევით, 1936-37 წლები ხომ არ გაგახსენდათ?

არადა, როგორ ნაცნობია ეს ტერმინები: „გაირიცხებით“... „დაისჯებით“... „დაიხვრიტებით“!...

ეს ხომ თქვენ ერთხელ უკვე მოახერხეთ, როცა მრავალი ქართველი მწერალი აიძულეთ დაეტოვებინა საქართველოს მწერალთა კავშირი, ზოგიც კი თავად გარიცხეთ!...

იგივე მეთოდი, იგივე ტონი?...

ნამდვილად არ გშვენით!

ისე, თქვენს ადგილას ცოტათი დავფიქრდებოდით: საფუძვლიანად გადახედეთ თქვენს „მრავალწლიან საქმიანობას“ მწერალთა კავშირში – რაიმე ხომ არ გენიშნებათ ისეთი, ცოტათი მაინც რომ ასდის სისხლის სამართლის კოდექსის სუნი?

ეს ისე, სხვათა შორის – მხოლოდ და მხოლოდ კეთილი სურვილებით და არა თქვენნაირი – მუქარის ტონით, მწერალთა კავშირიდან გარიცხვით რომ გვაშინებთ!...

ნება თქვენია!

ჩვენ კი, მხოლოდ, კეთილი სურვილები გაგვაჩნია! – გვჯერა, ყველაფერს თქვენგან გადადგმული დაფიქრებული ნაბიჯი გადაწყვეტს!

ღმერთი გფარავდეთ!

P.S. ეს წერილი ახალი დაწერილი გვქონდა, როცა საქართველოს „მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობამ“ სასწრაფო „კრება“ მოიწვია (რომელსაც რამდენიმე მწერალი „ესწრებოდა“!) და ასეთი „ზეპირი უსტარი“ გვაახლა: თუ უარს არ ვიტყოდით ჩვენს „ჩანაფიქრზე“ (ალბათ, საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის დაარსებას გულისხმობდნენ!) გავირიცხებოდით საქართველოს მწერალთა კავშირიდან!

ყოველივე ამან შოთა ჩანტლაძის ერთი ლექსი გაგვახსენა:

„ღენერალი ქალაქიდან დამპირდა გასახლებას,

ღენერალი მილიციის!...

ვინ იცის, რა მოხდება ამქვეყნად,

ვის გასახლებენ ვინ იცის“!

ძვირფასო კოლეგა-მეგობრებო!

ჩვენთვის ცნობილი გახდა (გონივრული ეჭვი!), რომ ჩინეთის კულტურული რევოლუციონერების მიბაძვით, თქვენი რიგების შესავსებად, სასწრაფოდ დაიწყეთ მწერალთა გაწვევა!

კერძოდ, ბოლო დღეებში სამტრედიაში 17 „წერა-კითხვის მეტ ნაკლებად მცოდნენი“ „ გიკურთხებიათ“ მწერლად!

ცოტათი ადრე ჭიათურაშიც იგივე ჩაგიდენიათ!

ისე, რომ ვთქვათ, სინგაპურშიც არაა 17 მწერალი, არათუ სამტრედიაში!

ისიც კარგად ვიცით, მწერალთა კავშირის ხელმძღვანელებს ცალ-ცალკე, დასტა-დასტად რომ გელაგათ მწერალთა წიგნები და ვისაც სურდა, და როგორც სურდა, თქვენივე ხელმოწერით (ცალ-ცალკე) გასცემდით იმ პირებზე, ვისაც არავითარი შეხება გაჩნდა მწერლობასთან!

ასე შეივსო თქვენი რიგები 525-მდე!!!

525 მწერალი, ხომ ისეთ ვეშაპსახელმწიფოსაც შეშურდებოდა, როგორიც... ინდოეთია!

ალბათ, ეს „გაითვალისწინა“ ცხონებულმა შოთა რუსთაველმა, როცა მისი გმირები ინდოეთშიც ამოგზაურა!

კი, ბატონო! ყველამ უწყის, ქართველები „ძაან ნიჭიერები“ რომ ვართ, მაგრამ ჩვენს შორის დარჩეს, ცოტა მეტი ხომ არ მოგვიდათ?

ჩავხედეთ თქვენს მიერ გამოცემულ „მწერალთა წიგნს“ და ისეთი გვარები აღმოვაჩინეთ, მგონი, მათი არსებობა საკუთარ ნათესავებსაც აღარ ახსოვთ!

ან ასე იოლი რატომ გახადეთ გაწევრიანება?

ხომ არსებობდა კავშირის გამგეობაც?

წესდებით: გასაწევრიანებული ყველა კანდიდატის შეფასება მას უნდა მოეხდინა და თანაც საკმაოდ მძიმე წესების დაცვით: გამოცემული წიგნები, სამი პრეტენზია და... საბოლოო დასკვნა!

კარგი, ვთქვათ ყველაფერი „წესრიგშია“:

წიგნის გამოცემა ხომ ადვილია – გადაიხდი ფულს და მორჩა, რაც გინდა იბეჭუტურე და იგლახავე!

დავუშვათ, რეცენზენტებიც „გადაირივნენ“: ამისთანა მწერლები (კვლავ, ცხონებული შოთა რუსთაველის შემდეგ) არსად შეგვხვედრიაო!

მაგრამ, რა ვუყოთ იმას, რომ წესდების მიხედვით: გამგეობამ უნდა იმსჯელოს კანდიდატურების ავკარგიანობაზე და ისიც... ძირფესვიანად!

არ გვგონია მისი წევრები ასე აჭრილიყვნენ ცაში სიხარულით!

და იცით, რატომ?

არც კი განვიხილავთ მისაღებ კანდიდატთა შესაბამისობას წესდებასთან შეფარდებით!

და თუ განიხილეთ;

ამასობაში, საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის წევრთა რაოდენობა ყოველდღიურად მატულობს! – თქვენგან ხელნაკრავი და მართლაც ნიჭიერი მწერლებით!

თუ სურვილი გექნებათ. გეპატიჟებით საქართველოს მწერალთა საერთო ფორუმზე, რომელიც ამა წლის 22 მაისს, ოთხშაბათს, სამ საათზე მწერალთა სასახლის ბაღში ჩატარდება!

იქ ხომ არ გავაგრძელოთ საუბარი?

უპრიანი იქნებოდა!

საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის დიდი დარბაზი

სნავლულთა ნააზრევზე დაფუძნებული პოლიტიკა

ქვეყანაში სისტემური კრიზისი გრძელდება და კოჰაბიტაციის, ორხელისუფლებიანობის პირობებში იგი კიდევ უფრო ღრმავდება....

მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ჩვენი წინადადება მიუღებელი იქნება პარლამენტში წარმოდგენილ პოლიტიკოსთა მეტი ნაწილისათვის, მაგრამ ასევე ანალიზის და დიდი კონსულტაციების გათვალისწინებით ვფიქრობთ, ქვეყნისა და ხალხისათვის ის განსაკუთრებული შეიძლება გახდეს.

ამ მოსაზრებას გვიძლიერებს პოლიტიკური აზროვნების ისტორია და მსოფლიო პოლიტიკური პრაქტიკის გამოცდილება.

ჩვენთვის მთავარია რამდენიმე პროგრესული კაცი გვიჭერდეს მხარს, ვიდრე ათასები ბრმად გვიკრავდეს ტაშს.

ბრმად ტაშის კვრამ და ბრმად ტაშის დამკვრელებმა, რაც ლიდერთა გაფეტიშებას ემსახურებოდა სისტემურ კრიზისში შეიყვანეს და დაღუპეს ქვეყანა . **სწორედ, ამის მსხვერპლი გახდა ზვიად გამსახურდიას ძლიერი ეროვნული პოზიცია. არარაობად აქცია ედუარდ შევარდნაძის საგარეო პოლიტიკა, დამანგრეველი მიმართულება მისცა სააკაშვილის ენერგიას. რეალური საშიშროება ემუქრება ბიძინა ივანიშვილის მამულიშვილურ განწყობას და დიდ პროგრამას.**

ჩვენ უარვყოფთ ემოციის პრიმატს პოლიტიკაში და ვდგავართ იმ პოლიტიკოსებთან, პოლიტიკურ ძალებთან და მოაზროვნე ადამიანებთან ერთად, რომლებიც თვლიან, რომ ქართულ პოლიტიკაში გონება უნდა დაბრუნდეს. ეს განცხადება ჩვენი შემოძახილია დაფიქრებისათვის, დასკვნებისათვის და გაბედული მოქმედებებისათვის.

დღეს, გაბოროტებულ „ნაცმოძრაობას“ უფრო მეტის გაფუჭება შეუძლია ქვეყნისა და ხალხისათვის, ვიდრე საქმის კეთებაზე ორიენტირებულ ბიძინა ივანიშვილის კოალიციას შეუძლია ჩასაფრებული „ნაცების“ პირობებში გააკეთოს ხალხისა და ქვეყნისათვის.

სამწუხარო ფაქტის წინაშე ვდგავართ: ქვეყანაში გაცილებით მეტი ფუჭდება, ვიდრე კეთდება, უფრო ზუსტად, ქვეყანაში კეთდება გაცილებით ნაკლები, ვიდრე ეს შესაძლებელია, ვიდრე პოტენციალი არსებობს. ხალხის მოლოდინი კი იყო ხელისუფლება, რომელიც იმუშავებდა ქვეყნის პოტენციალის შესაძლებლობის მაქსიმუმზე. დღეს ნამდვილად არსებობს სასიკეთო და საოცრად დიდი საქმეების კეთების რეალური შესაძლებლობა.

ვაღიაროთ, ჯერჯერობით გამფუჭებელს უკეთესი შედეგები აქვს, ვიდრე გამკეთებელს. თითქოსდა ლოგიკურიცაა - საქმის კეთება ყოველთვის ძნელია, ჩასაფრებულის პირობებში - თითქმის შეუძლებელი და ამავე დროს, როგორი ადვილია საქმის გაფუჭება. მით უფრო, როცა სახელმწიფო ინტერესების საწინააღმდეგოდ მთავარი ჩასაფრებული თვით პრეზიდენტია, გუბერნატორები და მთელი საპრეზიდენტო ვერტიკალი - სოფლის რწმუნებულთა უმრავლესობის ჩათვლით. როცა ჩასაფრებულია კონტროლის პალატა სრულად და სასამართლო ხელისუფლების დიდი ნაწილი. შედეგი? - პერმანენტული სისტემური კრიზისი.

გამფუჭებელს რომ უკეთესი შედეგი აქვს, ვიდრე გამკეთებელს, ლოგიკურია: სახელისუფლებო ვერტიკალის უდიდეს ნაწილს ხომ კარგად გამოწრთობილი დემაგოგები შეადგენენ: კარგად ლაპარაკობენ ხალხის ენაზე, კარგად იციან არა მხოლოდ ხალხის დაბეჩავების მეთოდები, არამედ ამ მშიერი და დაუძლურებული ხალხის მართვაც. შეუძლიათ ხალხის სახელით ხალხისვე წინააღმდეგ ბრძოლა. ყოველივე ეს უადვილდებათ, რადგან ჯერ კიდევ ფლობენ მედიის დიდ ნაწილს, გააჩნიათ საკუთარი ტელევიზიები.

და ინგრევა ქვეყანა. ინგრევა ყალბი ეროვნული პათოსით, სოციალური დემაგოგიით, მოჩვენებითი დემოკრატიით და „ნაცების“ მიერ ხელისუფლებაში ყოფნის დროს დამკვიდრებული ელიტური კორუფციის შედეგად მოხვეჭილი ფულით და რაც ყველაზე მეტად შემაძრწუნებელია, ხალხი საკუთარი ქვეყნის და საკუთარი ცხოვრების ნგრევის თანამონაწილე ხდება.

რომელ ეკონომიკაზე, სოციალურ პოლიტიკაზე, საყოფაცხოვრებო და კომუნალური პრობლემების მოგვარებაზე შეიძლება ასეთ დროს საუბარი. მით უფრო მაშინ, როცა „ნაცმოძრაობამ“ 9 წლის დამანგრეველი მმართველობის პერიოდში სრულად გადაიფორმა მთელი ბიზნესი, პოლიტიკური ნიშნით დააკომპლექტა მთელი სახელისუფლებო ვერტიკალი, როცა მთელი ადგილობრივი ხელისუფლება ხალხზე კი არა, იმაზე ფიქრობს, საქმის გაფუჭებით როგორ ავნოს გამარჯვებული პოლიტიკური ძალის ავტორიტეტს.

ქვეყანა კარგავს მნიშვნელოვან ერთ წელს. თუ ხალხის უდიდესმა ნაწილმა არ, ან ვერ გააცნობიერა „ნაცმოძრაობის“ დამანგრეველი სტრატეგია, ეს წელი შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს ხალხისა და ქვეყნისათვის და იმავდროულად წარმატებული - ჩასაფრებული პოლიტიკური ძალის, მოღალატე, მედროვე და სკამის პოლიტიკოსებისათვის.

ჩვენ ვინანებთ, მწარედ ვინანებთ, რომ 2013 წლის 20 იანვარს არ დავამთავრეთ სააკაშვილის პრეზიდენტობა. ვხედავთ, როგორ მტრობს პრემიერ-მინისტრს სააკაშვილი ქვეყნის შიგნით და როგორ დასდევს მას ფეხდაფეხ უცხოეთში . ის მუშაობს იმაზე, თუ როგორ მოშალოს სახელმწიფო ინსტიტუტები ქვეყნის შიგნით, როგორ დაძაბოს ქვეყნის გარე ძალების დამოკიდებულება ახალი მთავრობისადმი. დღეს უკვე აშკარაა, ის ებრძვის არა ერთ კაცს - ივანიშვილს, არამედ სახელმწიფოს, ხალხს,ქვეყანას.

გამოსავალი არსებობს. ეჭვი არ გვეპარება, ამ საკითხებზე ფიქრობს „ქართული ოცნება“ და მისი ლიდერი, ბატონი ბიძინა ივანიშვილი. ვფიქრობთ ჩვენც და რაც დრო გადის, მით უფრო

გარედან თავსმოხვეულ, შეუთავსებელთა შეთავსების დამანგრეველ პოლიტიკურ კურსს ხალხმა არჩევნებით უნდა გამოუტანოს განაჩენი.

დრო არ ითმენს რამდენიმე მარტივი რამის გამო:

პირველი – გასული საპარლამენტო არჩევნების შედეგები არ ასახავს ხალხის პოლიტიკურ განწყობას: ერთის მხრივ, არჩევნები გაყალბდა „ნაცმოძრაობის“ სასარგებლოდ და, მეორეს მხრივ, მაჟორიტარი დეპუტატებისათვის 30-პროცენტიანი ბარიერის შემოღებამ, ნაცვლად 50 პროცენტიანისა, როგორც მინიმუმ, ღირსეულთა უდიდეს ნაწილს არ მისცა საშუალება გამხდარიყო პარლამენტის წევრი.

მეორე – არ შეიძლება ქვეყანამ მოითმინოს დამნაშავე პარტია ოპოზიციის როლში – ეს პრაქტიკულად ნიშნავს 1 ოქტომბრის მონაპოვრის განადგურებას, ხალხში გაჩენილი უდიდესი იმედის ჩაკვლას;

მესამე – თუ დამნაშავე პარტიას არ გავასამართლებთ და მას მივცემთ დროს და საშუალებას, იქცეს ამ ეტაპზე მეორე პოლიტიკურ ცენტრად, ეს ნიშნავს, რომ ვეთანხმებით გარკვეული პერიოდის შემდგომ მის ხელისუფლებაში მობრუნებას. ვეთანხმებით ქვეყანაში არასამართლიანი პოლიტიკური სივრცის შექმნას. ვეთანხმებით სახელმწიფო მმართველობის ყველა დონეზე არსებულ მწვავე კრიზისს.

ამაზე დიდი ბოროტება არ შეიძლება გავუკეთოთ საკუთარ ხალხს და ქვეყანას.

მეოთხე – საზოგადოებაში მუსირებს აზრი, რომ დღეს ხელისუფლება ყველა დონეზე ხელთ უპყრია კოალიცია „ქართულ ოცნებას“, მაშინ, როდესაც მთელი საპრეზიდენტო ვერტიკალი: სამხარეო, საქალაქო, რაიონული, სასოფლო ადმინისტრაციები, სასამართლო და კონტროლის პალატის სისტემები ძველი ხელისუფლებისადმი მორჩილი ერთგულებით ებრძვის ხალხს. ეს ერთხელ კიდევ ასაბუთებს ვადამდელი ადგილობრივი არჩევნების ჩატარების აუცილებლობას;

მეხუთე, და განსაკუთრებული - დანიშნული დეპუტატების სამარცხვინო ეპოქა უნდა დასრულდეს... დამოუკიდებელ საქართველოში ვირჩევთ არა ძლიერ პოლიტიკოსთა პარლამენტს, არამედ ერთი კაცის პოლიტიკური გემოვნებით შერჩეულ პარლამენტს... **ზვიად გამსახურდიასადმი** ნდობის გამო აირჩიეს მისი ბლოკის დეპუტატთა 90 პროცენტი... **შევარდნაძის** გამო, შემდეგ **სააკაშვილის** და ბოლოს **ივანიშვილის** გამოა არჩეული დამოუკიდებელი საქართველოს შემდგომ პარლამენტთა წევრები... ეს კატასტროფაა... კატასტროფაა, რომ დამოუკიდებელ საქართველოში „ბელადების ხათრით“ არჩეულ დეპუტატთა 50-60 პროცენტმა ისე დაამთავრა სადეპუტატო საქმიანობა, რომ ხალხს საკუთარი თავიც კი ვერ გააცნო... კატასტროფაა, რომ ეს გრძელდება: ახალი პარლამენტის 80 პროცენტს არც ეხლა იცნობს ხალხი.

ჩვენ გვინდა, რომ ამ დისკუსიამ გააერთიანოს საქართველო. გაერთიანოს ყველა ქვეყნის შიგნითა და გარეთ, გააერთიანოს, რათა განხორციელდეს პრინციპი: **ქვეყანას ყველა დონეზე მართავს ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება, ხელისუფლებას მართავს საზოგადოება, საზოგადოებას მართავს ინტელექტი და ზნეობა და ყველაფერი ეს ხდება მხოლოდ მაშინ, როცა ხელისუფლების წყარო არის ხალხი.**

ასეთია პოზიცია. ჩვენ ვდგავართ იმ ხალხთან და იმ პოლიტიკურ ძალებთან ერთად, რომელთაც მსგავსი ხედვა აქვთ.

საინიციატივო ჯგუფის წევრები შევთანხმდით, რომ 26 მაისს მოვიწვიოთ დიდი შეკრება და დავაფუძნოთ დარბაზი, რომელიც კოორდინირებას გაუწევს სახალხო დისკუსიას ვადამდელ არჩევნებთან დაკავშირებით. სიმბოლურია, რომ ეს საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს მოხდება, რადგან საქართველოს მომავალი რეალურ არჩევნებთან და იმ პოლიტიკურ ძალებთან არის დაკავშირებული, რომლებიც ქვეყნის გარედან არ იმართებიან.

საინიციატივო ჯგუფის წევრები:

პაატა ცნობილაძე - იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (ჯგუფის ხელმძღვანელი)

მანუჩარ მაჩაიძე - აკადემიური დოქტორი

ნიკო ჯავახიშვილი - ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

თეიმურაზ შაშიაშვილი - გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

მერაბ ჯიბლაძე - ფიზიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ჰამლეტ მელაძე - მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

პაატა გიორგაძე - ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

როლანდ ნიჭარაძე - იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რამაზ ყურაშვილი - მედიცინის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, პროფესორი

ზურაბ ხასია - კულტურის დამსახურებული მოღვაწე

ფერდინანდ ლორთქიფანიძე - კულტურის დამსახურებული მოღვაწე

2013 წლის 13 მაისი

ამონაწერი „ავადმყოფობის ისტორიიდან“:

სამკურნალოდ 22 წლის ასაკში მოიყვანეს, ახლა 40-ს გადაცილებულია. „ცხელი წერტილები“ უკან დარჩა. ახლობლების ნათქვამით, ჯარში კუთვნილზე გაცილებით მეტ ხანს დააყოვნეს - 1989 წლის მაისიდან 1992 წლის ივლისამდე და მისი თვითნებურად დატოვების შემდეგ ძალიან მალე „აურია“, თუმცა შიგადაშიგ საკმაოდ საღად აზროვნების გამო დიდხანს ვერ მიხვდნენ ფსიქიატრის საჭიროებას.

ამჟამად ხასიათდება ქრონიკული დაავადებისთვის ნიშანდობლივი წყვეტილი აზროვნებით. მდგომარეობა სტაბილურად მძიმეა: არ აღენიშნება არც გაუმჯობესება, არც გაუარესება. გაურკვეველია, როდის ბოდავს და როდის არა. აკვიატებულად იმეორებს ერთსა და იმავეს, ელაპარაკება საკუთარ თავს. ავადმყოფობის გამომწვევი მიზეზის დასადგენად და სწორი დიაგნოზისთვის ზუსტად ისე ჩავწერეთ, როგორც ლაპარაკობს. ჩანაწერმა არაფერი მოგვცა, გარდა იმ დასკვნის დადასტურებისა (ფაქტები, თითქოს ერთმანეთშია არეული), რომ ვინ იცის, მართლაც ყველაფერი ისე იყო, როგორც ყვება და სახეზეა მისი უარყოფითი ზეგავლენაა ფსიქიკაზე, სამწუხაროდ, მის შემთხვევაში, მედიცინა უძლურია“...

* * *

უყურე, იქით გაიხედე! – გაცხარებული მეჩურჩულება ყურში ლიოხა და მხარზე იდაყვს მკრავს. – თვალები შუბლზე ამდის. ავტომატს მჭიდროდ ვიკრავ გულში და ტკივილამდე ზედ ვაკვდები რკინას, როცა გვერდს ჩაგვივლის...

ქალი!

მხრებამდე გაშლილი აწეწილი თმები. მოხალვათებული ლაბადის ქვეშ დახეული კაბა ოდნავ უფარავს ჩამოჩაჩულ, თითქმის გაძრობამდე მისულ წინდებს: მაგრამ ყურადღებას ეს კი არ იპყრობს, არამედ ფუთა, გასისხლიანებული ხელებით შიშველ მკერდში რომ იკრავს.

თავში ყველაფერი ირევა, გონება მებინდება, მგონი, ჭკუიდან ვიშლები...

მოიცათ... – ვყვირი და რატომღაც ხელებს ვიწვდენ. – უსიცოცხლო თვალების მზერას სხეულზე გადამაცოცებს და გვერდით ჩამიქროლებს... შიშველი ფეხებით გაფრატუნდება ტალახიანი მძიმე ჩექმებით დასვრილი, ტანკების მუხლუხებით დაქუცმაცებული შუშისა და აგურების ნატეხებით მოფენილ ასფალტზე. ქალი ტუჩებს აცმაცუნებს, რაღაცას ბუტბუტებს, მაგრამ სიტყვები არ ისმის. ჩემი მზერა ჯიუტად იყინება ფუთაზე... ღმერთო, ეს ხომ ბავშვია! - ჩემთვის აღმოვაჩენ. ყელში ბურთი მეჩრება. მინდა ოთხზე დავეცე და მთელი შიგნეული ამოვანთხიო: ბავშვის თავი სანახევროდ გასრესილია. დროისგან გამომშრალი სისხლი და ტვინი ზედ შემხმარა.

* * *

რას წავიღებ მე ამ ჯარიდან? რას მომცემს ყველაფერი ეს? რას? ბარდაკია. – გამიელვებს გონებაში, - ირგვლივ ბარდაკია, ბოროტება, უხამსობა, უხეშობა, სისაძაგლე, გინება, უგნურება, უსაქმურობა... და ეს ომია. ჩემი მორიგი სამოქალაქო ომი, მსუბუქი სახელწოდებით – „ეროვნებათაშორისი კონფლიქტი“.

და ჩვენ აქ, თითქოს, „ოქროს შუალედი“ ვართ. ირგვლივ ისვრიან, სახლებს წვავენ, ძარცვავენ, ძალადობენ: ჩვენ კი ბრბოს ზიზღით სავსე მზერის ქვეშ უაზროდ, უგონოდ დავეხეტებით მებრძოლებს შორის. ვიტანთ დამცირებას, თავდასხმას, ტყვიას. ყველა „ცხელ წერტილში ლაშქრობა“ თითქმის ერთნაირია და როგორც ჩანს, მთელი სიცოცხლე გაგრძელდება ჩემში. ტანზე მიკრული ბამბეული უკვე არასდროს განიავდება ნატისუსალისა და ადამიანის გახრწნილი ხორცის სუნისგან. სახლების დახლეჩილმა კედლებმა, ბრბოს მიერ გაუპატიურებული - ფეხებს შორის ბოძებ და ბოთლებგაჩრილი ქალებისა და მამაკაცური ღირსებამოჭრილი მამაკაცების გვამებმა, მგონი, სამუდამოდ დაგვიმახინჯა ჯერაც ბავშვურად გულუბრყვილო გონება და ფსიქიკა. ამის შემდეგ ვინ და როგორ მიყვარდეს? და, საერთოდ, შესაძლებელია კი ეს?

* * *

ბარდაკი! ირგვლივ ბარდაკია! და ჩვენი ჯარისკაცული პირველი ნაბიჯიც ომში ასევე, ბარდაკული იყო.

მე და სერგეი მაშინ თვითნებურად გაპარულები გამთენიისას ის-ის იყო დაბრუნდით ნაწილში... ღამის ქალაქში გოგონებთან ხელიხელჩაკიდებულები დავხეტიალობდით, ვეფიცებოდით სიყვარულს და სინაზეს და რა თქმა უნდა, ვკოცნიდით, ვკოცნიდით ჯარისკაცული საცვლების დასველებამდე, ფაქიზად და წრფელად. შიგადაშიგ შესვენებებისას კვლავ ვეფიცებოდით სიყვარულს და, გინდაც ხვალ მმაჩის ბიუროში გასაქცევად მზადყოფნას.

* * *

ხვალ...

ჩვენთვის მოულოდნელად იფეთქა დუუმორეული მორიგის გულისამრევმა ღრიალმა:

ასეულო, ადექით! იარაღისკენ!

... და სადილისშემდგომი მოკლე ძილი შეშლილი გამოღვიძებით წყდება. ყველასთან ერთად შევხტები მეც. გინებას, ეშმაკების მოხმობას, მეორე იარუსებიდან ჩამოცვენილი სხეულების ბრაგვანს შორის დახუჭული თვალებით ჩამოვიცვამ ბამბაზიას, ვიხვევ პარტიანკებს და გავრბივარ შესაიარაღებლად... ცოტაც და... აირწინაღი მუცელზე მიტყაპუნებს, ბარი – უკანალზე, კასკა ნახევრად მძინარე თავზე ყანყალებს... რა საჭიროა ყოველივე ეს?

* * *

ბრძანება კიდევ არა ერთხელ მოგვისვრის „ცხელი წერტილისკენ“...

* * *

ტრანსპორტში საშინლად ცივა. გასათბობად ანეკდოტებს ვბილწსიტყვაობთ და ვხარხარებთ... ეჰ, ქალი მოგვცა! თუნდაც შეგვახედა. ჩაგვესუნთქა მისი სხეულის სითბო. მაგრამ თვითმფრინავში სტიუარდესაც კი არ არის... და საერთოდ, ქალებზე ჩვენს შეკვეთას, მგონი, კარგა ხნით შეაგვიანდება.

* * *

კედლის წინ ათეულებად ვიშლებით. ცვივა მიწის ბელტები, ბოთლები აალებული ნარევით. რა არის ეს? რევოლუცია? განთავისუფლება? ომი? არა, ეს კვლავ – ბარდაკია.

ბრბო უცნობ დროშებს და ტრანსპარანტებს იქნევს და ყვირის რაღაც სხვა ენაზე. ერთიან ყმუილად ქცეული ადამიანთა ყვირილი ტვინს სიძულვილისკენ უბიძგებს, ხოლო ნასროლი ქვების დარტყმით გამოწვეული ტკივილი, უარესი ტკივილის მისაყენებლად აქეზებს ხელებს ფარებით, რომელზეც ბზარები მოცოცავენ... ასეული ვეღარ იკავებს თავდამსხმელებს და ისინი ჩვენთან საყოველთაო ჩხუბზე გადმოდიან.

ახლა ჩემშიც იწყებს გაღვიძებას ნამდვილი ბოროტება – სატანა... და... არა, ეს უკვე მე არ ვარ, ამას აკეთებს ის, ვინც ახლა ჩემში გაიღვიძა და ამოხეთქვას ლამობს... ის უკვე ადამიანი კი არ არის – ველური ძველი ინსტინქტების, მრისხანებისა და შიშის ნაზავია, რომელიც, თითქმის საიმედოდ ჩაკეტილ ჩარჩოს გასაღებად მიეტანა და გამშვებ ურდულს გადასაწევად ებღაუჭება... ძირს ვაგდებ დაფშვნილ ფარს და... თავს ზევით... იქნებ, თავს ზევით კი არა... ტვინშიც ბარდაკია... მოკლედ, მე არ ვარ ის, ვინც უშენს ტყვიებს... მე მსურს შეწყდეს ეს ბარდაკი... შემდეგ... როგორც გვასწავლიდნენ, გადავდივარ ხელჩართულ სასიკვდილო ცეკვაზე... ყბები დარტყმისგან ღრჭიალებს, და კვლავ... ავტომატის „მაღაზია“ ხლეჩს გადამტენს, აკაკანებული იარაღის უწყვეტი ვიბრაციით გამოწვეული ძალა მიკაწრავს თვალებს, ჩექმებს, მაგლეჯს საზარდულებს...

აქით! მიშველეთ! ჩქარა! – მესმის გააფთრებული ბრძოლიდან. ყვირილზე თავს ვაბრუნებ. – ბრბო გასისხლულ კამუფლიაჟს ასფალტზე აგორავებს. ღმერთო, ეს ხომ მიშკაა! ტომსკელი მიშკა, „მიშკა – სიბირიაკი“! მას ხელი მუცელზე აქვს მიჭერილი და ერთადერთს ყვირის:

ა – ა – ა – ა – ა – ! – დარტყმებისგან მისი სახიდან, მკერდიდან და მუცლიდან სისხლი ჩქეფს შესქელებული და შავი. მის თვალებში ტკივილია, ტკივილი, ტკივილი... გვერდით კიდევ ვიღაცა ჩვენიანს გააგორებენ...

ცხოველები!!! საქონლები!!! საზიზღრები!!! – ვყვირივარ და ერთმანეთში ირევა: სისხლი, ფარები, სისხლი, ფარები, ქალების კივილი და კაცების ზმუილი, ტანკების გრუხნი, კვნესა, სიკვდილისწინა ბოდვა... და სახეზე შემახმება სისხლი, რომელიც ჩემი არ არის და შემდეგ არასდროს მომშორდება... იმ პატარა გოგონასი ხომ არ არის, ნეტავი, მოსწავლის ბაბთაღა რომ აკლდა უკან შეკონილ თმებზე და ჩემს წინ ჩაიჩოქა საპიორის ბარით თავგაჩეხილმა? იქნებ, იმ ლამაზი ახალგაზრდა ქალისაა, ჯერ რომ მორბოდა, მღეროდა, შემდეგ გაბასრული საპიორის ბარით გადაეჩეხა კისერზე ძარღვი. იქნებ, იმ წარმოსადეგი მამაკაცისაა, პატარა გოგონას რომ გადაეფარა ზედ და ვერც დაინახა, როგორ შეერჭო ფილტვებში ბარი. იქნებ, იქნებ... იქნებ, ყველაფერი ეს მე ჩავიდინე, თორემ როგორღა მოვასწრებდი ამდენი რამის ნახვას? არა, მე ამას არ ვიზამდი, ის მე არ ვყოფილვარ. იქ იყო სისხლი, სისხლი, გაქცეულები, გაქცეულები, უგონოთა დევნა, კვლავ სისხლი, პრიალა ბარებისა და ფარების ჩუმი ჩეხვით სასიკვდილო ცეკვა წინსვლით: აქა-იქ ქალებისა და კაცების ჯგუფები ერთმანეთში არეულა. ძალები აშკარად არათანაბარია. გავეშებული საპიორის ბარები, დამოუკიდებლად, ადამიანის ხელების დაუხმარებლად მოძრაობენ... მოცელილებივით ეცემიან ხელგაწვდილი ტანსაცმელშემოგლეჯილი ქალები, კაცები, ახალგაზრდები, მოხუცები, პატარები, დიდები. გაურკვეველი უმუსიკო სიმღერის მსგავი ხმა ყურებიდან აღარასოდეს ამოვა. ღამეული ეს კოშმარი უცებ წყდება... საშინელი სუნი დგება. ვიხუთები... რა უნდა იყოს?.. „ჰაერი“ - გამიელვა გონებაში, რომლის არსებობაც დავიწყებული მქონდა: აქ განა მხოლოდ „ესენი“ მოიწამლებიან, ჩვენ ხომ აირწინაღები აღარ გვიკეთია... ბარდაკი!

და უცებ დაგორგლილი ბრბო უკან იხევს... ახლოს ისმის ფარების გრუხუნი. ნიღბიანი ფაროსნების ჯგუფი დასახმარებლად მოიჩქარის... მათ გასატარებლად ჩვენი მწყობრი შუაზე იხლიჩება...

რა საჭირო იყო?

* * *

მორიგი შეტაკების შემდეგ (?) კვლავ ზურგში ვართ. ვსხედვართ გადაბინტულები, იოდით გადათხუპნულები და ვეწევით, ვეწევით, ვეწევით, აქ, როგორც წესი, ყველაფერი ჭირს... ერთმანეთს „ბიჩოკებს“ გადავცემთ... ვეწევით, ვეწევით, ვეწევით... ცეცხლის ალში მორიგ გადაშვებას ველოდებით.

* * *

სანიტარული ნაწილიდან ბრუნდება რენატი გადახვეული თავით, რომელშიც აპრილში (?) გადაჭრილი რკინის მილი დრუზეს, ახლა ივლისია... რა მემართება?

იქ ორსული ქალი მოიყვანეს, - ინფორმაციას გვაწვდის მიწაზე მსხდომთ, – სანამ ბავშვი არ გამოაგდებინეს, ეს გარეწრები მის მუცელზე ველოსიპედით გადადიოდნენ. – მაგრამ ჩვენ, დაღლილები, გატანჯულები, დაჭრილები და ნაცემები, რომლებმაც უკვე მოვასწარით გამოფატრული და დამწვარი გვამების ნახვა ჩამოვარდნილი თვითმფრინავის გარდა კიდევ ბევრგან, ისევე, როგორც მოჭრილი სისხლიანი თავებით ბურთაობა, ხორცებათლილი ცოცხალი ადამიანების კლაკვნა, იმ ხორცების სავაჭროდ გამოტანა სისხლით დაწერილი აბრით... ცნობას დუმილით - გონებაჩლუნგი გაოგნებით ვღებულობთ.

* * *

ის პირველი შესვლა იყო ომში. შემდეგ, აუ, რამდენი იყო... ეს, უკანასკნელია, ნაღდად, უკანასკნელი. ივლისის შუა რიცხვებია, საყოველთაო დემბილი... ჩვენ კი შინ არ გვიშვებენ, მორიგ ომში გვაყოვნებენ.

ბარდაკი!

როგორ მომბეზრდა! როდის დამთავრება ყველაფერი? ნახევარ თვეში? მოვასწრებთ კიდევ ვიწვნიოთ...

* * *

დანგრეული ვაგზალი.

ღამე.

წვიმა.

აბა, რა ვქნათ, წავიდეთ? – მეკითხება ლიოხა და ჩვენ დანგრეული ნაბიჯებით მივემართებით, ასევე დანგრეული ქუჩების სიღრმეში.

ვაგზალში ხეტიალი უაზრობაა.

მატარებლები აქეთ უკვე აღარ დადიან. კანტიკუნტად ადამიანები გაიელვებენ. მარადიორები? მოკლედ, ვინ იცის, ვინ რას გაარჩევს? აღარაფერს ვაქცევთ ყურადღებას... თითოეულს ათამდე სხვადასხვა საშვი გვაქვს, ყოველი შემთხვევისთვის ცხოვრებაში... აქაც ბარდაკია.

ქეთევან ჩემია

ოქროს გუნდი

13 მაისი ყველა ქართველისთვის დაუვიწყარი თარიღია. დიახ, 1981 წლის 13 მაისს მოიპოვა თბილისის „დინამომ“ ევროპის თასების მფლობელთა თასი! აქსიომაა, რომ არანაირი გამარჯვება იოლად ნამდვილად არ მოდის, მაღალი მიზნის მისაღწევად დაუღალავი და ხანგრძლივი შრომაა საჭირო. იმდროინდელ „ოქროს გუნდში“ მართლაც რომ ვარსკვლავთცვენა იყო, სათავეში კი დიდებული სტრატეგი და ფეხბურთის სპეციალისტი ნოდარ ახალკაცი იდგა.

ახლა ყურადღებას ფინალურ ორთაბრძოლებზე ამახვილებენ. თუმცა არ შეიძლება დავივიწყოთ ნახევარფინალის განმეორებითი შეხვედრა. ჰოლანდიაში ადგილობრივ „ფეიენორდთან“. „ტიტების ქვეყანაში“ ჩვენი გუნდი სოლიდური მარაგით გაემგზავრა საკუთარ კედლებში 3:0 ჰყავდა მეტოქე დამარცხებული. ყველამ კარგად იცოდა, თბილისის „დინამოს“ ურთულესი მატჩი მოელოდა ჰოლანდიაში, მაგრამ ისეთ სიბინძურეს, რაც იქ დატრიალდა, არავინ მოელოდა და ალბათ, იშვიათი გამონაკლისი იყო საერთო ფეხბურთის ისტორიაში. ავსტრიელი მსაჯი ვიორერი „ფეიენორდს“ მე-13 მოთამაშედ (მე-12-ს ძირითად მაყურებელს მიიჩნევენ) მოგვევლინა. მთლად აიღო ხელი სინდის-ნამუსზე, ადამიანობაზე. გარდა ამისა, რომ ჰოლანდიელთა უხეშობაზე თვალს ხუჭავდა, თბილისელი ფეხბურთელების მიერ გატანილი 3(!) გოლი არ ჩათვალა, ორჯერ არ დაინიშნა პენალტი. ასეთმა ქმედებებმა აღაშფოთა რუსი კომენტატორი ვლადიმერ მასლიაჩენკო (სწორედ იგი გადმოსცემდა ჰოლანდიიდან რეპორტაჟს) და ეს პიროვნება მაინცდამაინც კეთილგანწყობით არ გამოირჩეოდა. ჩვენი ფეხბურთელების მიმართ. თუმცა თავისი უმაღლესი კლასის, შემართების, ჟინის წყალობით თბილისის „დინამო“ ფინალში გავიდა. ის თამაში ალბათ ყველას აქვს ნანახი და აღარც ღირს დაწვრილებით საუბარი.

ფინალური სასტვენის შემდეგ თბილისში ნამდვილი ზეიმი დაიწყო ყოველგვარი შეთანხმების გარეშე ყველა ქუჩაში გამოვიდა. „დინამოს“ სტადიონი პირამდე გაივსო, ზეიმობდა ყველა – ქალი, კაცი, დიდი, პატარა, სიხარულთან ერთად როგორი ამაყები ვიყავით ქართველები!

ქართულ ფეხბურთს ყოველთვის ეკავა თავისი განსაკუთრებული ადგილი სპორტის ამ ლამაზი სახეობის დიდ ოჯახში. საბჭოეთის დროს, სადაც თამაშობდა ჩვენი „დინამო“, სტადიონი ყოველთვის ივსებოდა. ყელას უნდოდა ქართველი ფეხბურთელების ყურება. აქ ჩამოსული ნებისმიერი სტუმარი დროს აუცილებლად გამონახავდა და „დინამოს“ თამაშზე მიდიოდა.

ევროთასებზე გამარჯვება. როგორც ავღნიშნეთ იოლი ნამდვილად არ ყოფილა, არც სახელის მოხვეჭა და დამკვიდრებაა ადვილი. სამწუხაროდ ახლა მხოლოდ წარსულ დიდებაზე გვიხდება საუბარი, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ ქართული ფეხურთის ვარსკვლავი კვლავ ამობრწყინდება.

გია ბურდული

ირმა სიხარულიძე – უებარი მკურნალი

ქალბატონ ირმა სიხარულიძეს მაშინ მივმართეთ, როცა განკურნების იმედი გადაწურული გვქონდა ათასგვარი მკურნალობით და პროცედურით თავმობეზრებულებმა ეს ბოლო ცდად მივიჩნიეთ და ამან გაამართლა. ქალბატონი ირმა სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს ხალხური მეთოდით მკურნალობს. საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამლით იგი კურნავს: ოსტეოქონდროზს, მარილებს, პოლიართრიტს, რადიკულიტს, კისრის, მხრის, მენჯ-ბარძაყისა და მუხლ-სახსრის ართროზებს. ქუსლზე წანაზარდს და პოდაგრას.

წამალი მცენარეულია და უკუჩვენება არ აქვს. პროცედურა ტარდება მალამოს მასაჟირებით და საფენებით. ბუნებისგან ბოძებული ამ პანაცეით ქალბატონმა ირმამ ბევრი პაციენტი დაგვაყენა ფეხზე, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

მადლიერი პაციენტები.

ქალბატონი ირმას კოორდინატები:
მის: თბილისი, ფოთის ქ.№2, (მეტრო წერეთელთან)
ტელეფონები: 2 34 21 63, 557 35 89 00

`saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი
მთვარისა კევლიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

-რა შემთხვევაში ითვლება მკვლელობა ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში ჩადენილად და როგორია სანქცია?

1-ლი ნაწილი: -საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 111-ე მუხლის მიხედვით , განზრახ მკვლელობას უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში მაშინ აქვს ადგილი, თუ იგი გამოიწვია დამნაშავის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ მსხვერპლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ მსხვერპლის მიერ მართლსაწინააღმდეგო ძალადობამ, მძიმე შეურაცხყოფამ ან სხვა მძიმე ამორალურმა ქმედებამ, აგრეთვე, მსხვერპლის არაერთგზისი მართლსაწინააღმდეგო ან ამორალური ქცევით განპირობებულმა ფსიქიკურმა ტრავმამ.

სანქცია:ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე;

მე-2 ნაწილი: იგივე ქმედება, ჩადენილი ორი ან მეტი პირის მიმართ,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე.

* * *

-რა შემთხვევაში ინიშნება კანონით გათვალისწინებლზე უფრო მსუბუქი სასჯელი?

-საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 55-ე მუხლის მიხედვით, სასამართლოს შეუძლია დანიშნოს ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით დაწესებული სასჯელის ზომის უდაბლეს ზღვარზე ნაკლები სასჯელი ან სხვა, უფრო მსუბუქი სახის სასჯელი, თუ მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება.

* * *

-რა შემთხვევაში ინიშნება უვადო თავისუფლების აღკვეთა?

-საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 51-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, უვადო თავისუფლების აღკვეთა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, უვადო თავისუფლების აღკვეთა არ დაენიშნება იმას, ვისაც დანაშაულის ჩადენამდე არ შესრულებია თვრამეტი წელი ან ვისაც განაჩენის გამოტანის მომენტისათვის შეუსრულდა სამოცი წელი.

* * *

-შეზღუდული შერაცხადობა ითვლება თუ არა ბრალის გამომრიცხავ გარემოებად?

-აღნიშნულ საკითხს არეგულირებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 35-ე მუხლი. კერძოდ:

1-ლი ნაწილი: სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან არ თავისუფლდება სრულწლოვანი, რომელიც დანაშაულის ჩადენის დროს იმყოფებოდა შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობაში, ესე იგი ფსიქიკური დაავადების გამო არ შეეძლო სრულად გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი ან მართლწინააღმდეგობა ანდა ეხელმძღვანელა მისთვის.

მე-2 ნაწილი: შეზღუდულ შერაცხადობას სასამართლო ითვალისწინებს სასჯელის დანიშვნის დროს.

მე-3 ნაწილი: სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან შეიძლება გათავისუფლდეს არასრულწლოვანი, რომელიც დანაშაულის ჩადენის დროს იმყოფებოდა შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეზღუდული შერაცხადობა ბრალის გამომრიცხავ გარემოებად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ არასრულწლოვნის შემთხვევაში, ხოლო სრულწლოვნის შემთხვევაში- არ ჩაითვლება.

* * *

-როგორია იურიდიული პირის სასჯელის სახეები?

-საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1073-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, იურიდიული პირის სასჯელის სახეებია:

ა/ ლიკვიდაცია;



ბ/საქმიანობის უფლების ჩამორთმევა;

გ/ჯარიმა;

დ/ ქონების ჩამორთმევა.

მე-2 ნაწილი: ლიკვიდაცია და საქმიანობის უფლების ჩამორთმევა შეიძლება დაინიშნოს როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად.

მე-3 ნაწილი: ჯარიმა შეიძლება დაინიშნოს როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად.

მე-4 ნაწილი: ქონების ჩამორთმევა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ დამატებით სასჯელად.

* * *

-ვინ წყვეტს სასჯელის პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხს?

-ამ საკითხს წყვეტს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭო.